გელა აბესაძე (სამართლის დოქტორი)

დანაშაულის პროვოკაცია

თბილისი, 2013
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დანაშაულის პროვოკაციის კომპლექსურ ფორმატში კვლევის შედეგს, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულის პროვოკაციის სისხლისსამართლებრივი დახასიათებით დაინტერესებულ ყველა პირს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში. ნაშრომში გამოყენებულია ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული როგორც სამამულო, ისე უცხოური ლიტერატურა.

ნაშრომი გამოდგება შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკების, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის.

რედაქტორი: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ გამყრელიძე**

რეცენზენტი: შსს აკადემიის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის უფროსი, სამართლის დოქტორი, პროფესორი **რამაზ კვარაცხელია**

© გელა აბესაძე, 2013

ISBN 978-9941-9341-5-5

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;
http://www.facebook.com/lawyers.world

სარჩევი

წინასიტყვაობა 4
შესავალი 7

თავი I 11
დანაშაულის პროვოკაციის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში 11

§1. დანაშაულის პროვოკაციის ისტორია საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში 11
§2. დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა ქართულ სისხლის სამართალში 39

თავი II 53
დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა 53

§1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა 53
§2. დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობა 67

თავი III 74
ქმედების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები 74

§1. დანაშაულისათვის წაქეზების გამიჯვნა, დანაშაულის პროვოკაციისაგან 74
§2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერება 87

თავი IV 110
დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა 110

§1. მართლწინააღმდეგობა დანაშაულის პროვოკაციის დროს. 110
§2 ბრალეულობა დანაშაულის პროვოკაციის დროს 133

დ ა ს კ ვ ნ ა 153
ლიტერატურა 166

წინასიტყვაობა

თემა "დანაშაულის პროვოკაცია" ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის დაუმუშავებელია. მიუხედავად ქართველი მეცნიერების მიერ გაწეული შრომისა, დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის გადაწყვეტის შემოთავაზებული ვარიანტები გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია და ამ მხრივ ავტორის მიდგომა საკითხის დადებითად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ დანაშაულის პროვოკაციის პრობლემატიკაში ისტორიულად ცენტრალური ადგილი უჭირავს საკითხს, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად პროვოკატორის დასჯას, ე. ი. რისთვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკატორს. ამ საკითხზე, როგორც ძველ, ისე უახლეს ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ნაშრომის I თავი, რომელიც ორი პარაგრაფისაგან შედგება ეძღვნება დანაშაულის პროვოკაციის ისტორიას და თანამედროვე მდგომარეობას საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში, პირველ პარაგრაფში – დანაშაულის პროვოკაციის ისტორიისათვის – ავტორი იხილავს დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტის ევოლუციის თავისებურებებს, მეფის რუსეთის პოლიციის პრაქტიკაში პროვოკაციის არსებობის შემთხვევებს, აგენტ-პროვოკატორთა კატეგორიებს და მათ უფლება-მოვალეობებს საიდუმლო პოლიციის (ოხრანკის) პერიოდში. აქვე განხილულია რუს მეცნიერთა შეხედულებები დანაშაულის პროვოკაციის ცნებასთან დაკავშირებით და მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები ჟანდარმერიის ცირკულარებიდან. ამ თავში ყურადღებაა გამახვილებული რუსეთში საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობის მომენტიდან პროვოკაციის ინსტიტუტის განვითარების გზებზე და საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობაში დანაშაულის პროვოკაციის დისპოზიციის განვითარების ეტაპებზე. მეორე პარაგრაფში – დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა ქართულ სისხლის სამართალში – ავტორი ეხება ქრთამის პროვოკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს და გვიხსნის ამ ინსტიტუტის თავისებურებებს საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით. აქვე განხილულია ქართულ სისხლის სამართალის მეცნიერებაში დანაშაულის პროვოკაციის საკითხის სამი სახის მიდგომა.

ნაშრომის II თავში ავტორი იკვლევს ქმედების კვალიფიკაციის სპეციალურ საკითხებს. კერძოდ, ამ თავის შესაბამის პარაგრაფში განხილულია დანაშაულისათვის წაქეზებისაგან დანაშაულის პროვოკაციის გამიჯვნის პრობლემა. ავტორი საკითხის კვლევას ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების შვეიცარიული ვარიანტის, ცნობილი "სოციალური დეზინტეგრაციის" თეორიის კრიტიკით იწყებს.. აქ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს "სოციალური დეზინტეგრაციის" თეორიის ნაკლოვანებებს.

ავტორი კვლევისას დიდ ყურადღებას უთმობს შეცდენის ინსტიტუტის განხილვას, სადაც დასაბუთებულია განზრახვის ცნებაში შეცდენის მოაზრების მნიშვნელობა და აუცილებლობა. ამ მიდგომის სისწორე უფრო შესამჩნევი ხდება, მაშინ როცა ავტორი მსჯელობს, რომ დანაშაულის პროვოკაციაც არის ამსრულებლის შეცდენა. საინტერესოა წაქეზების წაქეზებისა და დანაშაულის პროვოკაციის, ასევე წაქეზება დახმარებისაკენ და დანაშაულის პროვოკაციის გამიჯვნის საკითხის კვლევაც.

დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობის კვლევას ეხება ნაშრომის III თავი, რომელშიც გამოკვლეულია ქმედების ობიექტური შემადგენლობის, დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერების საკითხები. ავტორი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი, ხელყოფის საგანი, ქმედების თავისებურება, დანაშაულის პროვოკაციის ხერხები.

ნაშრომის IV თავი ეხება დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის საკითხის კვლევას. დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობის განხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ დამნაშავეთა მხილების დროს მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით დაიყოლიებს პირს დანაშაულის ჩასადენად. დანაშაულის პროვოცირება შეუძლია, როგორც მოქალაქეს, ასევე ოპერატიულ მუშაკსაც.

წინამდებარე ნაშრომი საუკეთესო ნიმუშია დანაშაულის პროვოკაციის და საერთოდ სამეცნიერო თემის კომპლექსურ ფორმატში კვლევის, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულის პროვო-

კაციის სისხლისსამართლებრივი დახასიათებით დაინტერესებულ ყველა პირს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში. ნაშრომის გაცნობისას ვრწმუნდები, რომ ავტორი კარგად იცნობს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ როგორც სამამულო, ისე უცხოურ ლიტერატურას.

დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის დაუმუშავებლობამ წარმოშვა ამ საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა, რომელმაც საშუალება მისცა ავტორს ჩამოეყალიბებინა პროვოკაციულ ქმედებათა მართებული შეფასება. პრობლემატიკის მოგვარების მიზნით მას შემუშავებული აქვს მრავალი საინტერესო რეკომენდაცია, რომელსაც შეუძლია გამოასწოროს და ხელი შეუწყოს ქმედების დანაშაულის პროვოკაციად კვალიფიკაციის საკითხის სწორად გადაწყვეტას.

ნაშრომში ავტორის მიერ განხილული საკითხებისა და აქტუალური სისხლისსამართლებრივი პრობლემების შესახებ მოცემული მასალები შემოქმედებითადაა გააზრებული, რაც იძლევა საშუალებას მეცნიერებმა და პრაქტიკოსმა მუშაკებმა ნაყოფიერად გამოიყენონ ავტორისეული დასკვნები, რომელიც უდაოდ ავტორის კარგი მეცნიერული კვლევის უნარის მაჩვენებელია. ამასთან აშკარაა, რომ ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ შესაბამისი ლიტერატურის შესწავლის, გაანალიზების ავტორისეული დასკვნების გამოტანის შედეგს. ნაშრომში კვლევა მიმართულია სისხლისსამართლებრივი აზროვნების განვითარებისაკენ.

ნაშრომი გამოდგება შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკების, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის.

შსს აკადემიის კვალიფიკაციის ამაღლებისა და
გადამზადების ფაკულტეტის უფროსი,
სამართლის დოქტორი, პროფესორი
რამაზ კვარაცხელია

შესავალი

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის პროვოკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემის კვლევას.

პასუხისმგებლობის დადგენა დანაშაულის პროვოცირებისათვის არა მარტო სამამულო კანონმდებლობის, არამედ საერთაშორისო სისხლის სამართლის პრობლემაცაა. სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებები ცდილობენ განსაზღვრონ პროვოკაციული მეთოდების გამოყენების დასაშვები ზღვრები სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთა გახსნისას, ასევე შეიმუშაონ დანაშაულთა პროვოცირების თავიდან აცილების და აღკვეთის ზომები. ეს პოზიცია ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმატიულ აქტებში.

ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პროვოკაციული ქმედებისათვის, მათ შორისაა საქართველოც. 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლმა გაითვალისწინა პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის, რაც წამოადგენს ახალ ნორმას ჩვენს კანონმდებლობაში. აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაციით კანონმდებლების მიერ უარყოფილი იყო დანაშაულის პროვოკაციის კაზუისტური ჩამოთვლის გზა, რაც დღემდე დამახასიათებელია მრავალი ქვეყნისათვის.

დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა თანამედროვე მეცნიერებაში დღემდე ნათლად არ არის გააზრებული, რადგან მეცნიერები ცდილობენ დანაშაულის პროვოკაციის გარკვევისას მოიშველიონ თანამონაწილეობის ინსტიტუტი. კვლევის გარეშე რჩება ის გარემოება, რომ პროვოკაციის უმართლობა და ამსრულებლის უმართლობა თანამონაწილეობის დროს სხვადასხვა ბუნებისაა. მართალია, ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ამახვილებს ამ განსხვავებაზე ყურადღებას, მაგრამ დასკვნის ჩამოყალიბების დროს ვერ სცილდებიან თანამონაწილეობის კონსტრუქციას. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა შემოგვთავაზა პროფესორმა ო. გამყრელიძემ, მაგრამ სამამულო იურისტებმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ის ვერ შეამჩნიეს. საბოლოოდ, დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის გადაწყვეტის შემოთავაზებული ვარიანტები ძველებურად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი დარჩა.

ძირითადად პრობლემა რჩებოდა ღიად, რადგან თანამონაწილეობის ინსტიტუტის მოშველიებით ვერ წყდებოდა დანაშაულის პროვოკაციის საკითხი: პროვოკაციის უმართლობა არ ემთხვეოდა წაქეზებული პირის ქმედების უმართლობას. უფრო მეტიც, მეცნიერებაში ღიად რჩებოდა კითხვა: თუკი პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებლის ქმედება მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, რატომ არ უნდა აგოს პასუხი წამქეზებელმა დანაშაულის პროვოკაციისათვის მაშინ, როდესაც ამსრულებელი გასცილდა მცდელობას და დადგა დანაშაულებრივი შედეგი? როგორ უნდა გადაწყდეს პროვოკატორის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ წაქეზებულმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული?

სსკ-ს 145-ე მუხლის კონსტრუქცია ხსენებულ შემთხვევებს არ წყვეტს, რაც ნორმის აშკარა ხარვეზს წარმოადგენს, რომლის შევსება აუცილებელია. ამის შედეგად ვერ ხერხდება დანაშაულის პროვოკაციის ადეკვატური დაკვალიფიცირება.

დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის დაუმუშავებლობა წარმოშობს ამ საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ჩამოგვეყალიბებინა პროვოკაციულ ქმედებათა მართებული შეფასება. მიუხედავად მოცემული საკითხის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში არ გვაქვს პროვოკაციული საქმიანობის კომპლექსური გამოკვლევა.

ამ საკითხების გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ კანონში არსებული ხარვეზი და შევთავაზოთ სასამართლო პრაქტიკას დანაშაულის პროვოკაციის უფრო დახვეწილი ნორმა.

საქართველოს სისხლის სამართლის თეორიაში დაგროვილია დანაშაულის პროვოკაციის კვლევის გარკვეული გამოცდილება. მაგრამ პროვოკაციის ცალკეული ასპექტები, როგორც წესი, განიხილებოდა სხვა, უფრო საერთო პრობლემური საკითხების ფარგლებში. საბჭოთა პერიოდში მათი კვლევა ძირითადად თანამონაწილეობის ინსტიტუტის ფარგლებში წარმოებდა. თანამედროვე პერიოდში დანაშაულის პროვოკაციის პრობლემისადმია მიძღვნილი ო. გამყრელიძის, თ. ებრალიძის, ი. დვალიძის და სხვათა შრომები. დაგროვილი მასალა საშუალებას გვაძლევს საკითხი ობიექტურად გადავწყვიტოთ. რაც შეეხება, საზღვარ-

გარეთის ქვეყნებს, იქ დანაშაულის პროვოკაციის საკითხი არათანმიმდევრულად წყდება. საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში დანაშაულის პროვოკაციის არსი კვლავ პრობლემატურია, რადგან მისი გარკვევის კვალობაზე თანამონაწილეობის ინსტიტუტის კვალი მაინც შეიმჩნევა.

ამრიგად, პროვოკაციის იურიდიული ბუნება, ცნება და სამართლებრივი შედეგები დამოუკიდებელი პრობლემის სახით სისხლის სამართლის თეორიაში ბოლომდე არაა გარკვეული. ეს გარემოებები მიუთითებს აღნიშნული პრობლემების ყველა ასპექტის დეტალური განხილვის აქტუალობასა და აუცილებლობაზე, რამაც განაპირობა წინამდებარე გამოკვლევის თემის არჩევა.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს სსკ -ს 145-ე მუხლით აღწერილი ქმედების ანალიზი და ამის შედეგად წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

გამოკვლევის მიზანი განისაზღვრება კონკრეტული ამოცანებით:

- დანაშაულის პროვოკაციის არსის გამოვლენა სისხლისსამართლებრივ ასპექტში;
- დანაშაულის პროვოკაციის ძირითადი ნიშნების განსაზღვრა;
- სისხლის სამართლის თეორიის იმ საკამათო საკითხების განხილვა, რომლებიც წარმოიშობა პროვოცირებულ დანაშაულთა კვალიფიცირებისას;
- თეორიული დამუშავების და უცხოეთის იმ სისხლის სამართლის კანონმდებლობის განზოგადება, რომელიც არეგულირებს პასუხისმგებლობას დანაშაულის პროვოკაციისათვის;
- წინადადებების მომზადება სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

ნაშრომის კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს:

- დანაშაულის პროვოკაციის მონოგრაფიულ შესწავლაში;
- სსკ-ს 145-ე მუხლში ცვლილებების შეტანაში;
- დანაშაულის პროვოკაციის ცნების მკაფიო სისხლისსამართლებრივ განსაზღვრასა და საკანონმდებლო დამკვიდრებაში.

ჩატარებულმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა ძირითადი დებულება: "მუხლი 145. დანაშაულის პროვოკაცია.

1. დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით...

2. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია.... . ."

ნაშრომში წარმოდგენილ დასკვნებსა და წინადადებებს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა და მათი გამოყენება შეიძლება სისხლის სამართლის და ოპერატიულ-სამძებრო კანონმდებლობის სრულყოფისთვის, აგრეთვე საუწყებო ნორმატიული აქტების მომზადებისას. გამოკვლევაში მოცემული შედეგების გამოყენება შეიძლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს მოცემული პრობლემის შემდგომი დამუშავებისას და, გარდა ამისა, სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კურსის სასწავლო პროცესში სამართალდამცავი სისტემის სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამ პრობლემების ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალგამოყენებითი პრაქტიკისათვის.

თავი I.

დანაშაულის პროვოკაციის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში

§ 1. დანაშაულის პროვოკაციის ისტორია საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში

1. დანაშაულის პროვოკაციის პრობლემატიკაში ისტორიულად ცენტრალური ადგილი უჭირავს საკითხს, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად პროვოკატორის დასჯას, ე.ი. რისთვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკატორს. ამ საკითხზე როგორც ძველ, ისე უახლეს ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთის აზრით, პროვოკატორი ისჯება იმის გამო, რომ მისი მოქმედება (წაქეზება) მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან. პროვოკატორი ხელყოფს იმავე ობიექტს, რასაც ხელყოფს ამსრულებელი, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამსრულებელი უშუალოდ აზიანებს კანონით დაცულ სიკეთეს, პროვოკატორი ამას სხვისი, სახელდობრ, ამსრულებლის მეოხებით აკეთებს. ერთი სიტყვით, ამ თვალსაზრისის მიხედვით, როგორც პროვოკატორის, ისე ამსრულებლის დასჯა ერთსა და იმავე საფუძველზე ხდება. სხვათა აზრით, პროვოკატორი და ამსრულებელი ხელყოფენ სხვადასხვა უმართლობას და ამიტომ ისინი ასრულებენ განსხვავებულ შემადგენლობას.

2. დანაშაულის პროვოკაციის საკითხი საბჭოთამდელი პერიოდის რუსეთში სპეციალური განხილვის საგანი იყო. ამ ინსტიტუტის ევოლუციის თავისებურებებზე არსებით გავლენას ახდენდა სამი ფაქტორი: რევოლუციურ ორგანიზაციებთან ბრძოლის პრაქტიკა, ცარიზმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების აზრი და იმ დროის სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობა.

მეფის რუსეთში დანაშაულის პროვოკაცია პრაქტიკაში იყო პოლიციის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. საიდუმლო პოლიციის მუშაობის ხერხების კარგი მცოდნე საიდუმლო პოლიციის (ოხრანკის) თანამშრომელი ლ. მენშიკოვი აღნიშნავდა,

რომ არსებობდა აგენტ-პროვოკატორების რამდენიმე კატეგორია. მათ განეკუთვნებოდნენ აგენტი-პროპაგანდისტი, აგენტი-მესტამბე, აგენტი-ტერორისტი და აგენტი-ექსპროპრიატორი. მათ გარშემო ჯგუფდებოდნენ რევოლუციონერები, რომლებიც პოლიციის მითითებით ქმნიდნენ საჭირო სამხილებს, რაც საშუალებას აძლევდა მათ ნებისმიერი თანმიმდევრობით მტრებს გასწორებოდნენ[1]. მენშიკოვი იხსენებდა, რომ აგენტები და ჟანდარმები ერთნაირი ზომით უწყობდნენ ხელს ტექნიკური რევოლუციური წამოწყებების ჩამოყალიბებას. მაგრამ აგენტებში ეს ვლინდებოდა უფრო ფარული, შენილბული ფორმით, ვიდრე ჟანდარმებთან. პირველებთან სტამბები იქმნებოდა საიდუმლო თანამშრომლებთან შეთანხმებით, ჟანდარმებთან კი თითქმის ყოველთვის "აგენტის უშუალო მონაწილეობით". ეს ზოგჯერ სკანდალების მიზეზი ხდებოდა და პოლიციის დეპარტამენტი დაბეჯითებით ურჩევდა ადგილობრივ ორგანოებს, ისე აეწყოთ მუშაობის ორგანიზაცია, რომ აგენტურის მაღალი ინფორმირებულობა აუცილებლად ყოფილიყო შეთავსებული მის მინიმალურად აქტიურ მონაწილეობასთან ლეგალურ წამოწყებებში[2].

მაგრამ მის ლეგალიზაციას ხელს უშლიდა სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამასთან ერთად, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი რიგი ინსტრუქციები და ცირკულარული წერილები, რომლებითაც ხან ორაზროვნად იკრძალებოდა დანაშაულის პროვოკაცია, ხან კიდევ უსიტყვოდ მიუთითებდნენ მის აუცილებლობაზე.

დანაშაულის პროვოკაცია ჩვეულებრივ ითვლებოდა "ოპერატიულ-ტაქტიკურ ხერხად", რომელიც არაოფიციალურად და სხვადასხვა გზით ხორციელდებოდა. და ეს სავსებით გასაგები იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ დანაშაულის პროვოკაციას აგენტი ვერ მიმართავდა რაიმე ნორმის საფუძველზე, რადგანაც ასეთი რამ საერთოდ არ არსებობდა.

როგორც ჟანდარმერიის გენერალი ა. სპირიდოვიჩი წერდა, პროკურატურისათვის რომ მტკიცებულებები ჩქარა შეეკრიბა, აგენტს რევოლუციურ ორგანიზაციაში უნდა შეეღწია და შემდეგ,

---

1 იხ: Меньшиков Л.П. Охрана и революция. Ч. III. М., 1932. С. 35 - 48.

2 იქვე. გვ. 42

მისი სასწრაფოდ ლიკვიდაციის მიზნით, მოეხდინა ორგანიზაციის პროვოცირება გარკვეული აქტის ჩასატარებლად.[3] მაგრამ აქ წარმოიშობოდა სამართლებრივი ხასიათის სიძნელეები.

ჯერ-ერთი, თავისთავად, „მძიმე დანაშაულის ჩასადენად ჩამოყალიბებულ გაერთიანებაში", რომელიც გათვალისწინებული იყო 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების 99-ე მუხლით (იმპერატორის, იმპერატრიცის, ან ტახტის მემკვიდრის წმინდა გვამის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების და საერთოდ, ხელშეუხებლობის ხელყოფა, ან იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდების, ან მისთვის უმაღლესი ხელისუფლების, ან უფლებათა შეზღუდვის განზრახვა) აგრეთვე მე-100 მუხლით (რუსეთში ან მის რომელიმე ნაწილში კანონებით დადგენილი მართვის წესის ან ტახტის მემკვიდრეობის წესის ხელყოფა, ან რუსეთისაგან მისი რომელიმე ნაწილის ჩამოცილების ძალისმიერი მცდელობა) 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულდებით ისჯებოდა 8 წლიანი ან სამუდამო კატორლით[4]. გარდა ამისა, რევოლუციური ორგანიზაციების ლიკვიდაცია მათი საქმიანობის ყველაზე დიდი გამოვლინების მომენტში, დანაშაულის აშკარა მტკიცებულებებით მიზნად ისახავდა სასამართლო რეპრესიის საჩქაროდ გამოყენებას და აღკვეთის უმაღლესი ზომების მიღებას. 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულდების 52-ე მუხლის თანახმად პირს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მარტო იმისათვის, თუ მან გამოთქვა თანხმობა მიიღოს მონაწილეობა იმ გაერთიანებაში, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე დანაშაულის ჩადენას[5]. სჯულდების 121-ე მუხლი ფართოდ განმარტავდა გაერთიანების ცნებას და აკისრებდა პასუხისმგებლობას პირს, რომელმაც არ შეასრულა ჟანდარმერიის მოთხოვნა და გააგრძელა ხალხის შეკრებაში მონაწილეობა.[6]

მეორეც, ჟანდარმერიას ექმნებოდა მტკიცებულების პრო-

---

3 იხ: Падение царского режима: Стенографические отчеты допросов и показаний, данных в 1917 г. в Чрезвычайной Следственной Комиссии Временного Правительства. Т. 3. Л., 1925. С. 211–212.

4 იხ: Российское законодательство X–XX веков. Т. 9. М., 1994. С. 300.

5 იხ. იქვე. გვ. 287.

6 იხ: В.Б.Романовская, С.Л. Рогов. Политические преступления по уголовному уложению – Право (Вестник Нижегородского Университета им. Н.А.Лобачевского). 2007, № 3, с. 183-187

ბლემები. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების წესდებაში შეტანილი იყო დანაშაულთა გამოკვლევისას ჟანდარმთა კორპუსის ჩინების მოქმედების წესები, რომელიც 1871 წლის 19 მაისს მიიღეს. ეს წესები ჟანდარმებს ავალდებულებდა განეხორციელებინათ სახელმწიფო დანაშაულთა წინასწარი გამოძიება. აღნიშნული წესები უშვებდნენ აგენტის მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფარმაციის გამოყენებას.[7] მაგრამ სასამართლოსაგან ინფორმაციის წყარო არ მჟღავნდებოდა. ამის შედეგად "სასამართლომდე მისული ასეთი მოკვლევის მასალები დაცვის გამანადგურებელი კრიტიკის ობიექტი ხდებოდა, რომელიც მიუთითებდა ბრალდების მიერ მოხმობილი მრავალი ფაქტის დაუმტკიცებლობაზე"[8]. ოხრანკის თანამშრომლებს არ შეეძლოთ სასამართლოში თანამშრომლის მოწმის სახით გამოყენება, რადგანაც ეს საბოლოოდ აგენტის გამჟღავნებას ნიშნავდა, რაც ამ უწყებაში დაუშვებლად იყო მიჩნეული.[9] მაშასადამე, სასამართლოში უნდა წარედგინათ დანაშაულის ცხადი სამხილები, აგრეთვე ყალბი მოწმეები. უკანასკნელთა შერჩევას ოხრანკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა: "ძებნის ნაყოფიერებას, სასამართლო დევნის შესაძლებლობის თვალსაზრისით, ხელს შეუწყობს აგენტურის ყურადღებიანი დამოკიდებულება იმ პირთა მითითებებისადმი, რომლებიც შეიძლება დაიკითხონ მოწმეთა სახით", - იუწყებოდა პოლიციის დეპარტამენტის 1908 წლის 2 მარტის №126034 ცირკულარი.[10]

რუსეთის კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა დანაშაულის პროვოკაციას. უფრო მეტიც, არა მარტო პროვოკატორს, არამედ რევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილე ნებისმიერ აგენტს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ელოდა. ამიტომ იმპერიული სახელმწიფოებრიობა ესწრაფოდა სხვადასხვა საშუალებით დაეკანონებინა თავისი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა,

---

7 იხ: Полное собрание законов Российской империи. Собр. 2. Т. 46. № 49615

8 იხ: Скрипилев А. Е. Об одной стороне судебной контрреформы в России - Советское государство и право. 1983. № 9. С. 122.

9 იხ: Курлов П. Г. Гибель императорской России. М., 1991. С. 86.

10 იხ: Скрипилев А.Е. Отдельный корпус жандармов в карательном механизме царской России -Тезисы докладов на теоретической конференции аспирантов института государства и права АН СССР и юридического факультета МГУ им. М.В. Ломоносова. - М.: Изд-во ИГиП АН СССР, 1983. С. 25-26

მისი შემდგომში სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენების მიზნით, აგრეთვე მისი კონტროლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

დანაშაულის პროვოკაციას, როგორც წესი, განმარტავდა ჟანდარმერიის სხვადასხვა რგოლის ინსტრუქცია. მაგრამ დანაშაულის პროვოკაციის ცნება ხშირად ბუნდოვან ხასიათს ატარებდა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ მოსკოვის ჟანდარმერიის ინსტრუქცია,[11] რომლის ტექსტიდან ძნელი გასაგებია, დაშვებული იყო თუ არა დანაშაულის პროვოკაცია, მაგრამ რიგ ინსტრუქციებში ჟანდარმერია იძულებული იყო პირდაპირ განესაზღვრა დანაშაულის პროვოკაციის არსი. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მ. ი. ტრუსევიჩის მიერ ხელმოწერილ 1907 წლის 10 მაისის №125449 ცირკულარში "პროვოკატორობა" ეწოდებოდა შემთხვევას, როცა აგენტები ცდილობდნენ "თვითონვე შეექმნათ დანაშაულებრივი ქმედებები და ამისათვის პასუხისმგებლობა სხვებისთვის დაეკისრებინათ, რომლებიც ამ საქმეში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ ან საერთოდ არანაირად არ იყვნენ მასთან დაკავშირებული"[12].

ზოგიერთ ინსტრუქციაში არ იყო მოცემული პროვოკატორობის დეფინიცია, მაგრამ განსაზღვრული იყო ასეთი ღონისძიების პოლიტიკური აუცილებლობა. ასე, მაგალითად, მოსკოვის ჟანდარმერიის განყოფილებაში 1907 წელს შედგენილი შინაგანი აგენტურის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ინსტრუქციის მეოთხე პარაგრაფი აშუქებდა პროვოკაციის გამოყენების მიზანს: „პოლიტიკური ძებნის ყველა მისწრაფება მიმართული უნდა იყოს რევოლუციური ორგანიზაციების ცენტრების დადგენისა და განადგურებისაკენ მათი საქმიანობის ყველაზე აქტიური გამოვლენის მომენტში. ამიტომ ძებნის საქმის "ჩაგდება" რაიმე სტამბის ან საწყობში უძრავად შენახული იარაღის აღმოჩენის გულისათვის არ იყო გამართლებული. ამ საგნების ამოღება მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, თუ მათი გამოყენება შეიძლება გამოსააშკარავებელი მასალის სახით ცნობილი რევოლუციონერების წინააღმდეგ,

---

11 იხ: Российское законодательство X–XX веков Т. 9. М., 1994. С. 287.

12 იხ: Государстуенный Архив РФ. Фонд 58. Опись 5. Документ 4. Лист 74

როცა ეს მასალა იძლევა მოკვლევის ან გამოძიების პროცესში მათი ჩართვის სრულ საფუძველს, რითაც მიიღწევა ძებნის საბოლოო მიზანი — ორგანიზაციის განადგურება"[13].

ცირკულარებში უანდარმერია პროვოკაციულ ქმედებებს კანონსაწინააღმდეგოდ აცხადებდა, მაგრამ ამავე დროს იგი მოითხოვდა თითოეული შემთხვევისადმი "ობიექტურ" მიდგომას. მაგალითად, 1907 წლის 10 მაისის №125449 ცირკულარი "აღშფოთებული" იყო იმის გამო, რომ "ზოგიერთი საიდუმლო თანამშრომელი აქტიურად მონაწილეობდა ისეთ რევოლუციურ საქმიანობაში, როგორიცაა შეიარაღებული ექსპროპრიაციები, ბომბების შენახვა და ა. შ., ამასთან ერთერთმა თანამშრომელმა ჩხრეკის დროს მეზობელსაც კი ჩაუდო თავის ბინაში შენახული ბომბი. ამავე დროს პირები, რომლებიც ძებნას ხელმძღვანელობდნენ, თავიანთი საიდუმლო თანამშრომლების მსგავს საქმიანობას გებულობდნენ მხოლოდ გამოძიებაში მათი ჩართვის შემდეგ, ხოლო პოლიციის დეპარტამენტში გაგზავნილ თავიანთ პაკეტებში ცდილობდნენ გაემართლებინათ მათი დანაშაულებრივი და პროვოკაციული საქმიანობა, ღძრავდნენ თანამშრომლების სასამართლო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შუამდგომლობებს." ამავე დროს აღიარებდნენ, რომ „ორგანიზაციაში თავიანთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად...საიდუმლო თანამშრომლები იძულებულნი არიან თავი არ აარიდონ აქტიურ მუშაობას". დეპარტამენტი მოითხოვდა "ყველა ცალკე შემთხვევაში იმ პირის ნებართვის გამოთხოვას, რომელიც ხელმძღვანელობს აგენტურას, და ყოველ შემთხვევაში თანამონაწილეებად ჩართული არ იქნან უცხო პირები, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტი არანაირად არ შეეცდება შეამსუბუქოს იმ თანამშრომლის ბედი, რომელიც მხილებული იქნება დანაშაულში"[14]. აღვნიშნავთ, რომ ეს ცირკულარი გამოჩნდა სახელმწიფო სათათბიროში გაკეთებული შეკითხვების შემდეგ პოლიციელთა პროვოკაციების შესახებ, როცა სამამულო პრესა და არა მარტო რევოლუციური, საკმაოდ ხშირად აქვეყნებდა მასალებს პროვოკაციებზე, რომელთა შესახებაც საზოგადოებრიობისათვის ცნობილი ხდებოდა. ასეთ შემთხვევებში მსგავსი

---

13 იხ: Тайны политического сыска: Инструкция о работе с секретными сотрудниками / Публ. З. И. Перегудовой. СПб., 1992. С. 3.

14 იხ: ГА РФ. Ф. 58. Оп. 5. Д. 4. Л. 74.

პროვოკაციები ფართო გახმაურების საგანი ხდებოდა და ფრიად აზიანებდა სამძებრო საქმეს"[15].

მოგვიანებით პოლიტიკური ძებნის ბევრი ხელძღვანელი ცდილობდა განემარტა დანაშაულის პროვოკაციის ცნება. ასე მაგალითად, დაკითხვაზე საგანგებო საგამოძიებო კომისიაში მ. ი. ტრუსევიჩი აღნიშნავდა, რომ დანაშაულის პროვოკაცია არის დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობა.[16] ციხეთა მთავარი სამმართველოს უფროსი 1909 წლიდან, გენერალი პ. გ. კურლოვი წერდა: „სიტყვა პროვოკაცია" არ უნდა გავიგოთ, როგორც .... დანაშაულის ორგანიზაცია ან მისი ხელშეწყობა პირადი წარმატების და უფროსების წინაშე თავის გამოჩენის მიზნით"[17] და ა.შ. აღნიშნული მოსაზრებები ატარებდნენ სუბიექტურ ხასიათს და მოკლებული იყვნენ მეცნიერულ დასაბუთებას. როგორც აღნიშნავდა ცნობილი რუსი მეცნიერი ვ. ნაბოკოვი, აგენტ-პროვოკატორის დასჯადობის საკითხი საერთოდ არაა თეორიულად დასაბუთებული.[18]

აღნიშნული პერიოდის მეცნიერები ცდილობდნენ მეცნიერულად განემარტათ დანაშაულის პროვოკაციის ცნება. რუსი იურისტის ნ. ტაგანცევის აზრით, „აგენტი-პროვოკატორია ის, ვინც აქეზებს პირს დანაშაულის ჩასადენად მისი მართლმსაჯულებისათვის გადაცემის და დასჯის მიზნით".[19] ნ. ტაგანცევი მართებულად ასკვნიდა, რომ "იმ შემთხვევებშიც კი, როცა წამქეზებელი ხელმძღვანელობს არა პირადი ინტერესებით, არამედ თავისებურად გაგებული სამსახურებრივი მოვალეობებით ან საზოგადოებრივი ინტერესებით, მსგავსი განმარტება საკმარისი არაა წაქეზების დაუსჯელობის აღიარებისათვის. სამსახურებრივ მოვალეობებზე ლაპარაკი თავისთავად უსაფუძვლოა უკვე იმიტომ, რომ არავითარი კანონი არ აძლევს და ვერც მისცემს ვინმეს ასეთი საქმიანობის უფლებას.

ასეთი დამოწმება არაა საპატიო არა მარტო მაშინ, როცა კონ-

---

15 იხ. იქვე. ფ. 221

16 ციტირებულია წიგნიდან: Лурье Ф. М. Полицейские и провокаторы: политический сыск в России. 1649–1917. М., 1998. С. 10

17 იხ: Курлов П. Г. Гибель императорской России. М., 1991. С. 120.

18 იხ: Набоков В. Д. По поводу статьи В. Н. Новикова. Право. 1909. № 18, с. 12

19 იხ: Таганцев Н. С. Русское уголовное право: Лекции. Часть общая: М., 1994. Т. 1. С. 348

კრეტულმა აგენტმა საკუთარი თაოსნობით მიმართა დანაშაულის გახსნის მსგავს ხერხს, არამედ მაშინაც, როცა იგი მოქმედებდა უფროსის ბრძანებით, რადგანაც ასეთი ბრძანება უკანონოა[20]. ამასთან ის აღნიშნავდა, რომ „რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვიდგება ის შემთხვევები, როცა დაყოლიებული უკვე იძებნება ხელისუფლების მიერ რაიმე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, როცა აღარ არის ახალი ქმედების ჩადენის ან მისი მცდელობის ინტერესი, ხოლო ჩასაფრება ეწყობა არა პასუხიმგებლობის აღსაძვრელად ახალი ქმედებისათვის, არამედ მხოლოდ დამნაშავის დასაკავებლად. . . მაგრამ ასეთ პირობებში, ცხადია, არ არსებობს ისეთ დანაშაულში ჩართვის საფუძველი, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ან კატორღას"[21].

აღნიშნულ პერიოდში პრობლემური იყო დანაშაულის პროვოკაციის დაკავშირება უკიდურეს აუცილებლობასთან. როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის მაღალჩინოსანი პ. სტოლიპინი ცდილობდა დაესაბუთებინა დანაშაულის პროვოკაციის მართლზომიერება იმ შემთხვევაში, როდესაც პროვოკაცია ხორციელდება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.[22] ნ. ტაგანცევი ამ აზრს კრიტიკულად განიხილავდა, როცა წერდა: "უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის ქვეშ იგულისხმება . . . სამართლებრივი ნორმის ხელყოფა ასევე სამართალდაცვითი ინტერესის დასაცავად, როდესაც მას . . . გარდუვალი საფრთხე ემუქრება, მაგრამ თავდაცვისაგან იმ განსხვავებით, რომ ამ დროს ზიანი მიეყენება თავდამხმელს, აქ კი — მესამე პირს, ან კიდევ მდგომარეობს მხოლოდ კანონის დარღვევაში"[23].

აზეფის საქმის განხილვასთან დაკავშირებით დანაშაულის პროვოკაციის საკითხმა კვლავ მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. როგორც ცნობილია, ესერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ევნო აზეფი გასამრჯელოს იღებდა რუსეთის პოლიციის დეპარტამენტში, უშუალოდ მეფის მინისტრისგან. ამავე დროს იგი მილიონებს

---

20 იხ. იქვე, გვ. 349.

21 იხ. იქვე, გვ. 350.

22 ციტირებულია წიგნიდან: Лаврин А. П. Хроники Харона: Энциклопедия смерти. Новосибирск, 1995. С. 197.

23 იხ: Таганцев Н. С. Русское уголовное право: Лекции. Часть общая: М., 1994. Т. 1. С. 213.

იღებდა ებრაელთა თემებისა და ამერიკელი ბიზნესმენებისაგან იმპერიის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მკვლელობის ორგანიზაციისათვის. იგი ჯგუფად აერთიანებდა ახალგაზრდა და გამოუცდელ ჭაბუკებს, ამარაგებდა მათ ბომბებით, შემდეგ კი პოლიციას გადასცემდა და თითოეული "აცილებული" ტერაქტისათვის ათი ათასობით რუბლს იღებდა[24]. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ვ. ნ. ნოვიკოვმა წამოაყენა შემდეგი ფორმულირება: პროვოკატორად "რუსული პრაქტიკის თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს ყველა, ვინც აქეზებს სხვას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად ხელისუფლებისათვის დასასჯელად მისი გადაცემის მიზნით, მაგრამ ამასთან სურს დაუშვას პროვოცირებულის დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარება, მაგრამ არა მცდელობაზე იქით"[25]. დანაშაულის პროვოკაციის ამ ფორმულირებამ მეცნიერიურისტთა შორის დიდი დისკუსია გამოიწვია.

ნაბოკოვი მიუთითებდა, რომ საერთოდ განზრახვა შეიძლება მიმართულ იქნეს მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. მცდელობის განზრახვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან დანაშაულის მცდელობის ელემენტს წარმოადგენს ის, რომ იგი ვერ დამთავრდა დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამიტომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ დამნაშვის განზრახვა მიმართული იყოს სწორედ მცდელობაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა, რომ ეს განზრახვა მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც დამნაშავის ნებაზე დამოკიდებული არ არის. თვით მცდელობის არსის გამო წაქეზება მცდელობისადმი იურიდიულად შეუძლებელია. ეს არის contradictio in adjecto .[26]

პ. ლუბლინსკის აზრით, სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ "დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის განზრახვას", ხოლო ეს ცნება ორივე სტადიას გულისხმობს. მცდელობის ჩადენის განზრახვა თვისი არსით ისეთივე დანაშაულებრივი

---

24 იხ: Дело бывшего директора Департамента полиции Лопухина в особом присутствии Правительствующего Сената. Стеногр. отчет. СПб., 1910. С. 5-6.

25 იხ: Новиков В. Н. Ответственность провокатора по уголовному уложению - Право. 1909. № 18.

26 იხ: Труды юридического общества при императорском С.-Петербургском университете. том 1, С.П.1910, с. 242

განზრახვაა, როგორც დამთავრებული ქმედების ჩადენის განზრახვა. "წამქეზებელი, რომელსაც სურს მცდელობა და რომელმაც იცის მის მიერ წაქეზებულ პირთა საქმიანობის შესახებ, სავსებით განასახიერებს თანამონაწილეობის სუბიექტურ შემადგენლობას და, მაშასადამე, უნდა დაისაჯოს. ..... .პროვოკატორი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა, როდესაც აქეზებდა ვინმეს დანაშაულის ჩასადენად, თუნდაც ეს დანაშაული მხოლოდ მცდელობის სტადიამდე მივიდეს, უნდა დაისაჯოს მოქმედი კანონის ზუსტი აზრის შესაბამისად"[27].

პ. ლუბლინსკი იზიარებდა ნ. ტაგანცევის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავდა, რომ წამქეზებლის დასჯადობა ვერ გაუქმდება არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც წამქეზებელი საკუთრი ინტერესებისათვის მოქმედებდა, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი თავისებურად გაგებული სამსახურებრივი მოვალეობით ან საზოგადოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. ტაგანცევის აზრით, აგენტ-პროვოკატორი უნდა იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, როგორც წამქეზებელი, შემდეგი მოსაზრებების გამო: „იგი ითვალისწინებდა, რომ აქეზებდა სხვა პირს, მას შეგნებული ჰქონდა, რომ აქეზებდა დანაშაულის ჩასადენად, და წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მისი წაქეზების შედეგი იქნება ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იყოს წაქეზებულის დანაშაულებრივი საქმიანობა. უფრო მეტიც, მას არა მარტო შეგნებული ჰქონდა უკანასკნელი პირობა, არამედ სურდა კიდევაც მისი შესრულება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გულგრილად ეკიდებოდა მას"[28].

რევოლუციამდელი პერიოდის რუსულ ლიტერატურაში იყო დანაშაულის პროვოკაციის გააზრების მცდელობები სხვა მასთან ახლოს მდგომი დანაშაულებისაგან მისი განსხვავების დადგენის თვალსაზრისით, ისეთებისაგან, როგორიცაა ჯაშუშობა, ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა. „ჩვეულებრივ მეტყველებაში, - წერს ი. ს. ურისონი, - პროვოკატორს ხშირად არამართებულად უწოდებენ მათ, ვინც მეგობრის ან თანამგრძნობის ნიღაბს ირგებს და ცდილობს გამოსტყუოს სხვას მისი დანაშაულებრივი გეგმები,

---

27 იხ. იქვე, გვ. 272

28 იხ: Таганцев Н. С. Русское уголовное право: Лекции. Петербургю 1902, с.770

რომ შემდეგ მასზე მინდობილი ადამიანები გადასცეს ხელისუფლებას. სინამდვილეში, ასეთი სახის საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს უფრო ოსტატურ და დახვეწილ ჯაშუშობას, ჯერ კიდევ არ შეადგენს პროვოკაციას. პროვოკატორია ის, ვინც აგულიანებს სხვას ჩაიდინოს დანაშაული: ჯაშუშისაგან განსხვავებით, პროვოკატორი ესწრაფვის არა მარტო ათქმევინოს უკვე არსებული დანაშაულებრივი ჩანაფიქრი ან გახსნას უკვე ჩადენილი დანაშაულობანი, არამედ, აქვს რა იგივე მოღალატური ჩანაფიქრი, რაც ჯაშუშს, გამოდის აქტიურ როლში, სხვას აღაგზნებს, აქეზებს სიტყვით, იწვევს, ახდენს დანაშაულებრივი ქმედების პროვოცირებას, რომ ყველაზე მოხერხებულ მომენტში პროვოცირებული მსხვერპლი გადასცეს ხელისუფლებას"[29].

ი.ს. ურისონი თავის სტატიაში დამაჯერებლად ასაბუთებდა პოლიციის აგენტის ბრალეულობას პროვოკატორობის ორი სახის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე: დანაშაულებრივ შეგულიანებას და რევოლუციურ აგიტაციას (1903 წლის სისხლის სამართლის დებულების 102-ე და 129-ე მუხლები), აღნიშნავდა არსებით განსხვავებას მათ შორის. დანაშაულებრივი შეგულიანება კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად იყო პროვოკატორის კონტროლის ქვეშ და მას შეეძლო შეეჩერებინა დანაშაული დაპატიმრების გზით დანაშაულის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე, რაც გარკვეული ხარისხით შეარბილებდა პროვოკატორის ბრალეულობას, თუმცა ბოლომდე არ მოხსნიდა მას, ხოლო რევოლუციური აგიტაციის შემთხვევაში მისი შედეგები არაკონტროლირებადი და არაპროგნოზირებადი იყო, რასაც მთავრობისათვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა[30].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საბჭოთა პერიოდამდელი მეცნიერები ცდილობდნენ განეხილათ დანაშაულის პროვოკაცია, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი სახეობა. მაგრამ იგი მაინც განიხილებოდა თანამონაწილეობის კონტექსტში, რამეთუ დანაშაულის პროვოკატორს უწოდებდნენ წამქეზებელს. ჯერ კიდევ არ იყო ღრმად დამუშავებული დანაშაულის პროვოკაციის განსხვავება დანაშაულის ჩადენისათვის წაქეზებისაგან. არ იყო გამო-

---

29 იხ: **Урысон И. С. Агент-провокатор по действующему уголовному праву. Право. 1907. № 32.**

30 იხ. იქვე

ყოფილი ლრმა სხვაობები მათ შორის. და, მიუხედავად ამისა, იყო დანაშაულის პროვოკაციის გააზრების სერიოზული მცდელობა. წიგნის „პეტრაშევსკი და სამეფო საიდუმლო პოლიცია" ავტორი ა. ფ. ვოზნი წერდა: „პროვოკატორში" ჩვენ ვგულისხმობთ არა უბრალოდ საიდუმლო პოლიტიკურ აგენტს, რომელმაც შეაღწია რევოლუციურ ორგანიზაციაში იმისათვის, რომ ცნობები მიაწოდოს პოლიციას, გასცეს ორგანიზაციის წევრები, არამედ ისეთ პოლიციის აგენტს, რომელიც თავისი მოქმედებით აგულიანებს, აქეზებს რევოლუციონერებს მათთვის არამომგებიან ქმედებებზე, მათი გამოაშკარავებისა და დაპატიმრებიხ მიზნით"[31].

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციურ გარემოში საიდუმლო აგენტურას აგდებულად უწოდებდნენ პროვოკატორებს. ამ განსაზღვრებამ ფართო გავრცელება ჰპოვა 1880-იანი წლების დასაწყისში დეგაევის საქმესთან დაკავშირებით[32]. რევოლუციონერები და მათი გავლენით, ობივატელებიც ყველა საიდუმლო აგენტს პროვოკატორს უწოდებდნენ. ასე მოხდა ცნებათა აღრევა, რის შედეგადაც ტერმინმა "პროვოკატორი" ნეგატიური ემოციური ელფერი შეიძინა.

რევოლუციონერებს შორის გავრცელებული იყო ჩვევა და ოხრანკის ყველა, მათ წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას ისინი პროვოკაციას უწოდებდნენ. ობიექტურობისათვის მივმართოთ პოლიციის დეპარტამენტის ინსტრუქციებსა და ცირკულარებს, ოხრანკის ხელმძღვანელთა დამოწმებებს. ბეჭდვითი გამოცემების დიდი უმრავლესობა საიდუმლო თანამშრომელთა ყველა ქმედებას განიხილავდა, როგორც პროვოკაციას, თვით თანამშრომლებს კი პროვოკატორებს უწოდებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს არავითარი რევოლუციონერები არ არსებობდნენ და მთელ რევოლუციურ საქმიანობას „ოხრანკის" აგენტები აწარმოებდნენ, ხოლო დამნაშავეთა სკამზე ხვდებოდნენ უდანაშაულო გარეშე ადამიანები, რომლებიც არანაირად არ იყვნენ დაკავშირებული მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობასთან. ასეთი პროპაგანდის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მას შეცდომაში შეჰყავდა პოლიტიკაში საკმაოდ გათვითცნობიერებული ადამიანებიც კი.

---

31 იხ. მითითებული ნაშრომი : Лурье Ф.М. გვ.10.

32 იხ: Ю.Ф. Овченко. Провокация на службе охранки - Новый исторический вестник. 2003 № 1(9) -http://www.nivestnik.ru/2003_1/2.shtml

1916 წელს საფრანგეთის ელჩი მ. პალეოლოგი თავის დღიურში წერდა: "რუსეთისათვის სპეციფიურს წარმოადგენს პოლიციის პროვოკატორული როლი გაფიცვების დროს, ეს თითქმის ყველაზე სამარცხვინო ლაქაა ახლანდელი რეჟიმისა. . . სამრეწველო ცენტრებში საზიზღარი პოლიციის განყოფილებები ინახავენ მრავალრიცხოვან აგენტებს, არა რევოლუციური ელემენტების სათვალთვალოდ, არამედ იმისთვის, რომ ისინი ხელში ეჭიროთ, მხარი დაუჭირონ და გამოსვლის საშუალება მისცენ მაშინ, როცა ოხრანკას ეს საჭიროდ მიაჩნია. საკმარისია „კონსტიტუციურმა დემოკრატებმა" ხმა აიმაღლონ საზოგადოებაში ან სახელმწიფო სათათბიროში, ან მეფემ გამოავლინოს რაიმე მოკრძალებული გადახრა ლიბერალიზმისაკენ, რომ დაუყოვნებლივ სადმე იმართება ბობოქარი გაფიცვა. ცაზე ჩნდება რევოლუციის აჩრდილი სისხლიანი სხივებით, როგორც საშინელი სამსჯავროს მაუწყებელი. მაგრამ კაზაკები ყოველთვის ადგილზე არიან და წესრიგიც აღდგენილია. კიდევ ერთხელ საიდუმლო პოლიციამ გადაარჩინა თვითმპყრობელობა და საზოგადოება . . . რომ მერე ისინი აუცილებლად დალუპოს".[33]

3. საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობის მომენტიდან დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტი ორი გზით ვითარდებოდა. ერთი მათგანი წარმოადგენდა წითელი ტერორის პოლიტიკურად ლეგიტიმურ საშუალებას. მეორე — საკანონმდებლო კი წარმოიშვა შედარებით გვიან, 20-იან წლებში. ისინი ერთმანეთს არ ბორკავდნენ და რიგ შემთხვევებში კიდეც ავსებდნენ ერთმანეთს. ამაზე მიუთითებს ამ პერიოდის სახელმწიფო პოლიტიკა.

1921 წლის თებერვალში, მენშევიკური მთავრობის მმართველობის ქვეშ სამწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველო წითელმა არმიამ დაიკავა, მაგრამ, ამიერკავკასიაში ბოლშევიკური კომპარტიის მდივნის ალექსანდრე მიასნიკიანის აღიარებით, „საკმაოდ ცხელ საქმედ დარჩა". აქ ბოლშევიკების პარტია არამრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, ხელისუფლებაში მოსვლიდან სამი წლის განმავლობაში მან შეძლო მიეღო თავის რიგებში მხოლოდ 10 ათასი წევრი, მაშინ როცა მას უხდებოდა დაპირისპირება ანტიბოლშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასა და დიდგვარო-

---

33 იხ: Палеолог М. Царская Россия накануне революции. М., 1996. С. 26.

ვანთა მძლავრ ფენასთან, ეს კი იყო ასობით ათასი ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ კიდევ იმაზე, რომ მენშევიკების ორგანიზაცია საქართველოში 1920 წელს 60 ათას წევრზე მეტს ითვლიდა. ტერორის მიუხედავად, რომელიც ორგანიზებული იყო ყოვლისშემძლე საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ, რომელიც მოსკოვზე ნაკლებად იყო დამოკიდებული და მას ხელმძღვანელობდა საიდუმლო პოლიციის ახალგაზრდა თანამშრომელი ლავრენტი ბერია, დევნილობაში მყოფმა მენშევიკმა ხელმძღვანელებმა 1922 წლის ბოლოს სხვა ანტიბოლშევიკურ პარტიებთან ერთად ჩამოაყალიბეს საქართველოს დამოუკიდებლობის საიდუმლო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა აჯანყება. იგი დაიწყო 1924 წლის 28 აგვისტოს, პატარა ქალაქ ჭიათურაში, მისი ძირითადი მონაწილეები იყვნენ გურული გლეხები. რამდენიმე დღეში აჯანყებამ საქართველოს 25 რაიონიდან ხუთი მოიცვა. მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. მოწინააღმდეგის აღჭურვილობაში შედიოდა არტილერია და ავიაცია. აჯანყება ერთ კვირაში ჩაახშეს. ამიერკავკასიაში ბოლშევიკების კომპარტიის პირველმა მდივანმა სერგო ორჯონიკიძემ და ლავრენტი ბერიამ ეს აჯანყება საბაბად გამოიყენეს, რომ საბოლოოდ გასწორებოდნენ "მენშევიკებს და საქართველოს დიდგვაროვნებს". გამოქვეყნებული მონაცემებით, 1924 წლის 29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე დახვრიტეს 12 578 ადამიანი. რეპრესიის მასშტაბი იმდენად დიდი იყო, რომ პოლიტბიურომ შეშფოთება გამოთქვა. პარტიის ხელმძღვანელებმა ორჯონიკიძეს შეახსენეს, რომ არსებობს ბრძანება, რომლითაც აკრძალულია მასობრივი და მეტისმეტად მრავალრიცხოვანი, განსაკუთრებით კი პოლიტიკური დახვრეტები ცენტრის სპეციალური ნებართვის გარეშე. მიუხედავად ამისა მასობრივი სიკვდილით დასჯა კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1924 წლის ოქტომბერში, სერგო ორჯონიკიძემ თითქოს "დათმო" პოზიციები და აღნიშნა: 'შეიძლება, ჩვენ ცოტა ზედმეტი მოგვივიდა, მაგრამ სხვაგვარად არ შეგვეძლო!"[34]

რაც შეეხება მეცნიერულ გამოკვლევებს, 60-იან წლებამდე

---

34 იხ: С. Куртуэ, Н. Верт, Ж.Панне, А. Пачкооскио, К. Бартошек, Ж. Марголен. Черная книга коммунизма: преступления, террор, репрессии (пер. с французского). М. «Три века истории».2001, с.66-252

მათ ფრიად ფრთხილად ახორციელებდნენ, მხოლოდ მიღებული პარტიული დადგენილებების შესასრულებლად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მეცნიერება გაბედულ გადაწყვეტილებებს საერთოდ არ თავაზობდა და მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში ინტენსიურად გაიშალა დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის კვლევა.

საბჭოთა კანონმდებლობაში დანაშაულის პროვოკაცია პირველად აისახა რუსეთის საბჭოთა ფედერაციის სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ-ს) 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. კოდექსის 115-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ქრთამის პროვოკაციას, გათვალისწინებული იყო თანამდებობრივ დანაშაულთა შემადგენლობის სახით, კერძოდ ეს მუხლი აყალიბებდა ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობას, როგორც "თანამდებობის პირის მიერ ისეთი გარემოებისა და პირობების განზრახ შექმნა, რაც ინვევს ქრთამის შეთავაზებას ქრთამის მიმცემის შემდგომი გამოაშკარავების მიზნით".

რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსიდან მოყოლებული მოკავშირე რესპუბლიკების 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსების მიღებამდე ქრთამის პროვოკაცია გათვალისწინებული იყო თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ცალკე დანაშაულის შემადგენლობის სახით. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ამ დანაშაულის შემადგენლობას არსებითად ერთნაირად განსაზღვრავდნენ. ქრთამის პროვოკაციად ითვლებოდა თანამდებობის პირის მიერ განზრახ, მექრთამეობის მხილების მიზნით ისეთი მდგომარეობისა და პირობების შექმნა, რაც ქრთამის შეძლევას ან მიღებას გამოიწვევდა. ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობის ასეთი განსაზღვრების თავისებურება ის იყო, რომ ამ დანაშაულის ამსრულებლად მხოლოდ თანამდებობის პირი ითვლებოდა. ამრიგად, კერძო პირი ქრთამის პროვოკაციისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულიყო. ამ შემადგენლობის სხვა თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ქრთამის პროვოკაციის დამთავრებულად ცნობისათვის საჭირო არ იყო, რათა იმას, ვისაც პროვოკაცია მოუწყვეს, ნამდვილად აეღო ან მიეცა ქრთამი. დანაშაული დამთავრებულად ითვლებოდა ისეთი ვითარების თუ პირობების შექმნის მომენტიდან, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა

პროვოკატორს განეხორციელებინა ქრთამის მიცემის ან ქრთამის მიმცემის ან ქრთამის მიმღების მხილების მიზანი. 20-იანი წლების გამოცდილების აღწერისას რუსეთის მეცნიერები აღნიშნავენ, რომ, თუ 1922 წლის კანონმდებელი იცავდა მოქალაქეებს თანამდებობის პირთაგან, რომლებიც ახდენდნენ მათ პროვოცირებას ქრთამის მიცემაზე, რუსეთის თანამედროვე კანონმდებელი პირიქით, იცავს თანამდებობის პირებს მოქალაქეებისაგან, რომლებიც ახდენენ მათ პროვოცირებას ქრთამის მიღებაზე.[35] ამასთან, არც მაშინ და არც ახლა შესაბამისი ყურადღება არ ეთმობა პროვოკაციის ცნების დამკვიდრებას[36].

ამრიგად, გარდა ქრთამის მიღებისა, სისხლის სამართლით დასჯად ქმედებად ცხადდებოდა ქრთამის მიცემა, შუამავლობა მექრთამეობაში და ქრთამის პროვოკაცია. ამასთან, 1922 წლის სსკ-სგან განსხვავებით სისხლის სამართლებრივი დევნა რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის (1926 წლის რედაქციით) 119-ე მუხლის მიხედვით დგებოდა ქრთამის მიღების პროვოკაციისთვისაც, ქრთამის მიმღები პირის შემდგომი გამოაშკარავების მიზნით. რაც შეეხება "რაიმე ხელშეწყობას ან მექრთამეობის წინაალმდეგ ზომების არმიღებას", რაზეც ლაპარაკი იყო 1922 წლის სსკ-ს 114 მუხლში, 1926 წლის კოდექსში საქმიანობის ასეთი სახეობები ნახსენები არ იყო. ეს გარემოება არ ნიშნავდა მათ დეკრიმინალიზაციას. უბრალოდ მათი დევნა ხორციელდებოდა დანაშაულში თანამონაწილეობისა და დაუდევრობისათვის პასუხისმგებლობის საერთო წესების მიხედვით[37].

აღსანიშნავია, რომ 20-იან წლებში ქრთამის პროვოკაციის საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში იყო სადისკუსიო. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ პროვოკატორისათვის ქრთამის მიმცემს საზოგადოებისათვის ზიანი არ მოაქვს და ამიტომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს.[38] ხოლო საპირისპი-

---

35 იხ: Б.В. Волженкин, О провокации как «методе борьбы» с коррупцией- http://crime.vl.ru/ docs/konfs/ekat_2.htm

36 იხ: Волженкин, Б. В. Взяточничество в истории советского уголовного законодательства :1918 - 1927 гг. - Правоведение. 1993. № 2. С. 59 - 67

37 იხ: Волженкин, Б. В. Взяточничество в истории советского уголовного законодательства :1918 - 1927 гг. - Правоведение. 1993. № 2. С. 59 - 67

38 იხ: Жижиленко А. А. Должностные (служебные) преступления. С. 68; მისივე: Должностные (служебные) преступления: Практический коммен-

რო პოზიციის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ პროვოკაციის ფაქტი არ გამორიცხავს განზრახვის არსებობას ქრთამის მიმცემის მხრიდან, რომელიც დაინტერესებულია ქრთამის ამღების გარკვეულ მოქმედებაში ან უმოქმედობაში, ამიტომ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობას[39].

უნდა აღვნიშნოთ, რომ 90-იანი წლების ლიტერატურაში ეს მეორე გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც მართებული. მაგრამ მისი დასაბუთება არ იყო ზუსტი. "მეორე გადაწყვეტილება, - წერდა ბ. ვ. ვოლჟენკინი, - მართებულად მიგვაჩნია. საქმე მარტო ქრთამის მიმცემის დანაშაულის განზრახვის არსებობაშია. ეს განზრახვა ვლინდება საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებაში, რომელიც ქრთამის მიმცემისგან ბოლომდე არაა მიყვანილი დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, - ქრთამის მიცემის მცდელობაში"[40]. როგორც ჩანს, დანაშაულის პროვოკაციის ბუნება გაგებული იყო, როგორც დანაშაულის ნაქეზება, რომელიც ჩერდება მცდელობის სტადიაზე.

მოკავშირე რესპუბლიკების 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსები აღარ ითვალისწინებდა ქრთამის პროვოკაციას დამოუკიდებელ დანაშაულად. მხოლოდ უკრაინის სსრ-ს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი ინარჩუნებდა ცალკე შემადგენლობის სახით ქრთამის პროვოკაციას. საინტერესოა, რომ უკრაინის 1927წ. სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის შენიშვნაში ნათქვამი იყო: "ამ მუხლის მოქმედების არეში მოხვედრილი პირები შეიძლება განთავისუფლებული იქნენ პასუხისმგებლობისაგან ან მათ მიმართ სოციალური დაცვის ზომების მიღებისაგან შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ დადასტურებულია, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან ბ) თუ

тарий. С. 87; Трайнин А. Н. Уголовное право: Часть Особенная. Изд. 2-е. М., 1927. С. 256; Гюнтер А. Должностные преступления. С. 76; Эстрин А. Должностные преступления. С. 66.

39 იხ: Ходос. Подлежит ли ответственности лицо, спровоцированное на взятку?- Вестник советской юстиции. 1924. № 24; Зильберштейн Н. Ответственность за дачу взятки при провокации - იქვე: 1925. № 1; Волков Г. И. Взяткодательство при провокации взятки - იქვე: 1926. № 10.

40 იხ: Волженкин, Б. В. Взяточничество в истории советского уголовного законодательства :1918 - 1927 гг. - Правоведение. 1993. № 2. С. 59 - 67

ნებაყოფილებითი და დროული განცხადებით ისინი ხელს შეუწყობენ საქმის გახსნას ქრთამის შესახებ". ამ საკითხის გადაწყვეტის განსხვავება რსფსრ-ს სსკ-საგან ცხადია[41].

სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსიც არ ითვალისწინებს პირდაპირ ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობას[42].

60-იანი წლების მეცნიერთა გამოკვლევების შემდგომი განვითარება იმ მიმართულებით წავიდა, რომ დანაშაულის პროვოკაციის ცნებაში თანდათანობით შეტანილ იქნა თანამონაწილეობის ელემენტები. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ამ პოზიციას იზიარებდა თითქმის ყველა მეცნიერი. მაგრამ შვეიცარიისა და გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინაში ეს საკითხი სრულიად განსხვავებულად წყდებოდა. მომდევნო 70-იან წლებში ეს საკითხი განსაკუთრებული კვლევის საგნი გახდა ქართველი იურისტის პროფ. ო. გამყრელიძის შრომებში. იმისათვის, რომ გავარკვიოთ საკითხის მდგომარეობა 60-იანი წლების მეცნიერთა გამოკვლევებში, დაუბრუნდეთ რუსეთის პროფესურის კვლევებს, რადგან ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში შრომების ყველაზე დიდ რაოდენობას რუსი მეცნიერები აქვეყნებდნენ.

ზოგიერთ რუს მეცნიერს მიაჩნდა, რომ დანაშაულის პროვოკაციის ჩამდენ პირს ახასიათებს განზრახვა, რომელიც უნდა განვასხვავოთ თანამონაწილის განზრახვისაგან. გ. კრიგერი, ავითარებდა რა ნ. ტაგანცევის თვალსაზრისს, მიუთითებდა, რომ წამქეზებელი შეიძლება ხელმძღვანელობდეს იმის სურვილით, რომ გამოააშკარაოს წაქეზებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.[43] ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებდა ა. პიონტოვსკი, რომელიც აღნიშნავდა, რომ წამქეზებლისაგან განსხვავებით პროვოკატორის სურვილია გამოააშკარაოს დამნაშავე და გადასცეს იგი სახელმწიფო ხელისუფლებას[44].

---

41 იხ: Анцелович М. Получение, дача и провокация взятки по УК редакции 1926 г. - Еженедельник советской юстиции. 1927. № 16. Ст. 476.

42 მ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბ.,1964, გვ. 210- 212

43 იხ: Гришаев П.И., Кригер Г.А. Соучастие по советскому уголовному праву. М., 1959. С. 149.

44 იხ: Пионтковский А.А. Учение о преступлении. М., 1961. С. 573.

მონოგრაფიაში "დანაშაულში თანამონაწილეობა" მ. ი. კოვალიოვი წერდა: "სავსებით შესაძლებელია წაქეზების შემთხვევები ყალბად გაგებული სამსახურებრივი ან რაიმე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, როცა წაქეზება დანაშაულის პროვოკაციის ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს შემსრულებლის შემდგომ გამოაშკარავებას ან მას თან ახლავს იმის იმედი, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შემსრულებელი იქნება გამოაშკარავებული და დასჯილი ის, - წამქეზებელი კი მოახერხებს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას"[45]. მაგრამ ავტორი ერთმანეთში ურევდა ცნების შედეგს დანაშაულის პროვოკაციისას და შედეგს, რომელიც დგებოდა წაქეზებული პირისაგან დანაშაულის ჩადენისას. ამიტომ წარმოიშობოდა დაუსაბუთებელი დისკუსია იმის თაობაზე თუ როგორი უნდა იყოს პიროვნების დამოკიდებულება უფრო მძიმე დანაშაულისადმი, რომელსაც პროვოკატორი "არ გეგმავდა". "არაპირდაპირი განზრახვით წაქეზების შესაძლებლობის აღიარება, - წერდა ის, - სასამართლო პრაქტიკას უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენებდა, რამეთუ აუცილებელ გარკვეულობას და სარწმუნოობას ურთიერთობებს წამქეზებელსა და წაქეზებულს შორის აძლევს მხოლოდ დანაშაულის პირდაპირი განზრახვა"[46].

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი აზრები აქამდეა გაბატონებული რუსეთში, რაც იმას მოწმობს, რომ პროვოკატორის უმართლობა და პროვოცირებული პირის უმართლობა გაუგებარია. როგორც ჩვენ შემდგომ ვაჩვენებთ, მსგავსი მიდგომის კვალი შეიმჩნევა ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შრომებში[47].

70-იან წლებში დანაშაულის პროვოკაციაზე შვეიცარიაში, გერმანიაში და რუსეთში არსებული შეხედულებები გაკრიტიკებული იყო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. ეს საკითხი სპეციალურად იყო განხილული პროფ. ო. გამყრელიძის შრომაში "თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი", რომელიც იყო გამოცემული 1977 წელს. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა იყო

---

45 იხ: Ковалев М.И. Соучастие в преступлении. Ч. 2: Виды соучастников и формы участия в преступной деятельности. Свердловск, 1962. С. 91

46 იხ. იქვე, გვ. 88

47 იხ: თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 234

რუსეთის იურიდიულ მეცნიერებაში, სადაც დანაშაულის პროვოკაცია განიხილებოდა თანამონაწილეობის ჭრილში. მაგალითად, ფ. გ. ბურჩაკი აცხადებდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოში მისი გამართლებული არსებობა შეუძლებელია. მეცნიერი მიუთითებდა: "თანამდებობის პირიც, კერძო პირიც, რომელმაც სხვა პირი დაიყოლია დანაშაულის ჩადენაზე, საბჭოთა სამართლის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ, როგორც წამქეზებლები ყველა აქედან გამომდინარე შედეგით"[48].

მომდევნო 90-იან წლებში თეორიული მიდგომა საკითხისადმი არ იცვლებოდა. თუმცა კანონმდებლობაში შეიმჩნევოდა გარკვეული ცვლილება. ჯერ კიდევ რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში ქრთამის პროვოკაცია შეიტანეს თავში "დანაშაულები სახელმწიფო სამსახურის ინტერესების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამსახურის წინააღმდეგ" და განსაზღვრული იყო, როგორც "თანამდებობის პირისათვის მისი თანხმობის გარეშე ფულის, ფასიანი ქაღალდების, სხვა ქონების ან ქონებრივი ხასიათის სხვა მომსახურების გადაცემის მცდელობა ქრთამის მიღების ხელოვნური მტკიცებულების შექმნის მიზნით"[49]. მოგვიანებით, 1997 წელს რუსეთში მიიღეს სსკ 304-ე მუხლი "ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია". მაგრამ ამ საკანონმდებლო ცვლილებამ არსებითად არ იმოქმედა იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის პროვოკაციის გაბატონებულ შეხედულებაზე.

90-იანი და მომდევნო წლების მთელი ისტორია რუსეთის მეცნიერებაში სავსეა წინააღმდეგობებით. ერთი მხრივ, ჩნდება დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტის შენარჩუნების ძიების ახალი ცდები თანამონაწილეობის ფარგლებში, მეორე მხრივ, გამოითქმის პირდაპირ საპირისპირო, უფრო კრიტიკული აზრები. მაგრამ ძირითადად მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ დანაშაულის პროვოკაციის და ამსრულებლის ქმედებას აერთიანებს ერთი სახის უმართლობა. ასე მაგალითად, ნ. ეგოროვი წერს, სუბიექტის მოქმე-

---

48 იხ: Бурчак Ф.Г. Учение о соучастии по советскому уголовному праву. Киев, 1970. С. 128.

49 იხ: Бабыч, С. А. Провокация взятки либо коммерческого подкупа: Уголовно-правовые и криминологические аспекты: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук. М.,2006. , с. 14

დება, რომელიც თანამდებობის პირს მისი თანხმობით გადასცემს ქონებრივ სიკეთეებს შემდგომში თანამდებობის პირის გამოაშკარავების მიზნით, უნდა შეფასდეს როგორც ქრთამის აღების წაქეზება და დაკვალიფიცირდეს რფ-ს სსკ 33-ე და 290-ე მუხლების მიხედვით[50]. შედეგად რუსეთის მეცნიერებაში გადაულახავია მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც წარმოიშობა დანაშაულის პროვოკაციის ბუნების გაგებასთან დაკავშირებით.

რუსეთის მეცნიერება და პრაქტიკა კვლავ აწყდებოდა იმ შემთხვევათა კვალიფიკაციის სიძნელეებს, როდესაც პირი პროვოკაციის მიზნით წააქეზეს დანაშაულის ჩასადენად, წაქეზებულმა კი დანაშაული ბოლომდე მიიყვანა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. შემოთავაზებული გადაწყვეტილებები არსებითად ვერ წყვეტდნენ პრობლემას. გამოქვეყნებულ ნაშრომებში მეცნიერები[51] არ ითვალისწინებდნენ, რომ პროვოკატორის და ამსრულებლის უმართლობა სხვადასხვა ბუნებისაა. როგორც ს. რადაჩინსკი აღნიშნავდა, არსებული მიდგომები არსებითად ვერ იკვლევენ დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტურ მხარეს და არაა დაძლეული პრაქტიკაში არსებული პრობლემები. მაგრამ ავტორმა, თავის მხრივ, კვლავ ვერ დაასაბუთა თანამონაწილეობისა და დანაშაულის პროვოკაციის განსხვავება [52].

---

50 იხ: Егорова Н. Провокация взятки либо коммерческого подкупа - Российская юстиция. 1997. N 8. С. 27 - 28.

51 იხ: Иванов В.Д. Правовые последствия оперативного эксперимента - Северный Кавказ: борьба с преступностью. Ростов-на-Дону: РВШ МВД России, 1997. С. 86; Иванов В.Д. Об уголовной ответственности за провокацию преступления - Актуальные проблемы уголовного права и правоприменительной деятельности органов внутренних дел в новых социально-политических условиях. М.: МВШМ МВД России, 1992. С. 95 – 96; Иванов Н.Г. Понятие и формы соучастия в советском уголовном праве. Саратов, 1991. С. 53-64; Мастерков А.А. Уголовно-правовые и криминологические аспекты провокационной деятельности: Автореф. дис. ... канд. юрид. наук. Владивосток, 2000. С. 9-16; Говорухина Е.В. Понятие и правовые последствия провокации в уголовном праве России: Дис. ... канд. юрид. наук. Ростов н/Д, 2002, С. 28; Овруцкий А.В. Психология провокации - Психопедагогика в правоохранительных органах. 1995. N 1. С. 91; Кугушева С.В. Провокация преступления: проблемы уголовно-правовой квалификации - Уголовное право. 2005. N 10. С. 25; Волженкин Б.В. Допустима ли провокация в целях борьбы с коррупцией? - Российская юстиция. 2001. N 5. С. 43 და ა. შ.

52 იხ: С.Радачинский. Юридическая природа провокации преступлений – Уголовное право.2008., №1, с. 59-63

რუსეთის მეცნიერებამ, როგორც ანალიზმა გვაჩვენა, ვერ გაარკვია დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა. მათ ვერ შესძლეს თანამონაწილეობის ფარგლებიდან გამოსვლა. დანაშაულის პროვოკაციის გაგების გასაღებს მიაგნეს ქართველმა მეცნიერებმა[53], რომლებმაც შეიმუშავეს დანაშაულის პროვოკაციის განსხვავებული ხედვა.

როგორც რუსეთში, ასევე სხვა ქვეყნებში დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა არაერთმნიშვნელოვნად აისახება. მოცემულ პარაგრაფში ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხზე კანონმდებლის პოზიციას. თუმცა ასევე შევეხებით ზოგიერთ ქვეყანაში გაბატონებულ თეორიულ დოქტრინას. რაც შეეხება აქტებს ოპერატიული საქმიანობის შესახებ, ისინი ცალკე განიხილება მეორე თავში, სადაც გაშუქებული იქნება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ზღვრების მართლზომიერების საკითხები.

სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებები ცდილობენ განსაზღვრონ პროვოკაციული მეთოდების გამოყენების ზღვრები სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთა გახსნისას, აგრეთვე შეიმუშაონ დანაშაულის პროვოცირების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ზომები. ეს პოზიცია ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმატიულ აქტებში[54]. დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის გადაწყვეტის ცდა გაკეთებულია აგრეთვე რიგი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ასე, ნიუ-იორკის შტატის სსკ-ს საერთო ნაწილში მოცემულია S40.05 — "ხაფანგში ჩათრევა", რომელიც რეგლამენტირებას უკეთებს პროვოკაციისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს. ამ პარაგრაფის თანახმად, საჯარო მოსამსახურე ან პირი, რომელიც მასთან ერთობლივად მოქმედებს, ესწრაფვიან მოიპოვონ მტკიცებულებები ბრალდებულის წინააღმდეგ მისი სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით. ამ ნორმის მიხედვით, პროვოკაციად მიიჩნევა იმ პირის წაქეზება, რომელმაც არ იცის წამქეზებლის მიზანი.

---

53 ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შემდგომში განვიხილავთ ო. გამყრელიძის კონცეფციას

54 იხ: VIII Конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. Гавана. Куба. 27 августа — 7 сентября 1990. М., 1990

აშშ სანიმუშო სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლი ასევე იძლევა ანალოგიურ განსაზღვრას: საჯარო, თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს კანონის აღსრულებას, ან პირი, რომელიც მოქმედებს ასეთ თანამდებობის პირთან თანამშრომლობის ფარგლებში, სჩადის პროვოკაციას თუ ხელყოფის ჩადენის მტკიცებულების მიღების მიზნით იგი აგულიანებს სხვა პირს იმ საქციელის ჩასადენად, რომელიც შეადგენს ამ ხელყოფას, ან: ა) ფაქტებზე ცრუ წარმოდგენის შექმნის გზით, რაც ჩაფიქრებულია იმისათვის, რომ გამოიწვიოს ვარაუდი, რომ ასეთი ქცევა არაა აკრძალული; ან ბ) დარწმუნების ან შეგულიანების მეთოდების გამოყენებით, რაც ქმნის იმის არსებით რისკს, რომ ასეთი მცდელობა ჩადენილი იქნება სხვა პირთა მიერ იმათ გარდა, ვინც მზადაა მის ჩასადენად.

გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მესამე ნაწილით, პირი, რომლის მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლებრივი დევნა განზრახვისათვის, გამართლებას ექვემდებარება, თუ იგი უფრო სარწმუნო მტკიცებულებათა წარმოდგენის გზით დაამტკიცებს, რომ მისი ქცევა წარმოადგენდა პროვოკაციის შედეგს. პროვოკაციის საკითხს სასამართლო განიხილავს ნაფიც მსაჯულთა გარეშე[55].

ამრიგად, მთლიანობაში აშშ-ს კანონმდებლობა მართებულად განსაზღვრავს დანაშაულის პროვოკაციას. მაგრამ იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს პრეცედენტულ სამართალს, საკითხი, საბოლოო ანგარიშში, ნაფიც მსაჯულთა მხრებზე გადადის. არა კანონმა, არამედ სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ პროვოკაციის შემადგენლობის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის პროვოკაციის საკითხი უფრო დეტალურადაა დამუშავებული ცალკეულ კანონებში, რომლებიც მიმართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და შეეხება ოპერატიული საქმიანობის მართლზომიერებას. ამიტომ ამერიკულ მიდგომას დანაშაულის პროვოკაციისადმი ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ნაშრომის მეორე თავში.

სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპში ჩადებული მოთხოვნები კრძალავენ სასამართლოზე იმ მტკიცებულებათა

---

55 იხ: **Примерный уголовный кодекс США: http://law.edu.ru/norm/norm.asp**

გამოყენებას, რომლებიც მიღებულია პოლიციელთაგან პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენის წაქეზების შედეგად. ინგლისურ სამართალში ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციის არსებობა არ წარმოქმნის არსებით საფუძველს დაცვისათვის, მიუხედავად ამისა, სამართლის ნორმები მოსამართლეს ავალდებულებს პროვოკაციის არსებობის შემთხვევაში შეწყვიტოს საქმის წარმოება სასამართლო პროცედურის უკანონო გამოყენების დამოწმებით ან გამორიცხოს ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მიღებულია დანაშაულის პროვოცირების გზით[56].

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში პროვოკაციის განსაზღვრა მოცემულია უფრო კოდიფიცირებული ფორმით. მაგრამ დანაშაულის პროვოკაციის იდეა, რომელიც მოცემულია ანგლო-ამერიკულ სამართალში, არსებითად არ განსხვავდება რომანო-გერმანული სამართლისაგან. უფრო მეტიც, რიგ ევროპულ ქვეყნებში დანაშაულის პროვოკაცია განსაზღვრულია უფრო ბუნდოვნად, ვიდრე ამერიკულ სამართალში. მაგალითად, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით პროვოკაციად მიიჩნევა პიროვნების შეგულიანება დანაშაულის ჩასადენად. ამასთან ნორმაში კაზუისტურად არის ჩამოთვლილი საშუალებები (პრესა, რადიო და სხვა), რითაც დამნაშავეს შეუძლია განახორციელოს დანაშაულის პროვოკაცია. ამასთან, პროვოკაცია ისჯება მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ პროვოკაციასთან მოჰყვა დანაშაულის ჩადენა, მაშინ იგი ისჯება როგორც წაქეზება[57].

როგორც ჩანს, დანაშაულის პროვოკაცია გაიგება როგორც წაქეზება. მაგრამ ამ განსაკუთრებული წაქეზების მიზანი არაა გამოყოფილი. კანონის ტექსტიდან გამომდინარე, პროვოკაცია გაიგება, როგორც დანაშაულზე დათანხმება, რომელიც დანაშაულით არ დამთავრებულა. მაგრამ, თუ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაშინ ადგილი აქვს დანაშაულის წაქეზებას. ფრიად გაურკვეველი ფორმულირებაა, რადგანაც დანაშაულის პროვოკაციის განსაკუთრებული ბუნება არაა გაგებული და დაფარულია, გატარებუ-

56 იხ: М. Мирилашвили. Письмо адвоката: http://logos.air.spb.ru/ru/news/2004/03/12/pretsendent/

57 იხ: Уголовный кодекс Испании. Под ред. Н.Ф.Кузнецовой, Ф.М. Решетникова. М, 1999. С. 16.

ლია დანაშაულში თანამონაწილეობის თვალსაზრისი.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით შვეიცარიულ სისხლის სამართლის დოქტრინაში ეს საკითხი სრულიად განსხვავებულად იყო გადაწყვეტილი[58]. დანაშაულის თანამონაწილე, კერძოდ წამქეზებელი, შვეიცარიელ კრიმინალისტთა აზრით, პასუხს აგებს ამსრულებლის კორუფციისათვის. წამქეზებლის პასუხისმგებლობა ეფუძნება იმას, რომ იგი ამსრულებელს შეაცდენს, ბრალეულად აქცევს და სასჯელს დაამსახურებინებს. ამსრულებელი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული სიკეთის დაზიანების (ან საფრთხის შექმნის) გამო, თანამონაწილე კი ხელყოფს თვით ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს მის სულიერ დეგრადაციას და სხვ. აღნიშნული თვალსაზრისი ლიტერატურაში ცნობილი იყო ე.წ. ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების სახელწოდებით. კორუფციის იდეის მიხედვით წამქეზებლის მოქმედება მიმართულია ამსრულებლის წინააღმდეგ, წამქეზებლის ხელყოფის ობიექტია ამსრულებლის პიროვნება, დამხმარე კი, პირიქით, ამსრულებლის სასარგებლოდ მოქმედებს. ამიტომ, როგორც ტრექსელი აღნიშნავს, ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება მხოლოდ წამქეზებლობით უნდა შემოიფარგლოს[59].

აღნიშნულ დოქტრინაში „სოციალური ინტეგრაცია" დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთის სახით გვეელინებოდა, რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ წამქეზებლობა თანამონაწილეობის ერთ—ერთი სახე კი არ არის, არამედ ისეთივე დამოუკიდებელი დანაშაულებრივი გამოვლინება არის, როგორიც არის ამსრულებლობა. წამქეზებლობა დამოუკიდებელი შინაარსის უმართლობაა, რადგან იგი ამსრულებლის უმართლობისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს. აქედან კი ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობდა: ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, ანუ კორუფციის იდეა, საერთოდ უარყოფდა დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას; მაშასადამე, იშლებოდა ყოველგვარი ზღვარი თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის.

---

58 ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად შევეხებით ქართველ მეცნიერთა მოსაზრების ანალიზის დროს. აქ კი შემოვიფარგლებით საკითხის ისტორიული ასპექტით.

59 იხ: ო. გამყრელიძე. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი —სამართლებრივი გამოკვლევები თბ. 1977. გვ. 115-126

საკითხის ასეთი დასმა მთელ რიგ სიძნელეებს იწვევდა. ჯერ ერთი, თუ „ამსრულებლის სოციალურ ინტეგრაციას“ დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთედ ჩავთვლით, რომელსაც ხელყოფს წამქეზებელი, და ვაღიარებთ, რომ „სოციალური დეზინტეგრაცია“ არის ბოროტება ამსრულებლისათვის, მაშინ, ცხადია, ერთ სიბრტყეზე ვერ დავაყენებთ იმ შემთხვევებს, როცა, ერთი მხრივ, ადგილი ჰქონდა წაქეზებას პროვოკაციის მიზნით, ანუ აგენტ—პროვოკატორის მოქმედებას, ან კიდევ წამქეზებლის მიერ ამსრულებლის შეცდენას, რომელსაც შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, და, მეორე მხრივ, წაქეზების ჩვეულებრივ, ნორმალურ შემთხვევას. მართლაც, წამქეზებლის მოქმედება მაშინ იქნება მიმართული ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ, როცა წაქეზება ხდება პროვოკაციული მიზნით ან წამქეზებელი შეაცდენს მეორე პირს და ჩაადენინებს გაუფრთხილებლობით დანაშაულს და სხვ[60].

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა წამქეზებელსა და ამსრულებელს შორის სრული თანხმობაა, როცა წაქეზების შედეგად ამსრულებელი გადაწყვეტს დანაშაულის ჩადენას. მართალია, ამ დროს ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებაში წამქეზებელსაც მიუძღვის გარკვეული წვლილი, მაგრამ ცდუნებას ზემოხსენებული შემთხვევების მსგავსად აქ ადგილი არა აქვს. ამიტომ ვერ ვიტყვით, თითქოს წამქეზებლის მოქმედება ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ იყოს მიმართული.

გერმანელმა მეცნიერმა ჰ. მაიერმა გადაწყვიტა შეევსო კორუფციის იდეის ხარვეზი და მოენახა ის საერთო ნიშანი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა როგორც წამქეზებლის, ისე დამხმარის დასჯადობას. ეს გამაერთიანებელი საფუძველი, მისი აზრით, თანამონაწილისა და ამსრულებლის ნების ერთიანობაში მდგომარეობს. ჰ. მაიერის მიხედვით, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი მხოლოდ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ „ერთი მხრივ, ქმედობა ნამდვილად ჩადენილია, ხოლო, მეორე მხრივ, თანამონაწილე თავის ნებას უერთებს ამსრულებლის ბრალეულ ნებას...“ ნების ერთიანობა, ჰ.მაიერის მტკიცებით, შეიძლება იყოს

---

60 იხ: ო. გამყრელიძე. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი —სამართლებრივი გამოკვლევები თბ. 1977. გვ. 121-125

როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი . ამით იგი შეეცადა მოენახა დასჯადობის საერთო საფუძველი არა მარტო წამქეზებლობისა და დახმარების იმ შემთხვევისათვის, როდესაც ამსრულებელმა იცის, რომ მას ეხმარებიან, არამედ იმ შემთხვევისთვისაც, როცა ამსრულებლისათვის დახმარების ფაქტი ცნობილი არ იყო. ჰ. მაიერმა ამსრულებლისა და თანამონაწილის ნების ერთიანობაზე მითითებით თითქოს მონახა წამქეზებლობისა და დახმარების დასჯადობის საერთო საფუძველი, მაგრამ თავისდაუნებურად ხელიდან გამოეცალა ის ძირითადი იდეა, რომლის დაცვასაც იგი ცდილობს. თანამონაწილე რომ თავის ნებას ამსრულებლის ბრალეულ ნებას უერთებს, ამით იგი ამსრულებლის პიროვნებას როდი ხელყოფს და მის „სოციალურ დეზინტეგრაციას" როდი ახდენს. პირიქით, ამ თვალსაზრისის მიხედვით, თანამონაწილის ნებაც იქით უნდა წარიმართოს, საითაც ამსრულებლის ნება არის მიმართული. მაშასადამე, დაიკარგა ის მატერიალური ნიშანი, რომელიც თანამონაწილეობის, კერძოდ წამქეზებლობის შინაარსს შეადგენს.[61]

ფინალისტებმა შეინარჩუნეს კორუფციის თეორიის ძირითადი იდეა, რომლის მიხედვით თანამონაწილე ამსრულებლის უმართლობისაგან განსხვავებული შინაარსის უმართლობას სჩადის, მაგრამ თანამონაწილის უმართლობის შინაარსი მათ სხვაგვარად აქვთ გაგებული. თუ კორუფციის იდეის და უმართლობაში თანამონაწილეობის თეორიის ლესისეული ვარიანტის მიხედვით თანამონაწილის, კერძოდ წამქეზებლის მოქმედება ამსრულებლის წინააღმდეგ არის მიმართული, ჰ. ველცელისა და შტრატენვერტის აზრით, თანამონაწილის უმართლობა საზოგადოებას აზიანებს ანუ, კ.ლუდერსენის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „არღვევს სოციალურ სიმშვიდეს" .

მიუხედავად ამ სიახლისა, ხსენებული თვალსაზრისი არ იყო დასაბუთებული. ჯერ ერთი, ის აზრი, რომ თანამონაწილე დამოუკიდებელი შინაარსის უმართლობას სჩადის, თავისთავად უკვე, როგორც ზემოთ ითქვა, თანამონაწილეობის ცნების უარყოფას ნიშნავს. მეორეც — შეუძლებელია იმის დამტკიცება, თითქოს წაქეზება ან დახმარება ყველა შემთხვევაში დამოუკიდებელი სა-

---

61 იხ: ო. გამყრელიძე. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი —სამართლებრივი გამოკვლევები თბ. 1977. გვ. 121 -126

ხის უმართლობა იყოს. რასაკვირველია, არის ზოგიერთი ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა, როცა წაქეზება ან დახმარება დამოუკიდებელი სახის უმართლობას ქმნის, მაგრამ მაშინ, ცხადია, წამქეზებელი და დამხმარე დანაშაულში თანამონაწილეობის გამო კი არ აგებენ პასუხს, არამედ დაისჯებიან ამსრულებლობისათვის, უაზრობაა იმის მტკიცება, თითქოს დამხმარე, რომელსაც ამსრულებელთან ერთად საერთო მიზნები და ერთიანი ზრახვა ამოძრავებს, ხელყოფს, ამსრულებლისაგან დამოუკიდებლად, სხვა სამართლებრივ სიკეთეს, კერძოდ, არღვევს „სოციალურ სიმშვიდეს", მაშინ, როცა ამსრულებელი ხელყოფს რომელიმე კონკრეტულ ობიექტს. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლეს[62].

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი სპეციალურად არ ითვალისწინებს დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობას. კოდექსის S 26 ითვალისწინებს დანაშაულის წამქეზებლობას, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება ასევე დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიკაციის დროს. კანონმდებლობაში ამ საკითხის გაურკვევლობა უარყოფითად მოქმედებს სასამართლო პრაქტიკაზე. მაგალითად, თვლიან, რომ, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის მიზნით პირმა ქურდს ჩაუდოფული ის არ აგებს პასუხს, რადგან არ გააჩნდა მითვისების მიზანი. ცნობილია კიდევ სხვა სახის გულუბყვრილო მსჯელობები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მასთან ერთად, ზოგიერთი სასამართლო ამახვილებს ყურადღებას ისეთ არაარსებით მომენტებზე, როგორიცაა წამქეზებლის ინტენსიური ზემოქმედება და ა.შ.[63]

საკითხის ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდება შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსით (24-ე მუხლი), ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსით (134- ე მუხლი), დანიის სისხლის სამართლის კიდექსით (234-ე მუხლი), კანადის სისხლის სამართლის კოდექსით (464-ე მუხლი) და ა.შ.

ინგლისური მართლმსაჯულების მიხედვით პროვოცირება არის მესამე პირის სამოქმედოდ წახალისება, რაც ორ ელემენტს

---

62 იხ: ო. გამყრელიძე. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი — სამართლებრივი გამოკვლევები თბ 1977. გვ. 121-125

63 Штюмпер А. Уголовное судопроизводство и полицейская хватка. М , 1989. С. 34; Геспер Р., Херцог У. За фасадом права М , 1990 С. 86.

შეიცავს. პირველი ძალზე ფართო მნიშვნელობის მატერიალური ელემენტი: მოიცავს "დაყოლიებას, ცდუნებას, დადასტურებას, მოსყიდვას, მუქარას აშკარად გამოხატული სახით ან ფარულად". შემდეგია განზრახვის ელემენტი: წამქეზებელს უნდა ჰქონდეს ჩაფიქრებული დანაშაულის ჩადენის განზრახვა, ანუ უნდა იცნობდეს ამ დანაშაულის ყველა გარემოებას, ამსრულებლის განზრახვის ჩათვლით, რის გარეშეც არ იარსებებს პროვოცირების ფაქტი. ამერიკული მართლმსაჯულება ასე სჯის: წაქეზების დანაშაულის არსებობისათვის "საკმარისია პროვოკატორის განზრახვა მესამე პირს ჩაადენინოს დანაშაული. იგი მას მიიტყუებს, წააქეზებს, უბრძანებს ან ამხნევებს დანაშაულის ჩასადენად, თუმცა არ არის აუცილებელი დანაშაული განხორციელდეს".

კანადური დოქტრინის თანახმად, "საკმარისია ბრალდებულმა ჩაიდინოს იმგვარი ბუნების ქმედებები, რითაც წააქეზებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად, თუმცა შეიძლება ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდეს წაქეზებას". ამდენად, დანაშაული ფართოდ არის გაგებული: არა მხოლოდ შედეგია არასავალდებულო, არამედ გარდა იშვიათი განაჩენებისა — არასავალდებულოა ხელშემწყობი გარემოებები (დაპირება, მუქარა . . .); სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ არის აუცილებელი წაქეზებულმა პირმა თავისი თანხმობა განაცხადოს. სპილოს ძვლის სანაპიროს სისხლის სამართლის კოდექსშიც იგივე დებულებაა[64].

§2. დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა ქართულ სისხლის სამართალში

საბჭოთა პერიოდის დროს სხვა მნიშვნელოვან საკითხთა გარდა ქართველი მეცნიერები განიხილავდნენ დანაშაულის პროვოკაციის საკითხსაც. იმ პერიოდის კანონმდებლობაში განისაზღვრებოდა მარტო ქრთამის პროვოკაცია.

საბჭოთა სისხლის სამართლის განვითარების სხვადასხვა

---

64 ჟან პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი. "SANI". 1999, გვ. 209-210

ეტაპზე საკითხი ქრთამის პროვოკაციის კვალიფიკაციის შესახებ წესრიგდებოდა სხვადასხვანაირად. რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსიდან მოყოლებული მოკავშირე რესპუბლიკების ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე ქრთამის პროვოკაცია გათვალისწინებული იყო თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ცალკე დანაშაულის შემადგენლობის სახით. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ამ დანაშაულის შემადგენლობას არსებითად ერთნაირად განსაზღვრავდნენ. ქრთამის პროვოკაციად ითვლებოდა თანამდებობის პირის მიერ განზრახ, მექრთამეობის მხილების მიზნით ისეთი მდგომარეობისა და პირობების შექმნა, რაც ქრთამის შეძლევას ან მიღებას გამოიწვევს.

ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობის ასეთი განსაზღვრების თავისებურება ის იყო, რომ ამ დანაშაულის სუბიექტად მხოლოდ თანამდებობის პირი ითვლებოდა. ამრიგად, კერძო პირი ქრთამის პროვოკაციისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულიყო. ამ შემადგენლობის სხვა თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ქრთამის პროვოკაციის დამთავრებულად ცნობისათვის საჭირო არ იყო, რათა იმ პირს, ვისაც პროვოკაცია მოუწყვეს, ნამდვილად აეღო ან მიეცა ქრთამი. დანაშაული დამთავრებულად ითვლებოდა ისეთი ვითარების თუ პირობების შექმნის მომენტიდან, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა პროვოკატორს განეხორციელებინა ქრთამის მიცემის ან ქრთამის მიღების მხილების მიზანი.

მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსები აღარ ადგენენ ქრთამის პროვოკაციას დამოუკიდებელ დანაშაულად. მხოლოდ უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობამ კვლავ შეინარჩუნა ცალკე შემადგენლობის სახით ქრთამის პროვოკაცია (იხ. უკრაინის სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი). სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსიც არ ითვალისწინებს პირდაპირ ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობას. მაგრამ, როგორც აღნიშნავდნენ ქართველი მეცნიერები, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ქრთამის პროვოკაცია აღარ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი

წესით დასასჯელ მოქმედებას? რასაკვირველია, არა![65]

პოსტსაბჭოურ პერიოდში ეს ნაკლი იყო დაძლეული და 1999 წ. კანონმდებლობამ შემოიღო დანაშაულის პროვოკაციის ცნება. მაგრამ საბჭოური ლიტერატურის განხილვისას ჩვენ გვაინტერესებს მეცნიერთა მიდგომა პროვოკაციის ცნებისადმი.

თ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ «პროვოკაცია განსხვავდება წაქეზების სხვა სახეებისაგან მხოლოდ მოტივის განსაკუთრებული ხასიათით». ამ აზრის დასაბუთებისათვის ავტორი იშველიებდა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის 1946 წლის გადაწყვეტილებას, სადაც იყო აღნიშნული, რომ «როგორიც არ უნდა იყოს მოტივი, რითაც ხელმძღვანელობდა პირი, როდესაც მან დანაშაულის პროვოკაციას მიმართა, მისი ქმედება დასასჯელია სისხლის სამართლის წესით, ვინაიდან მხილების ის საშუალება, რომელიც გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებაში, საზოგადოებრივად საშიშია და ამიტომ უნდა იწვევდეს იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინც მას მიმართა. ამის შესაბამისად პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის უნდა განისაზღვროს (წაქეზებისათვის) რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის წესების მიხედვით».

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ მოსაზრებაში ავტორის მიერ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ პროვოკაცია განსხვავდება წაქეზების სხვა სახეებისაგან მხოლოდ მოტივის განსაკუთრებული ხასიათით, მაგრამ მოტივის თავისებურება ვერ გაათავისუფლებს სუბიექტს პასუხისმგებლობისგან, თუ მან თავისი მიზნის განსახორციელებლად საზოგადოებრივად საშიში საშუალება გამოიყენა. დანაშაულის პროვოკაციის მიზანია პირის მხილება დანაშაულში, რომელიც ნამდვილად იყო ჩადენილი, და ეს მიზანი მიიღწევა პირის წაქეზებით ამ დანაშაულის ჩადენისაკენ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ თ.წერეთელი მართებულად ხედავს დანაშაულის პროვოკაციის საიდუმლოებას მიზანში. ავტორის დებულება სწორია, რომ მნიშვნელოვანია მიზანი და არა მოტივი. მაგრამ სამწუხაროდ იშველიებს თანამონაწილეობის ცნებას, რასაც, როგორც მერე დავინახავთ, მოყვება არაერთი

---

65 იხ.: მ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბ.,1964, გვ. 210- 212

გადაუწყვეტელი პრობლემა.

ვ. მაყაშვილის და გ. ტყეშელიაძის აზრით, ვინაიდან საქართველოს სსრ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ქრთამის პროვოკაციისათვის სპეციალურად გათვალისწინებული არ არის შესაფერისი ნორმა, ამიტომ ასეთი პროვოკაცია გამოიწვევს პასუხისმგებლობას საერთო საფუძვლების მიხედვით. აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას ის წესები, რომლებითაც საერთოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პირის საქმიანობის შეფასებისას, რომელიც რაიმე დანაშაულში ჩააბამს სხვა პირს, რათა ეს უკანასკნელი ამხილოს როგორც დამნაშავე.

როგორც შემდგომში აღნიშნავენ ავტორები, პროვოკაცია ყოველთვის განიხილებოდა როგორც წაქეზების განსაკუთრებული სახე, რამდენადაც დამნაშავე მოქმედებს იმ პირის დანაშაულში მხილებისათვის, რომელსაც პროვოკაცია მოუწყვეს. ცხადია, ასეთი მიზანი ერთგვარ სპეციფიკურ ელფერს აძლევს მთელ ქმედობას, მაგრამ პრინციპში არ ცვლის მის ბუნებას. წამქეზებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს მიზანს, რომელსაც პირი ისახავს ანდა მოტივს, რომლითაც იგი მოქმედებს. ყოველგვარი დაყოლიება დანაშაულის ჩადენისათვის განხილული უნდა იქნას წამქეზებლობად დამოუკიდებლად იმისა, ბრალეული პირად მიზნებს ისახავდა, თუ ყალბად გაგებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესით ხელმძღვანელობდა.

ვ. მაყაშვილი და გ. ტყეშელიაძე, როგორც თ.წერეთელი, იშველიებენ 1946 წლის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებას, რომლის თანახმად პროვოკაცია განსხვავდება წაქეზების სხვა სახეებისაგან მხოლოდ მოტივის განსაკუთრებული ხასიათით[66].

როგორც ჩანს, მ. მაყაშვილი და გ. ტყეშელიაძე ცდილობდნენ აეხსნათ პროვოკაციის საკითხი თანამონაწილეობის ცნების ფარგლებში, რადგან სპეციალურად გათვალისწინებული შესაფერისი ნორმა არ არსებობდა კანონმდებლობაში. როგორც ისინი აღნიშნავენ, ქრთამის პროვოკაციისათვის სპეციალურად გათვალისწინებული არ არის შესაფერისი ნორმა, ამიტომ ასეთი პრო-

66 მ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბ.,1964, გვ. 210- 212

ვოკაცია გამოიწვევს პასუხისმგებლობას საერთო საფუძვლების მიხედვით. აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას ის წესები, რომლებითაც საერთოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პირის საქმიანობის შეფასებისას, რომელიც რაიმე დანაშაულში ჩაბამს სხვა პირს, რათა ეს უკანასკნელი ამხილოს როგორც დამნაშავე.

მაგრამ ნორმის არარსებობის მოშველიება არაა გამოსავალი, რადგან გადაუწყვეტლად რჩება მრავალი, მათ შორის ძირითადი საკითხი: როგორ განსხვავდება პროვოკაცია დანაშაულის წაქეზებისაგან? შეიძლება თუ არა დანაშაულის პროვოკაციის ახსნისათვის მოვიშველიოთ თანამონაწილეობის ინსტიტუტი? რა წინააღმდეგობებს შეიძლება წავაწყდეთ ამ ინსტიტუტის გამოყენების კვალობაზე და ა.შ.?

პოსტსაბჭოურ ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის პროვოკაციის საკითხი არაერთგვაროვნად არის განხილული. შეიძლება გამოვყოთ სამი მიდგომა: 1) პრობლემის გადაწყვეტა ნაწილობრივ თანამონაწილეობის კონსტრუქციის მოშველიებით, 2) პრობლემის გადაწყვეტა თანაამსრულებლობის კონსტრუქციის მოშველიებით და 3) პრობლემის გადაწყვეტა დანაშაულთა კატეგორიის ინსტიტუტის კონსტრუქციის მოშველიებით.

განვიხილოთ პირველი მიდგომა. თ. ებრალიძის მოსაზრებით, დანაშაულის პროვოკაციის განხილვისას მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხის გადაწყვეტა: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი პროვოკაციის მიზნით წააქეზეს დანაშაულის ჩასადენად, წაქეზებულმა კი დანაშაული ბოლომდე მიიყვანა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. მაგალითად, ა. მტრულად არის განწყობილი. მან იცის, რომ ბ-ს ძველი ანგარიშები აქვს ც-სთან და აქეზებს ბ-ს მის მოსაკლავად. ა-ს არ სურს ც-ს სიკვდილი. მისი მიზანია ამხილოს ბ. მკვლელობის მცდელობაში და ციხეში ჩასვას. როცა დანაშაულის ჩადენაზე დაიყოლია, ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით. ა-ს იმედი აქვს, რომ ბ. ენდობა მას და არ შეამოწმებს იარაღს. მისი ვარაუდი არ გამართლდა. ბ-მ იარაღი შეამოწმა და როცა ნახა, რომ მან არ გაისროლა, გამოცვალა უვარგისი ტყვიები და მოკლა.

ავტორის მოსაზრებით, ამ მაგალითში წამქეზებელს არც სურს სასიკვდილო შედეგის დადგომა და არც შეგნებულად უშვებს მას. იგი იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება. ე.ი. შედეგის მიმართ აქვს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება დანაშაულებრივი თვითიმედოვნების სახით. ამიტომ მან არ შეიძლება პასუხი აგოს ბ-ს მიერ ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის შესაძლებლობას. სსკ-ის 23-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ე.ი. კანონმდებელი გამორიცხავს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას განზრახ ჩადენილ დანაშაულში (ისევე, როგორც განზრახ მონაწილეობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში) და აღიარებს, რომ თანამონაწილეობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა წამქეზებელიც და ამსრულებელიც განზრახ მოქმედებს. ასე, რომ ჩვენს მაგალითში წამქეზებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით). მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი ქმედების სამართლებრივი შეფასება. გარდა 116-ე მუხლისა, მან პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 145-ე მუხლითაც — დანაშაულის პროვოკაციისათვის. ამ მუხლში ლაპარაკია სხვის დაყოლიებაზე დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისასამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით. წამქეზებელმა სწორედ ეს ქმედება განახორციელა: დაიყოლია კაცი დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, რითაც ხელყო, ერთი მხრივ, სამართლით დაცული კონკრეტული სიკეთე — სიცოცხლე, მეორე მხრივ კი — თვით წაქეზებულის პიროვნება, დამნაშავედ აქცია ეს უკანასკნელი და სასჯელი დაამსახურებინა. ამიტომ მან პასუხი უნდა აგოს კოდექსის ორი მუხლით — 116-ე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) და 145-ე (დანაშაულის პროვოკაცია) მუხლებით.

თუკი პასუხისმგებლობა 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებლის ქმედება მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, რატომ არ უნდა აგოს პასუხი წამქეზებელმა დანაშაულის პროვოკაციისათვის მაშინ, როდესაც ამსრლებელი გასცილდა მცდელობას და

დადგა დანაშაულებრივი შედეგი. მით უმეტეს, რომ წამქეზებლის განზრახვა ორივე შემთხვევაში ერთია — წამქეზებლის დანაშაულის ფაქტზე მხილება და პასუხისგებაში მიცემა. ქმედების 145-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის განზრახვის მიმართულებას.

ავტორი უბრუნდება მოყვანილ მაგალითს, ოღონდ ცვლის წამქეზებლის ფსიქიკურ დამოკიდებულებას დამდგარი სასიკვდილო შედეგისადმი: ა. აქეზებს ბ-ს ც-ს მოსაკლავად. ა-ს არ სურს ც-ს სიკვდილი. მისი მიზანია ამხილოს ბ. მკვლელობის მცდელობაში. ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით. თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა ბ-მ იარაღი შეამოწმოს, უვარგისი ტყვიები გამოცვალოს და დადგეს სასიკვდილო შედეგი. ე.ი. არ სურს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს, გულგრილად ეკიდება მის დადგომას. (არაპირდაპირი განზრახვა.)[67]

თ.ებრალიძის მოსაზრებით სსკ-ის 145-ე მუხლი წარმოშობს პრობლემას, რადგან ეს მუხლი ადგენს უფრო მსუბუქ სასჯელს ვიდრე ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშულისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა. როგორც ის აღნიშნავს, ზევით მოყვანილ მაგალითშიც ა. დანაშაულის პროვოკატორია და პასუხს აგებს სსკ-ის 145-ე მუხლით. თუმცა ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის მაქსიმუმი — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებას. აქედან გამომდინარე ავტორი ცდილობს გადაწყვიტოს შემდეგი საკითხი: გარდა 145-ე მუხლისა, ხომ არ უნდა აგოს მან პასუხი ბ-ს მიერ ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის, კერძოდ წამქეზებლობისათვის?

თ. ებრალიძის აზრით, პასუხის გაცემისას ისევ თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის სწორი გააზრებიდან უნდა ამოვიდეთ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამონაწილეობის დროს ორი ან მეტი პირის მოქმედების ერთიანობა უნდა შეეხებოდეს როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ მხარეს. ობიექტური მხარის ერთიანობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილის მოქმედება

---

67 თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 237

მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან. ზემოთ მოტანილ მაგალითში, ცხადია, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი წამქეზებლის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს — კაცის სიკვდილს შორის. მაგრამ მარტო ობიექტური მხარის ერთიანობა არ არის საკმარისი თანამონაწილეობის არებობისათვის, საჭიროა სუბიექტური მხარის ერთიანობაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილე და ამსრულებელი ერთიანი მიზნით მოქმედებენ. ორივე მათგანის ქმედება მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენ. წამქეზებლის მოქმედებამ მარტო ობიექტურად კი არ უნდა გამოიწვიოს შემადგენლობის შესაბამისი შედეგი (ჩვენს მაგალითში — კაცის სიკვდილი), არამედ სუბიექტურადაც მიმართული უნდა იყოს ამ შედეგის გამოწვევისაკენ. როგორც აღნიშნული იყო, შესაძლებელია სუბიექტური მხარის ერთიანობაზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც ამსრულებელი მოქმდებს კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის (სიცოცხლის, საკუთრების და ა.შ.) ხელყოფის მიზნით, წამქეზებლის მიზანი კი ამსრულებლის პასუხისგებაში მიცემაა. ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ, "თუკი წამქეზებლის მიზანი, ის მიზანი, რომელიც უმართლობას აფუძნებს, არ ემთხვევა ამსრულებლის მიზანს, მაშინ აღარ გვაქვს თანამონაწილეობა და თითოეული მათგანი დამოუკიდებელი უმართლობის ამსრულებელია."[68] სწორედ მიზანი არის ის სუბიექტური ელემენტი, რომელსაც "უნარი აქვს ორი ან მეტი კაცის მიზეზობრივად დაკავშირებული მოქმედებები სუბიექტურ სფეროშიც შეაკავშიროს და ეს მოქმედებები დანაშაულში თანამონაწილეობად აქციოს". მაშასადამე, "თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი განზრახვით," რადგან მიზანი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს გვაქვს.

მისი მოსაზრებით მოტანილ მაგალითში, როდესაც წამქეზებელს არ სურდა დამდგარი სასიკვდილო შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მისი დადგომის შესაძლებლობას, წამქეზებელმა არ შეიძლება პასუხი აგოს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანა-

---

68 ო .გამყრელიძე ციტ. წიგნიდან: თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 239

შაულში თანამონაწილეობისათვის. მარტო სსკ-ის 145-ე მუხლით პასუხისმგებლობა კი, როგორც ავტორს მიაჩნია, არ შეესაბამება ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებას და ბრალის ხარისხს. თ. ებრალიძეს მიაჩნია, რომ როცა დანაშაულის პროვოკაციას მძიმე შედეგი მოჰყვა, პროვოკატორის ქმედების კვალიფიკაცია გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ სირთულეების თავიდან აცილების მიზნით თ. ებრალიძე გვთავაზობს სსკ-ის 145-ე მუხლს დავუმატებდით კვალიფიციურ შემადგენლობას, რომელიც, მისი მოსაზრებით შემდეგი შინაარსისაა: "იგივე ქმედება, რამაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი". აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონი კრძალავს ისეთი ოპერატიული ექსპერიმენტის ჩატარებას, რომელიც" საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას"[69].

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ პროვოკატორი და ამსრულებელი ასრულებენ სხვადასხვა უმართლობას. მაგრამ დასკვნის ნაწილში ჩანს, რომ ავტორმა ვერ დაძლია სსკ-ს 145-ე მუხლთან დაკავშირებული პრობლემა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ის ეწინააღმდეგება თავისივე მოსაზრებას, როდესაც მაკვალიფიცირებელ ნიშანში იგულისხმა "იგივე ქმედება რამაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოიწვია ძმიმე შედეგი". ამსრულებლისა და პროვოკატორის მოქმედებათა შორის არ შეიძლება არსებობდეს იგივეობის ნიშანი. როგორი მძიმე შედეგიც არ უნდა დადგეს ამსრულებლის ქმედების შედეგად, ის არაა პროვოკატორის ქმედების შედეგი.

პროვოკატორის მოქმედების შედეგია — პირის პასუხისმგებლობაში მიცემა. ამსრულებლის დანაშაულის შედეგს ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა. ამსრულებლის ნებისმიერი დანაშაული, რომელიც გახდება პასუხისმგებლობის საფუძველი, საკმარისია პროვოკატორისათვის, თუ ამსრულებელი დაისჯება.

---

69 თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 216-242.

ქმედებათა ერთობლიობით პროვოკატორის ქმედების კვალიფიკაციაც არაა სწორი. მოყვანილი მაგალითებიდან თ. ებრალიძე შეცდომით ასკვნის, რომ მოყვანილ მაგალითში წამქეზებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით). მაგრამ ამით, მისი მოსაზრებით, არ ამოიწურება პროვოკატორის ქმედების სამართლებრივი შეფასება. გარდა სსკ-ის 116-ე მუხლისა, მან პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 145-ე მუხლითაც — დანაშაულის პროვოკაციისათვის. მაგრამ ეს დასკვნა კვლავ წარმოშობს კითხვას: თუ პროვოკატორი და ამსრულებელი ასრულებენ განსხვავებულ უმართლობას, რის საფუძველზე უნდა დავაკავშიროთ სსკ-ის 116-ე და სსკ-ის 145-ე მუხლები? ფარულად აქაც შემოიპარა თანამონაწილეობის გამოყენების ცდა, რაც გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს ქმედების კვალიფიკაციას. მართალია ქმედებათა ერთობლიობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა დანაშაულს, მაგრამ მათ აერთიანებთ მათი ჩამდენის ავტორი — ამსრულებელი. აქ კი ადგილი აქვს სხვადასხვა ამსრულებლების მიერ ჩადენილ უმართლობას. სად ვეძებოთ გამოსავალი? როგორც ვხედავთ ამ კითხვაზე თ. ებრალიძე ვერ გვაძლევს დამაჯერებელ პასუხს.

განვიხილოთ მეორე მიდგომა. ი. დვალიძის მოსაზრებით, აგენტ — პროვოკატორიც და წამქეზებელიც შერაცხად პირს უბიძგებენ პირდაპირი განზრახვით ჩასადენი დანაშაულისაკენ. მართალია, აღნიშნავს ავტორი, სსკ—ის 145-ე მუხლი წამქეზებლის განსაზღვრებისაგან განსხვავებით არ შეიცავს მითითებას, დაყოლიება განზრახი თუ გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ხდება, მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი სიტუაცია, როდესაც პირის დაყოლიება ხდება არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩასადენი დანაშაულისათვის. არაპირდაპირი განზრახვისას და გაუფრთხილებლობისას შედეგის დადგომამდე არ შეიძლება ვისაუბროთ ქმედების კრიმინალურობაზე, რადგან მომზადება ან მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, ხოლო დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობისათვის გადამწყვეტია დანაშაულის ჩასადენად პირის დაყოლიება და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ დანაშაულის რომელ სტადიაზე იქნა აღკვეთილი დაყოლიებულის დანაშაულებრივი საქმიანობა. ამასთან, თუ აგენტ-პროვოკატორი ან წამქეზებელი

შეაცდენს პირს და იგი არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით დანაშაულს ჩაიდენს, მაშინ საქმე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან[70].

თავის ნაშრომში ი. დვალიძე სწორად აღნიშნავს, რომ წამქეზებლის მიზანი ყოველთვის ემთხვევა ამსრულებლისა და სხვა თანამონაწილეების მიზანს; აგენტ-პროვოკატორი სწორედ იმიტომ არ მიიჩნევა მის მიერ დაყოლიებული პირის წამქეზებლად, რომ მათ სხვადსხვა მიზანი გააჩნიათ: - აგენტ-პროვოკატორის მიზანი ყოველთვის დაყოლიებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიიცემაა. მაგრამ ეს მოსაზრება ავტორმა ვერ დაასრულა სწორი დასკვნით, რადგან პრობლემის გადასაწყვეტად მან მოიშველია შუალობით ამსრულებლის კონსტრუქცია.

შუალობითი ამსრულებლობის დროს წამქეზებელი მიზნად ისახავს კონკრეტული დანაშაულის ჩადენას და ამისათვის "იარაღად" იყენებს პირს. მოკლედ მიზანია ამსრულებლის მიერ დაგეგმილი დანაშაულის ჩადენა. დანაშაულის პროვოკაციის დროს სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. პროვოკატორისთვის სულ ერთია რა დანაშაულზე დააკავებენ ამსრულებელს — მთავარია, რომ იგი დააკავონ. პროვოკატორი მიზნად ისახავს არა დანაშაულის ჩადენას, როგორც ამას ადგილი აქვს შუალობითი ამსრულებლობის დროს, არამედ ამსრულებლის დაკავებას. ამრიგად, შუალობითი ამსრულებლის კონსტრუქციის მოშველიება ამ შემთხვევაში მცდარია.

განვიხილოთ ბოლო მიდგომა, რომელსაც ანვითარებს ო. გამყრელიძე. მისი აზრით, დღემდე ნაკლებად შესწავლილია ის საკითხი, უნდა აგოს თუ არა პასუხი შუალობითმა ამსრულებელმა უშუალო ამსრულებლის შეცდენისა და მოტყუებით მკვლელობის ჩადენინებისათვის, რომლის გამოც ის ციხეში მოხვდა.

რასაკვირველია, აღნიშნავს ავტორი, მოტყუებული კაცი, რომელიც შეაცდინეს და მკვლელობა ჩაადენინეს, მადლობას არ ეტყვის წამქეზებელს, ვინც იგი შეაცდინა და დამნაშავედ აქცია. ვის ესიამოვნება, რომ თუნდაც უნებლიედ, გაუფრთხილებლობით მკვლელის სახელი შეერქვას და რა სიამოვნების მომგვრელი უნდა იყოს ის, რომ ვინმემ თავის იარაღად გამოგიყენოს, მოგატყუოს, კაცი მოგაკვლევინოს და ციხეში ჩაგაგდოს!

---

70 ი. დვალიძე. მოტივისა და მიზნის ძეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თბ. 2008, გვ. 121

ამ ფაქტების ახსნისას განზრახი თანამონწილეობის ცნებამ, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართალში ერთხმად არის აღიარებული, ზოგიერთი სირთულეები შექმნა. თანამონაწილეობის ცნების მიხედვით მკვლელობის უშუალო ამსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის, შუალობითი ამსრულებელი უნდა დაისაჯოს ორი სიკეთის — განზრახი მკვლელობისა და უშუალო მკვლელის, ესე იგი, წაქეზებულის პიროვნული თავისუფლების ხელყოფისათვის, იმისათვის, რომ მან იგი მოატყუა და დამნაშავედ აქცია.

დანაშაულის წამქეზებელი და ამსრულებელი ხშირად ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ, ყოველ შემთხვევაში, მათ ნათლად აქვთ წარმოდგენილი ის სისხლისსამართლებრივი უმართლობა, რომელსაც ერთობლივად სჩადიან. უფრო მეტიც, წამქეზებლისა და ამსრულებლის განზრახვა ტიპიურად შემადგენლობის ერთსა და იმავე ნიშნებსაც კი მოიცავს. მაგრამ დანაშაულის წამქეზებელი და პროვოკატორი არსებითად განსხვავდებიან. იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელმა არ იცის, რომ მას აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის მომენტში შეიპყრონ და დასაჯონ, შეიძლება ვილაპარაკოთ ამსრულებლის შეცდენაზე ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით. ამსრულებელს რომ სცოდნოდა, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ, ის, ცხადია, თავს შეიკავებდა და არ აჰყვებოდა ცდუნებას»[71].

როგორც მართებულად აღნიშნავს ო. გამყრელიძე, წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (წაქეზებელი) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ[72]. ამიტომ ამ მოვლენის ამოსახსნელად თანამონაწილეობის ცნება არ გამოდგება.

სამწუხაროდ არც თ. ებრალიძემ და არც ი. დვალიძემ არ გაამახვილეს ყურადღება იმ გამოსავალზე, რომელიც გამონახა პროფ. ო. გამყრელიძემ თავის საკონფერენციო გამოსვლაში 1997 წ. მისი აზრით იმ პერიოდში მოქმედ სისხლისამართლებრივ კანონმდებლობას უნდა დაემატოს ასეთი მუხლი:

---

71 იხ: ო.გამყრელიძე. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ. "მეცნიერება". 1989, გვ. 14

72 იხ: ო.გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005, გვ. 196

მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად

1. მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩადენისათვის

2. დანაშაულის პროვოკაცია

3. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია."[73]

ნაწილობრივ ეს მოსაზრება გაითვალისწინა მოქმედმა კანონმდებლობამ, მაგრამ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციის საკითხი დარჩა ღიად. რას ნიშნავს ეს ნოვაცია?

დანაშაულის პროვოკაცია, რომელმაც გამოიწვია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე შედეგი, როგორც თანამონაწილეობის თეორიის აჩრდილი, იყო უარყოფილი და ძირითადი ყურადღება იყო გადატანილი პროვოკატორის განზრახვაზე: პირს უნდა გაცნობიერებული ჰქონდეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის განხორციელების გარდაუვალობას. აქედან გამომდინარეობს, რომ სსკ-ს 145-ე მუხლის მეორე ნაწილად შეიძლება განვსაზღვროთ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია.

ამრიგად, თუ მივყვებით ო. გამყრელიძის გაკვალულ გზას მივიღებთ შემდეგ ნორმას:

«მუხლი 145. დანაშაულის პროვოკაცია.

1. დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.....

2. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია...».

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ნ. თოდუა, რომელიც მართებულად აღნიშნავს, რომ ეს ნორმა თავის მიზანს უკეთ შეასრულებს, თუ მას დაემატება დამამძიმებელი გარემოება, რომელიც გაით-

---

73 იხ: ო. გამყრელიძე. მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად — თეუსუს საიუბილეო კრებული. თბ. 2007, გვ. 182- 186

ვალისწინებს უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციისათვის[74].

ამრიგად, ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტის ევოლუცია დასრულდა იმ კონსტრუქციული შემუშავებით, რომელიც დღემდე არაა მიღებული ევროპულ სისხლის სამართალში და დღემდე პრობლემურია. როგორც აღნიშნავს ა. ჟალინსკი, აგენტ-პროვოკატორის პრობლემა განიხილება გერმანულ სამართალში. ამ საკითხის გადაწყვეტისას ტრონდლერს და ფიშერს მიაჩნიათ, რომ აგენტ-პროვოკატორის გამოყენების გარეშე შეუძლებელია ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა. ჩატარებული ანალიზის შედეგად ა. ჟალინსკი ასკვნის, რომ აღნიშნული პრობლემა განიხილება უამრავ ნაშრომებში, მაგრამ საკითხი მაინც ბოლომდე არაა გადაწყვეტილი და სადისკუსიოა. ზოგიერთ შემთხვევაში კი აკეთებენ გულუბყვრილო დასკვნებს. მაგალითად, პროვოკაციის მიზნით პიროვნებას უდებენ ჯიბეში ფულს. თუ ამ პირს არ გააჩნია მითვისების განზრახვა, მაშინ აგენ-პროვოკატორი არ დაისჯება. უკვეთავენ გარკვეულ საქონელს, რათა ამხილონ პირი ქურდობაში, მაგრამ არ ცდილობენ, რომ ქურდობა დასრულდეს — მაშინ პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს და ა.შ. აგენტ-პროვოკატორის საკითხი ა. ჟალინსკის აზრით, გერმანულ სამართალში დღემდე სადავოა და მოითხოვს სპეციალურ ანალიზს[75].

---

74 ნ. თოდუა. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. ნ.1. თბ. 2006., გვ. 233

75 იხ. : Э. Жалинский. Современное немецкое уголовное право. М. 2004, с. 281-282

თავი II.

დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა

§1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური მხარე წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილს. მის გასარკვევად ჩვენ უნდა გამოვყოთ ობიექტი, საკუთრივ ქმედება, შედეგი და მიზეზობრივი კავშირი მათ შორის.

დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი არაერთგვაროვნად არის რეგლამენტირებული საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში. ასე, მაგალითად, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს ქრთამის პროვოკაციას და არა დანაშაულის პროვოკაციას. ამ ქვეყანაში გაბატონებული აზრის მიხედვით, ქრთამის პროვოკაცია მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის სპეციალური ნაირსახეობაა[76]. ამიტომ, რფ სსკ-ს 304-ე მუხლის "ქრთამის პროვოკაცია" მოთავსებულია კოდექსის 31-ე თავში, რომელიც ეხება დანაშაულს მართლსაჯულების წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, ქმედების მცდარი გაგება ლოგიკურად იწვევს ობიექტის ცნების აღრევას. წამქეზებლის მოქმედება მიმართულია თვით ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. ამსრულებლის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამსრულებელმა არ იცის, რომ მას ხაფანგს უგებენ, აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრონ. მან რომ წამქეზებლის ნამდვილი მიზანი იცოდეს, ცხადია, მის მიერ დაგებულ ხაფანგში არ გაებმება. ასე, რომ წამქეზებელი და ამსრულებელი არა ერთ, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ[77].

ხელყოფის საგანია კონკრეტული ადამიანის თავისუფლება და ამიტომაც დანაშაულის პროვოკაცია უნდა იყოს მოთავ-

---

76 Уголовное право России (под ред. Р.А.Адельханяна). Волтерс Крувер. М. 2004, с.647

77 თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 217.

სებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. რუს მეცნიერებს ყურადღება გადააქვთ გარეგან, ობიექტურ ნიშნებზე და ამიტომ ქმედების შეფასება ხდება წმინდა ობიექტური კრიტერიუმებით. არაა დანახული უმართლობის სუბიექტური ელემენტი — მიზანი, რის გამოც ვიღებთ პროვოკაციის გაუგებარ დახასიათებას. ე.წ. მტკიცებულებათა ფალსიფიკაციით დამნაშავე მიზნათ ისახავს დაზარალებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას და არა სამართალდამცავი ორგანოების მოტყუებას. პირიქით, სამართალდამცავი ორგანოების მოტყუება ექვემდებარება ძირითად მიზანს - დაზარალებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას. ამიტომ დანაშაულის პროვოკაციის ობიექტია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და არა მართლმსაჯულება (როგორც ეს მიჩნეულია რუსეთის კანონმდებლის მიერ).

ამრიგად ქმედების საგანია კონკრეტული პირის უფლება და თავისუფლება, რადგან ამსრულებელი დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. აქ ქართველი კანონმდებელი პრინციპულ პოზიციას იკავებს უმართლობის ბუნების გაგებისას. ამიტომ პრინციპულად მიუღებელია რუსეთის კანონმდებლის პოზიცია, რომლის თანახმად დანაშაულის საგანია ფული, ფასიანი ნივთი, ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევა და ა.შ[78].

განვიხილოთ ქმედების თავისებურება, ე.ი. სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. "სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად" გულისხმობს, როგორც სიტყვიერი იმფორმაციის მიწოდებას, ასევე კონკლუდენტურ მოქმედებას — დანაშაულის ჩასადენად პირობების ხელოვნურად შექმნას. ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია გამოთქმული მოსაზრება, რომ "სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნად განხორციელებისა და კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით, უმჯობესი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლის დისპოზიცია შეიცავდეს მითითებას "დანაშაულის ჩასადენად პირობების ხელოვნურად შექმნაზე," როგორც დასჯად ქმედებაზე"[79].

---

78 **Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. М. «Зерцало».М.1998.,с.694**

79 **თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 225.**

როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის პროვოკაციის არსებითი მომენტია პირის შეცდენა მისი დასჯის მიზნით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ «შეცდენის ხერხი შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა პროვოკაციის მიზნის გარეშეც».[80] მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება სხვა სახის დანაშაულთან. მაგალითად, მკვლელობის შუალობითი ამსრულებელია პირი, რომელიც აქეზებს სხვას, რათა მან ესროლოს ბუჩქს, მაგრამ არ უმხელს მას, რომ იქ ადამიანია.

ობიექტური მხრიდან დანაშაულის პროვოკაცია წარმოადგენს პიროვნების განზრახ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია პროვოცირებულის დანაშაულის ჩადენაში ჩათრევისაკენ. ამასთან, ქმედებებში ჩვენ ვგულისხმობთ პროვოკატორის ქმედებებს, რომლებიც ხორციელდება არა პროვოცირებულთან თანამონაწილეობისას, ე. ი. მონაწილეობა არაა მათთვის საერთო დანაშაულში, სადაც პროვოკატორის განზრახვა, აგრეთვე მოტივი და მიზანი პროვოცირებულისათვის ცნობილი არაა. ასეთი ქმედებები შეიძლება წარმოადგენდეს პროვოცირებულის ნებისმიერი საშუალებით ჩათრევას დანაშაულის ჩადენაში და ხასიათდებოდეს აქტიური ქცევით.

პროვოკაციის ობიექტური მხარის არსი მდგომარეობს არა მარტო ამა თუ იმ დანაშაულის მოდელირებაში, არამედ დანაშაულის წარმოქმნაში, რომელიც შეიძლება სულაც არ მომხდარიყო. ამ შემთხვევაში პროვოკატორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ იქნებოდა სამართლიანი.

დანაშაულის პროვოკაციის ხერხები შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვაგვარი (დაყოლიება, შანტაჟი, იძულება, შეცდომაში შეყვანა, დანაშაულის გარემოების მოდელირება), მაგრამ რამდენადაც შემოთავაზებული ნორმის დისპოზიციაში ჩვენ მათ არ მივუთითებთ, დანაშაულის შემადგენლობის განხილვისათვის მათ არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ, მთავარია, რომ ნებისმიერი ხერხის თანმდევი ნიშანი იყოს პროვოცირებულის გაუთვითცნობიერებულობა თვით ქმედებაში და შესაბამისად მაპროვოცირებელის ქმედების ხერხში.

ამასთან ერთად, პროვოკაციის ხერხმა თავისთავად შეიძლება წარმოქმნას დამოუკიდებელი დანაშაული. ამ შემთხვევაში ს.

---

80 ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება თბ. 2005, გვ. 111

6. რადაჩინსკის მიაჩნია, რომ პროვოკაციის ასეთ ხერხებს უნდა მიეცეს დამატებითი კვალიფიკაცია, მაგალითად:

-საცხოვრებლის ხელშეუხებლობის დარღვევა (როცა პროვოკაციის სუბიექტი შედის პროვოცირებულის საცხოვრებელში მისგან დაფარულად და ათავსებს იქ პროვოკაციის საგანს).

- არასრულწლოვანის ჩათრევა დანაშაულის ჩადენაში დაპირებების, მოტყუების, მუქარის ან სხვა ხერხების გამოყენებით (თუ არასრულწლოვანის ჩათრევა ხდება თანამონაწილის, მათ შორის, შუამავლის სახით, როცა მისთვის ცნობილია ქმედების პროვოკაციული ხასიათი, ან თუ არასრუწლოვანს საერთოდ არ აქვს გააზრებული შესასრულებელი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ხასიათი, გამოიყენება პრაქტიკულად როგორც პროვოკაციის "იარაღი" და ა. შ.

– მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგებების რეგისტრაცია (თუ პროვოკაციის საგნად გამოდის მიწის ნაკვეთი, ხოლო იურიდიული გაფორმება ხორციელდება შესაბამის კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ)[81].

აღწერილი ხერხები ხელყოფენ სისხლისსამართლებრივი დაცვის სხვა, დამოუკიდებელ ობიექტებს, რომლებიც მოცული არაა დანაშაულის პროვოკაციის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნორმის დისპოზიციით. ამიტომ რიგი მეცნიერებისა გვთავაზობენ, ასეთი ქმედებები დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის მიხედვით[82].

საკმაოდ საკამათოა დანაშაულის პროვოკაციის გაიგივება ბრალეულის მიერ აუცილებელი თავდაცვის მოჩვენებითობის შექმნასთან პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შემდგომი ჩადენის მიზნით. ასე, მაგალითად, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ნ-ი უცნობ ჭაბუკებთან ერთად იჯდა ქუჩის მერხზე საკუთარი სახლის მახლობლად. როცა მათთან მივიდა ქალიშვილი, ჭაბუკებმა ნ-ს სთხოვეს, რომ მას დაეთმო მისთვის ადგილი მერხზე. მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც იგი მერხიდან

---

81 Радачинский С.Н. Уголовная ответственность за провокацию взятки либо коммерческого подкупа. Дис. ... кандидата юридических наук. Ростов-на-Дону. 1999. С. 46-47.

82 Говорухина Е. В. Понятие и правовые последствия провокации в уголовном праве. Ростов-на-Дону. 2002, с. 54-55

გადმოაგდეს. ნ-ი გაიქცა სახლში, აიღო დანა, ცოლს უთხრა, რომ საჩხუბრად მიდიოდა და ქუჩაში დაბრუნდა, სადაც მერხზე მჯდომარე ქაბუკების წინ გაჩერდა. მალე ეს უკანასკნელნი წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო ერთი მათგანი — ბ შეეცადა გზიდან ჩამოეცილებინა ნ-ი და მას ხელი მოუქნია, რის შემდეგაც მძიმე ჭრილობა მიიღო მუცლის არეში და გარდაიცვალა. მოცემულ სიტუაციაში ბრალეულის დანაშაულებრივი ქცევა იყო საკმაოდ მოფიქრებული და გათვლილი, რადგანაც საკმაო დრო გავიდა, რომ იგი დამშვიდებულიყო, რაც კიდეც დასტურდება მისი გააზრებული მოქმედებით დანაშაულის ჩადენის წინ[83].

მოცემულ სიტუაციაზე გაკეთდა შემდეგი კომენტარი: "არსებითად ნ-მა მოახდინა თავდასხმის "პროვოცირება". აიღო რა დანა ჩხუბის, უფრო ზუსტად კი თავის "მწყენინებლებთან" ანგარიშის გასწორების მიზნით, ის ელოდა მხოლოდ ამისათვის შესაფერის მომენტს და ამიტომ რჩებოდა აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდების მხედველობის არეში. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ბ მიუახლოვდა და ხელი მოუქნია ნ-ს, მას უკვე ჰქონდა "განაჩენი" გამოტანილი და მან ისარგებლა შესაფერისი მომენტით გამოტანილი "განაჩენის" სისრულეში მოსაყვანად. ამრიგად, დაზარალებულის მოქმედება არ წარმოადგენდა იმ გადამწყვეტ პირობას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია თავდაცვის აუცილებლობა, მან შეასრულა მხოლოდ საბაბის .როლი, რომ დამნაშავეს მოეყვანა სისრულეში წინასწარ ჩაფიქრებული დანაშაულებრივი განზრახვა"[84].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაში დამნაშავის მიერ ნამოქმედარი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც დანაშაულის ჩადენა აუცილებელი თავდაცვის ზღვრის გადამეტება ან როგორც დანაშაულის პროვოკაცია, რადგანაც დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისაკენ, ხოლო აუცილებელი თავდაცვის პროვოკაცია მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც საკუთარი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხერხი. ყველა შემთხვევაში ამჯერად დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა არ გვაქვს.

დანაშაულის პროვოკაციის ძირითადი ნორმის გაგებისას ხერხს

---

83 იხ. იქვე, გვ. . 56

84 იხ.: Сидоров Б.В. «Аффект. Его уголовно-правовое и криминологическое значение». Казань. 1978. с. 103.

არ აქვს ისეთი არსებითი მნიშვნელობა, როგორც მიზანს. თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომელიც თანმიმდევრულად ვერ ასახავს დანაშაულის პროვოკაციის ამ არსებით მახასიათებელს. მხედველობაში გვაქვს შემდეგი სახის მსჯელობა: მაგალითად, მოქალაქემ სახელმწიფო მოხელეს შესთავაზა წინადადება, - თუ მიიღებენ მას სამუშაოზე, ქრთამის სახით გადასცემდა გარკვეულ თანხას. მოხელეც დათანხმდა და აიღო ქრთამი, რა დროსაც იგი მხილებულ იქნა დანაშაულის ჩადენაში. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მოქალაქის ეს ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის პროვოკაციად, ვინაიდან მას მოხელე არ დაუყოლებია დანაშაულის ჩადენაში მის ფსიქიკაზე აქტიური ზემოქმედებით (თხოვნა, მუქარა და ა.შ.). ის ფაქტი, რომ მოხელე მის წინადადებას უპრობლემოდ დათანხმდა, მიუთითებს, რომ ქრთამის აღება ამ მოხელისათვის საქმიანობის ჩვეულებრივი წესია. ასევე არ ჩაითვლება პროვოკაციად პირის ქმედება, როცა იგი შეგნებულად დადგება იმ მოქალაქის გვერდით ვისი მხილებაც სურს, გახსნილი ჩანთით ხელში, საიდანაც მოჩანს საფულე და ადვილია მისი ამოღება. ამ შემთხვევაშიც ადგილი არა აქვს პირის დაყოლიებას[85].

აღნიშნული მოსაზრება სადავოა, რადგან მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ იმოქმედებს პროვოკატორი პირის ფსიქიკაზე. მთავარია, რომ მისი მიზანი იყო ამ პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.

პროვოკაციის ობიექტური შემადგენლობის ელემენტის - ქმედების გარკვევასთან დაკავშირებით წარმოიშობა უფრო რთული პრობლემა. მეცნიერთა ერთი ნაწილი დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობას აგებენ შედეგის უღირსობაზე. ი. დვალიძის აზრით, "დანაშაულის პროვოკაცია ფორმალური დანაშაულია, ამდენად წამქეზებელთან შედარებით აგენტ-პროვოკატორისათვის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მნიშვნელოვნად შეზღუდულია: წამქეზებელს სრული იურიდიული უფლება აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღოს მას შემდეგ, როდესაც მან დანაშაულის ჩასადენად სხვა დაიყოლია, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული

85 იხ.: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 1. თბ. 2006, გვ. 232

ყველა ნიშანი და შეგულიანებულ ადამიანს ნებაყოფლობით და საბოლოოდ გადაარწმუნებს დანაშაულის ჩადენისაგან. ანალოგიურ სიტუაციაში ამგვარი შესაძლებლობა აგენტ-პროვოკატორს საერთოდ არ გააჩნია, რამეთუ სხვისი დაყოლიებისთანავე დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულ დანაშაულად ითვლება".[86]

დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობის გამოცხადება ფორმალურ შემადგენლობად, ჩვენი აზრით, გარკვეულ სიძნელეებს წარმოადგენს. განსაკუთრებით პრობლემატიურია სიტუაცია, როდესაც, მაგალითად, პროვოკატორმა დამუშავებული ფული შეუგზავნა თანამდებობის პირს, რომელმაც ცდუნებას გაუძლო და ფული არ აიღო. ისმის კითხვა, თუ პროვოკატორის მიზანი არ განხორციელდა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს აღნიშნული ქმედება? თუ ჩვენ აღვიქვამთ დანაშაულის პროვოკაციას შეკვეცილი შემადგენლობის სახით, მაშინ დანაშაულის პროვოკაცია უნდა ჩაითვალოს დამთავრებულად. მაგრამ აქ წარმოიშობა ალოგიკური სიტუაცია: პროვოკატორმა ვერ დაიყოლია თანამდებობის პირი დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, ე.ი. ბოლომდე ვერ მიიყვანა დანაშაული. ი. დვალიძის კონცეფციის მიხედვით აქ ჩვენ საქმე გვაქვს დამთავრებულ დანაშაულთან, რაც არაა მართებული. როგორ შეიძლება დამთავრებულ დანაშაულად გამოაცხადო ის ქმედება, რომელიც არ დასრულდა? გამოდის, რომ ქმედების მცდელობასა და დამთავრებულ ქმედებას შორის არ არსებობს განსხვავება, რაც ნონსენსია, თუ მეტი არა. როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, "დანაშაულის დამთავრება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ქმედება კოდექსის კერძო ნაწილში".[87] სსკ-ს 145-ე მუხლის თანახმად დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულად ითვლება, თუ პირმა სხვა დაიყოლია დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. დანაშაულის ჩადენის ფაქტი უნდა იყოს სახეზე. აქ ათვლის წერტილია "წაქეზების" შედეგად ჩადენილი დანაშაული. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში არ დგას საკითხი — გასცდა შეცდენილი პირი

---

86 იხ.: ი. დვალიძე. მოტივისა და მიზნის ძეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თბ. 2008, გვ. 123

87 იხ. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება თბ. 2005, გვ. 159

პროვოკატორის მოლოდინს და ჩაიდინა უფრო მძიმე დანაშაული, თუ არა. მთავარია, რომ დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულად ჩაითვლება, თუ რეალიზებულია საფრთხე, ე.ი. თუ შეცდენილმა ჩაიდინა დანაშაული. როგორც ვხედავთ სს-კ 145-ე მუხლი ითვალისწინებს მატერიალურ და არა ფორმალურ შემადგენლობას.

ასევე აღინიშნება, რომ დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური შემადგენლობა ატარებს უდავოდ ფინალურ ხასიათს. აქ მთავარია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზანი, რომლის განსახორციელებლად პროვოკატორმა უნდა დაიყოლიოს სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად. სს-კ 145-ე მუხლში არაა მითითება იმაზე, სურს თუ არა წამქეზებელს, რომ ამსრულებელმა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. მაგრამ მეტად პრობლემურია მოსაზრება, რომ დანაშაულის პროვოკაციისას წამქეზებელს, როგორც წესი, არ სურს, რომ ამსრულებელმა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. იგი დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ მან დაიწყოს დანაშაულებრივი საქმიანობა და დასჯად სტადიას მიაღწიოს, რაც შესაძლებლობას მისცემს ამხილოს დამნაშავე და დასასჯელად გადასცეს[88]. აქ იგულისხმება მცდელობის სტადია. ასე მაგალითად მოყავთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსაცდელ დარბაზში ერთ-ერთ მგზავრს დაუდეს წინ ჩემოდანი და თხოვეს თავი მოემძინარებინა. ამ გზით დაიჭირეს ქურდი. როგორც ასკვნიან, დანაშაულის პროვოკატორმა პასუხი უნდა აგოს სსკ-ს 145-ე მუხლით, ხოლო პროვოცირებულმა პირმა - დანაშაულის მცდელობისათვის[89]. ასეთი მიდგომის შედეგად ახსნის გარეშე რჩება ისეთი შემთხვევა, როდესაც პროვოკატორს სურს, რომ შეცდენილმა პირმა ჩაიდინოს დანაშაული. ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ნათელი პოზიცია უკავია ო. გამყრელიძეს, რომლის აზრით, არ აქვს მნიშვნელობა იმას, წამქეზებელმა დაასრულა დანაშაული თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა. "დანაშაულის პროვოკაცია" დასჯადია, უპირველის ყოვლისა, მაშინ, - წერს ავტორი, -როცა პროვოკატორმა წააქეზა და ჩაადენინა დანაშაული სრულიად ალალ-

88 თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008,.გვ. 217

89 იხ. იქვე, გვ. 224

მართალს, ვისაც დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მოსვლია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ნამქეზებელმა დაასრულა დანაშაული თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა".[90]

აღნიშნული მოსაზრება მიგვაჩნია უფრო მართებულად, რადგან პროვოკატორის ძირითადი მიზანია პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ პროვოკაციის შედეგია შეცდენილი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. თუ პროვოკატორის მიზანი - დამნაშავის მხილება და დასჯა - განხორციელდა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით, მაშინ დანაშაულის პროვოკაცია დასრულებულად ითვლება.

შედეგის საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხი: "როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი პროვოკაციის მიზნით წააქეზეს დანაშაულის ჩასადენად, წაქეზებულმა კი დანაშაული ბოლომდე მიიყვანა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა"[91]. ამ საკითხის გარკვევისათვის მივმართოთ შემდეგი მაგალითის მოდელს: ა. მტრულად არის განწყობილი ბ-ს მიმართ. ამ იცის, რომ ბ-ს ძველი ანგარიშები აქვს ც-სთან და აქეზებს ბ-ს მის მოსაკლავად. ა-ს არ სურს ც-ს სიკვდილი. მისი მიზანია ამხილოს ბ. მკვლელობის მცდელობაში და ციხეში ჩასვას. როცა დანაშაულის ჩადენაზე დაიყოლია, ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით. ა-ს იმედი აქვს, რომ ბ. ენდობოდა მას და არ შეამოწმებს იარაღს.

მისი ვარაუდი არ გამართლდა. ბ-მ იარაღი შეამოწმა და როცა ნახა, რომ მან არ გაისროლა, გამოცვალა უვარგისი ტყვიები და მოკლა ც.

"ამ მაგალითში, - როგორც გვარწმუნებენ, ნამქეზებელს არც სურს სასიკვდილო შედეგის დადგომა და არც შეგნებულად უშ-

---

90 იხ. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება თბ. 2005, გვ. 196

91 იხ. თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 217 იხ. თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 236. ეს საკითხი ჩვენ უკვე განვიხილეთ წინა თავში, როდესაც ვასაბუთებდით თანამონაწილეობის კონსტრუქციის მოშველიების ნაკლს დანაშაულის პროვოკაციის ახსნისას. Aამ საკითხს ჩვენ კვლავ უბრუნდებით ქმედების შედეგის საკითხის გააზრებასთან დაკავშირებით.

ვებს მას. იგი იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება. ე.ი. შედეგის მიმართ აქვს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება დანაშაულებრივი თვითიმედოვნების სახით. ამიტომ მან არ შეიძლება პასუხი აგოს ბ-ს მიერ ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის შესაძლებლობას".[92]

მაგრამ დავუშვათ, რომ წამქეზებელს სურს სასიკვდილო შედეგი, მაშინ განსახილველი მოსაზრების თანახმად თანამონაწილეობას ექნება ადგილი. აქ კი ამ აზრის არგუმენტაცია ჩიხშია მოქცეული და ვერ პოულობს გამოსავალს, რადგან წარმოიშობა საპირისპირო დასკვნები: 1) თანამონაწილეობას არ აქვს ადგილი, რადგან სიცოცხლის მოსპობის მიმართ პროვოკატორს ჰქონდა გაუფრთხილებელი დამოკიდებულება, კანონმდებელი გამორიცხავს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას განზრახ ჩადენილ დანაშაულში; 2) წამქეზებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით). მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი ქმედების სამართლებრივი შეფასება. გარდა სსკ-ის 116-ე მუხლისა, მან პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 145-ე მუხლითაც — დანაშაულის პროვოკაციისათვის[93]. როგორც ხედავთ წინააღმდეგობა სახეზეა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს. თუ პროვოკატორი და პროვოცირებული პირი ასრულებენ სხვადასხვა უმართლობას, მაშინ შედეგის ბუნებაც უნდა განსხვავდებოდეს. უფრო მეტი, დანაშაულის პროვოკაციის შედეგია დანაშაულის ჩადენა დამნაშავის მხილებისა და მისი დასჯის მიზნით. პროვოცირებული პირის ქმედების — მკვლელობის შედეგი კი — სიცოცხლის მოსპობა. დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მოხერხდა სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ამ შედეგის გარკვევისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მკვლელობის შედეგს, რადგან პირი

92 იხ. თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 217

93 იხ. თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 237

შეიძლება იყოს დაკავებული მკვლელობის მცდელობისას. ნათელია, რომ მკვლელობა არაა დასრულებული, მაგრამ დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულია.

დანაშაულის პროვოკაციის შედეგის საკითხი დღემდე არაა გადაწყვეტილი, მაგალითად, რუსეთის მეცნიერებაში და სათანადოდ სასამართლო პრაქტიკაშიც. მრავალი მეცნიერი, რომელიც არ სცილდება თანამონაწილეობის ინსტიტუტს, ვერ არკვევს ადეკვატურად შედეგის ცნებას. ხშირად ურევენ ერთმანეთში პროვოკაციის შედეგს და პროვოცირებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგს. ასეთი მიდგომა ახასიათებს რუსეთის სისხლის სამართალს, რომელმაც ვერ დაძლია აღნიშნული პრობლემა. დანაშაულის პროვოკაციის შედეგის გარკვევისას მრავალი მეცნიერი, რომელიც ვერ სცილდება თანამონაწილეობის ინსტიტუტს, ვერ არკვევს ადექვატურად შედეგის ცნებას. ხშირად ერთმანეთში ურევენ პროვოკაციის შედეგს და პროვოცირებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგს.

ასე, ე.ვ. გოვორუხინას აზრით, პროვოკაცია წარმოადგენს დასრულებულ დანაშაულს ობიექტურ მხარეში ნაჩვენები ქმედებების ჩადენის მომენტიდან, ე. ი. აქ დანაშაულის პროვოკაცია ჩვენ მიერ კონსტრუირებულია როგორც ფორმალური. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროვოკატორის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს მძიმე, პროვოკატორის განზრახვით გაუთვალისწინებელი მძიმე შედეგები. ასე, მაგალითად, დამნაშავის პროვოკაციულ მოქმედებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს პროვოცირებული პირის რეპუტაციას, რასთან დაკავშირებითაც, მიცემულმა პირმა შეიძლება ჩაიდინოს თვითმკვლელობა, გამოიწვიოს მძიმე ფსიქიკური მოშლილობა, ან განაპირობოს სხვა მძიმე შედეგის დადგომა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის ქმედებაში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ გაზრდილი საზოგადოებრივი საფრთხე და ამდენად, მას უნდა დაეკისროს გაზრდილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ჩვენ ვთავაზობთ გამოიყოს დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიცირებული სახეობა და იგი გადმოიცეს შემდეგნაირად: "ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ნაწ. 1 და გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგის დადგომა". მძიმე შედეგების ქვეშ, ავტორის აზრით, შეიძლება ვიგულისხმოთ: პიროვნების უკანონო მსჯავრდება, პატიმრობაში აყვანა, პროვოცირებული

პირის თვითმკვლელობა ან მისი ფსიქიკური დაავადება და ა. შ[94].

ეს უხეში შეცდომა ეფუძნება დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური მხარის გაგებას. ქართველი ავტორები ამ პრობლემას მართებულად წყვეტენ. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ წამქეზებლის მოქმედება მიმართულია თვით ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. ამსრულებლის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამსრულებელმა არ იცის, რომ მას ხაფანგს უგებენ, აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრონ. მან რომ წამქეზებლის ნამდვილი მიზანი იცოდეს, ცხადია, მის მიერ დაგებულ ხაფანგში არ გაებმება. ასე, რომ წამქეზებელი და ამსრულებელი ხელყოფენ არა ერთ, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს. ქართველი ავტორები ამ პრობლემას მართებულად წყვეტენ. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ წამქეზებლის მოქმედება მიმართულია თვით ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. ამსრულებლის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამსრულებელმა არ იცის, რომ მას ხაფანგს უგებენ, აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრონ. მან რომ წამქეზებლის ნამდვილი მიზანი იცოდეს, ცხადია, მის მიერ დაგებულ ხაფანგში არ გაებმება. ასე, რომ წამქეზებელი და ამსრულებელი არა ერთ, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს აზიანებენ. დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური მხარის ცნების გარკვევა არ იქნება დასრულებული, თუ ჩვენ კვლავ არ დაუბრუნდებით სსკ-ის 145-ე მუხლს და არ განვიხილავთ მას საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. აღნიშნული მუხლის კონსტრუქცია, როგორც აღვნიშნეთ, უშვებს დანაშაულის პროვოკაციას, მაგრამ გამორიცხავს მომზადებას. ამიტომ დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხი ბოლომდე არაა გარკვეული როგორც პრაქტიკაში, ასევე თეორიაში.

სსკ-ის მე-18 მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. მაგრამ კანონმდებელი ზოგიერთ შემთხვევაში მომზადების ინსტიტუტს

---

94 Говорухина Е. В. Понятие и правовые последствия провокации в уголовном праве. Ростов-на-Дону. 2002, с. 54-55

აწესებს ასევე ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. მაგალითად, მომზადება დასაშვებია ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 221-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადებისათვის. თუ გავითვალისწინებთ დანაშაულის პროვოკაციის საშიშროებას საზოგადოებისათვის, მაშინ მიგვაჩნია, რომ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში უნდა იყოს გათვალისწინებული ასევე სსკ-ს 145 მუხლის პირველი ნაწილი.

ამის გარდა, გასათვალისწინებელია სსკ-ის 145-ე მუხლის ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონსტრუქცია, რომელშიც თანამონაწილეობის ინსტიტუტის აცილების მიზნით ჩვენს რედაქციაში შემოღებულია მეორე ნაწილი "მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია.», რომელიც ამავდროულად თავისუფლად წყვეტს დანაშაულის მომზადების პრობლემატიკას. როგორც აღვნიშნეთ, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი და ამიტომ შემოთავაზებული პოზიცია მეცნიერებისათვის უჩვეულო არაა.

აქვე კვლავ გვინდა დავუბრუნდეთ დანაშაულის პროვოკაციის დამთავრების მომენტს და განვიხილოთ ის დანაშაულის მცდელობის კუთხით. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ პირის დაყოლიება მისი პასუხისგებაში მიცემის მიზნით ითვლება დამთავრების მომენტად. სასამართლო პრაქტიკა ცხადყობს ამ საკითხის პრობლემურობას. ანალიზისათვის მოვიშველიოთ გ. გეწაძის საქმეს.

გ. გეწაძე, 2006 წლის აპრილიდან მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, ადმინისტრაციული სამართლისა და სოციალურ- ეკონომიკურ საქმეთა სამმართველოს მიწვეულ სპეციალისტად. 2006 წლის 2 ნოემბერს, ქალაქ თბილისში, საქართველოს სახალხო დამცველის შენობაში, გ. ჯ. გეწაძეს შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი გიორგი მშვენიერაძე, რომელმაც მისცა დავალება, გადაემოწმებინა აპარატში შემოსული მოქალაქე ბესიკ ჩხეტიანის განცხადებაში მითითებული, გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მიერ აკრძალული საგნების, მათ შორის

ფულის მსჯავრდებულებზე გადაცემის ნამდვილობა. ნაცვლად იმისა, რომ შეემოწმებინა ზემოაღნიშნული გარემოებანი, გ.ჯ. გეწაძე იმავე დღეს, დაახლოებით 17 საათზე, დაუდგენელ პირებთან ერთად, დაუდგენელი თეთრი ფერის "ვაზ-21" მარკის ავტომანქანით მივიდა რა გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, შევიდა მსჯავრდებულთათვის ამანათების გადასაცემ ოთახში, არ გაამხილა რა ის გარემოება, რომ იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი, იქ მომუშავე კონტროლის ჯგუფის ინსპექტორებს: ფ.მამაგეიშვილს და ზ. მიგინეიშვილს გარკვეული საზღაურის ფასად შესთავაზა მსჯავრდებულებზე აკრძალული საგნის, ფულის — 50 ლარის, გადაცემა. აღნიშნულზე, გ. გეწაძემ მიიღო რა კატეგორიული უარი, ანალოგიური ხერხით შეეცადა დაეყოლიებინა დანაშაულის ჩადენაში, ამავე დაწესებულების სხვა თანამშრომლები, კერძოდ, ავთანდილ გუდაძე, მიხეილ ფესტვენიძე, კობა გაბედავა და ბადრი სულაძე, რომლებმაც ასევე უარი განაცხადეს მსჯავრდებულებზე აკრძალული საგნის, ფულის გადაცემაზე.

აპელანტი, სახელმწიფო ბრალმდებელი, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორი, დ. ფ-ძე თავისი საააპელაციო საჩივრით ითხოვს წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის განაჩენში მსჯავრდებულისათვის საუარესო ცვლილების შეტანას. კერძოდ, გ. გეწაძის ქმედების დაკვალიფიცირებას ნაცვლად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 145-ე მუხლისა, ამავე კოდექსის 145-ე მუხლით, ქმედების მცდელობის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე მითითების გარეშე და ამ კვალიფიკაციით მისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას 2 (ორი) წლის ვადით, რასაც ასაბუთებს იმ მოტივირებით, რომ გ. გეწაძის მიერ დამთავრებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, დანაშაულის პროვოცირებისას აუცილებელია პირს ამოძრავებდეს სპეციალური მიზანი — პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. მიაღწევს თუ არა დამნაშავე ამ მიზანს, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მცდელობად.

სააპელაციო სასამართლო მთლიანად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლო მოტივირებებს, ბრალდების დამადასტურებელ, ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში, აღნიშნულის გათვალისწინებით კი არ იზიარებს, სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივარს, გ. გენაძის ქმედების, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით (როგორც დამთავრებული დანაშაულის) დაკვალიფიცირების მოთხოვნით, აგრეთვე, მსჯავრდებულ გ.ჯ გენაძის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივარს, გ. გენაძის უდანაშაულობის თაობაზე და საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გ.ჯ. გენაძეს სწორად შეერაცხა ჩადენილად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული[95].

როგორც ჩანს, პროკურორის პოზიცია, რომ დანაშაულის პროვოცირებისას აუცილებელია პირს ამოძრავებდეს სპაციალური მიზანი — პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა და მიაღწევს თუ არა დამნაშავე ამ მიზანს, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არ იყო სწორი. სსკ-ს 145- ე მუხლი მიზანს არ განიხილავს ობიექტური შემადგენლობის გარეშე. პირიქით უნდა იყოს დაცული ორი პირობა: პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად და 2) პასუხისგებაში მიცემის მიზანი.

§2. დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობა

დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობის ძირითადი ელემენტია განზრახვა. სსკ-ს მე-9 მუხლის თანახმად პირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. არაპირდაპირი განზრახვის

95 2007 წ. 1 დეკემბრის წყალტუბოს რაიონული სასამართლოს № 1/51 განაჩენი

დროს კი პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდეს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. განზრახვის რომელ სახეს უშვებს დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობა? განზრახვის ორივე სახე დასაშვებია, თუ მარტო პირდაპირი განზრახვა? განვიხილოთ დაწვრილებით აღნიშნული საკითხი.

საკითხის გარკვევისათვის კვლავ დაუბრუნდეთ თ. ებრალიძის მიერ მოყვანილ მოდელურ მაგალითს: ა. აქეზებს ბ-ს ც-ს მოსაკლავად. ა-ს არ სურს ც-ს სიკვდილი. მისი მიზანია ამხილოს ბ. მკვლელობის მცდელობაში. ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით. თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა ბ-მ იარაღი შეამოწმოს, უვარგისი ტყვიები გამოცვალოს და დადგეს სასიკვდილო შედეგი. ე.ი. არ სურს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს, გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ დანაშაულის პროვოკაციის შედეგია სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენისათვის წაქეზება მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას მისი სიხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით და სურდეს, რომ პირი მისცენ პასუხისგებაში. მიზეზობრივი კავშირი წყდება მარტო ამ შედეგით. ამიტომ არაა სწორი აზრი, რომ „ზემოთ მოტანილ მაგალითში, ცხადია სახეზეა მიზეზობრივი კავშირი წამქეზებლის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს — კაცის სიკვდილს შორის"[96]. აქ იმალება დებულება, რომ "თანამონაწილეობის დროს ორი ან მეტი პირის მოქმედების ერთიანობა უნდა შეეხებოდეს როგორც ობიექტურ მხარეს".[97] ასეთი მიდგომით განზრახვის საკითხი დგება ეჭვის ქვეშ, რადგან რჩება

96 იხ. თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 238

97 იქვე, გვ. 238

გაურკვეველი საკითხი: რომელი შედეგი უნდა სურდეს პროვოკატორს. დაუშვებელია, რომ ერთიანი ობიექტური მხარე არსებობდეს და განსხვავდებოდეს სუბუექტური მხარე. ამიტომ თეზისის დატოვება, რომ მარტო ობიექტური მხარის ერთიანობა არ არის საკმარისი და საჭიროა სუბიექტური მხარის ერთიანობაც, არ გვაძლევს საშუალებას გავიგოთ ბოლომდე დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური მხარის თავისებურება.

კაუზალური კავშირის არასწორი გაგება იწვევს არაპირდაპირი განზრახვის დაშვებას და მთლიანად ანგრევს დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობის სწორ გაგებას. თუ დაუშვებთ, რომ პროვოკატორის ქმედებიდან ჩვენ უნდა გავაბათ მიზეზობრივი კავშირი შეცდენილი პირის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგამდე, მაშინ უნდა მივილოთ ორი სახის განზრახვა: პირდაპირი განზრახვა პროვოკაციის შედეგამდე და არაპირდაპირი განზრახვა შეცდენილი პირის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი, რაც ალოგიკურია. თანამონაწილეობის ინსტიტუტს ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ გამოვიყენებთ, რადგან ერთიან უმართლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. მეორე მხრივ, არაპირდაპირ განზრახვასაც ვერ დავეყრდნობით, რადგან ის ეკუთვნის იმ უმართლობას, რომელიც არსებითად განსხვავდება დანაშაულის პროვოკაციის უმართლობისაგან.

აღნიშნული მოსაზრება ჩვენ გამოვთქვით იმ მაგალითის ანალიზთან დაკავშირებით, როდესაც პროვოკატორი მიზნათ ისახავს პირის პასუხისგებაში მიცემას დანაშაულის მცდელობის სტადიაზე. მაგრამ დაუშვათ, რომ პირს სურს, რომ შეცდენილმა ჩაიდინოს კონკრეტული დანაშაული, რათა მერე ამხილონ ის.

მივმართოდ გაბატონებულ მოსაზრებას, რომლის თანახმად, თუკი წამქეზებლის მიზანი ... არ ემთხვევა ამსრულებლის მიზანს, მაშინ აღარ გვაქვს თანამონაწილეობა და თითოეული მათგანი დამოუკიდებელი უმართლობის ამსრულებელია. მაგრამ როგორ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი, თუ პროვოკატორს სურს, რომ მკვლელობა განხორციელდეს, რათა ამის შემდეგ შეცდენილი იყოს დაკავებული, და ამავდროულად შეცდენილ პირსაც წარმოეშვა მკვლელობის სურვილი? პროვოკატორის განზრახვა ხომ ნაწილობრივ ემთხვევა შეცდენილის განზრახვას. რამდენად მართებულია შემდეგი სახის გადაწყვეტა: მარტო სსკ-ის 145-ე მუხლით

პასუხისმგებლობა კი, როგორც ავღნიშნეთ, არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებას და ბრალის ხარისხს. ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ როცა დანაშაულის პროვოკაციას მძიმე შედეგი მოჰყვა, პროვოკატორის ქმედების კვალიფიკაცია გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ სირთულეებს თავიდან ავიცილებდით, თუ სსკ-ის 145-ე მუხლს დავუმატებდით კვალიფიციურ შემადგენლობას, რომელიც შემდეგი შინაარსის იქნებოდა: "იგივე ქმედება, რამაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი". როგორც აღნიშნული იყო, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონი კრძალავს ისეთი ოპერატიული ექსპერიმენტის ჩატარებას, რომელიც "საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას"[98].

როგორც ვხედავ არაპირდაპირი განზრახვის უარყოფვის ცდის მაგივრად ავტორი სხვა უკიდურესობაში ვარდება და შემოაქვს გაუფრთხილებლობის ინსტიტუტი და ამით უფრო ბუნდოვანს ხდის დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური მხარის გაგებას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქმედების სუბიექტური მხარის გაგებისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სისხლის სამართლის კანონით აღწერილ შედეგს. როგორც მართებულად აღნიშნავს რ. კვარაცხელია, „განზრახვა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა პირმა მიიღო ნებელობითი გადაწყვეტილება, იმოქმედოს. სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას იგი იძენს მხოლოდ მაშინ, როცა პირი შეუდგება მის განხორციელებას. განზრახ მოქმედებად ითვლება ისეთი შეგნებული და მიზანდასახული მოქმედება, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიღწევისაკენ. განზრახვის დროს გადაწყვეტილება ყოველთვის წინ უსწრებს მოქმედებას, იგი მომავლისკენაა მიმართული"[99].

იმისათვის, რომ უფრო დეტალურად გავიგოთ განზრახვის თავისებურება დანაშაულის პროვოკაციის დროს აუცილებელია

---

98 იხ. თ. ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 239

99 რ. კვარაცხელია. ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. თბ. 2006, გვ. 99

შევეხოთ პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტს. დანაშაულის პროვოკაციის ჩამდენ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა და სურს ეს შედეგი. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვა ორ ელემენტს მოიცავს: შედეგის გაცნობიერებას და მის სურვილს. .

განზრახვის ინტელექტუალური მომენტი გულისხმობს: 1) ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას; 2) მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას ანდა 3) ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობის გათვალისწინებას.

როგორც ვხედავთ, ზოგადად, შემადგენლობის განხორციელების დროს განზრახვის ინტელექტუალური მომენტი, ქმედებასთან ერთად, უნდა მოიცავდეს აგრეთვე შედეგს და მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის. მაგალითად, მევაჭრეს უაქციზო სიგარეტების „ნისიად" შეძენის შეთავაზების დროს საკმარისია, რომ პროვოკატორს წარმოდგენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების ნიშნები. თუმცა, როგორც მართებულად აღნიშნავს ო. გამყრელიძე, სასამართლო არ არის ვალდებული ამტკიცოს, რომ განსასჯელმა იცოდა ჩადენილი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, რომ ეს ქმედება სისხლის სამართლის კანონით დანაშაულადაა გამოცხადებული და ისჯება[100].

რაც შეეხება განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის მეორე და მესამე ნიშნის ინტერპრეტაციას აქ ყურადსაღებია მ.ტურავას მოსაზრება. როგორც ის აღნიშნავს, ერთ შემთხვევაში პირდაპირი განზრახვის კოგნიტიური ელემენტი — ცოდნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც მხოლოდ შესაძლებელი და არ არის აუცილებელი, რომ იგი წარმოდგენილი იყოს, როგორც გარდაუვალი. ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა შედეგი სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა, იგი ხასიათდება კოგნიტიური ელემენტის განსაკუთრებული ინტენსიობით[101]. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ პროვოკატორი პასუხისგებაში მიცემას პროვოცირებული დანაშაულის გამო გარ-

---

100 იხ. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება თბ. 2005, გვ. 97

101 მ. ტურავა. სისხლის სამართალი. თბ. 2008, გვ. 131

დაუვალად თუ შესაძლებლად მიიჩნევს, სახეზე გვაქვს პირდაპირი განზრახვა.

აქვე უნდა შევეხოთ შემდეგ საკითხს: დასაშვებია თუ არა განუსაზღვრელი, არაკონკრეტიზირებული განზრახვა დანაშაულის პროვოკაციის დროს? როგორც ცნობილია, განუსაზღვრელი, არაკონკრეტიზირებულია ისეთი განზრახვა, როცა მოქმედს ზუსტად არა აქვს განსაზღვრული, რა შედეგი მოჰყვება მის მოქმედებას. სანიმუშოდ ასახელებენ სხეულის დაზიანებას, როცა მოქმედს ზუსტად არა აქვს წარმოდგენილი სხეულის რა ხარისხის დაზიანებას მიიღებს მსხვერპლი (მძიმეს, ნაკლებად მძიმეს, თუ მსუბუქს). როგორც წესი, ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დამდგარი შედეგის მიხედვით, რადგან სამივე შედეგი მოცული იყო მოქმედის განზრახვით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არაკონკრეტიზირებული განზრახვა დანაშაულის პროვოკაციას არ ახასიათებს, რადგან პროვოკატორს ზუსტად აქვს წარმოდგენილი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველთვის დადგება, თუ პირი შეცდენილია დანაშაულის ჩასადენად. სასჯელის სახეს, სანქციის სიდიდეს ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ასეთ დეტალიზაციას დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა არ მოითხოვს. საკმარისია, რომ დაკონკრეტებული იყოს ნებისმიერი სასჯელის გარდაუვალობა.

ასევე მიუღებელია ალტერნატიული განზრახვა, როცა მოქმედის წარმოდგენით ორი სხვადასხვა შედეგი ნათლად არის გამოკვეთილი. მაგალითად, დამნაშავეს მისდევს პოლიციელი. სირბილის დროს დამნაშავე დროდადრო მობრუნდება და პოლიციელს ესვრის რევოლვერს. მისთვის სულ ერთია პოლიციელი მოკვდება თუ დაიჭრება. მთავარია, ჩამოიცილოს მდევარი. ასეთი ქმედება ტრადიციულად შედეგის მიხედვით კვალიფიცირდება. დანაშაულის პროვოკაციის დროს ალტერნატიული განზრახვა ვერ განხორციელდება. როგორც აღვნიშნეთ, პროვოკატორისათვის მთავარია, რომ შეცდენილს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისგება.

პირდაპირი განზრახვის მეორე ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე ნებელობითი მხარე, სურვილი იმისა, რასაც მოქმედი აკეთებს. პროვოკატორს უნდა სურდეს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. დანაშაულის ჩადენა არაა სურვილის ობიექტი. უმთავრესი პასუხისგებაში მიცემის სურვილია.

დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობის გარკვევისას უნდა დავადგინოთ საკითხი: აფუძნებს თუ არა მოტივი უმართლობას აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის დროს? "შემადგენლობის სუბიექტური მხარის აღწერის დროს, – აღნიშნავს ო.გამყრელიძე, –კანონმდებელი ზოგჯერ მიუთითებს მოტივზე, რომელიც, მიზნის ანალოგიურად, ამსუბუქებს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას".[102] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლში განისაზღვრება უმართლობის ის ტიპი, რომელსაც აფუძნებს მიზანი და არა მოტივი.

როგორც მართებულად აღნიშნავდა პროფ. ბ.ხარაზიშვილი, მოტივი სამ ჯგუფად იყოფა: 1) მოტივები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში აუცილებელი ნიშნის სახით შედიან; 2) მოტივები, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშნები და 3) პასუხისმგებლობაზე გავლენის მქონე მოტივები.[103] ასეთივე აზრს იზიარებს ი. დვალიძეც, რომელიც ასევე აღნიშნავს, რომ "მოტივმა და მიზანმა შეიძლება დააფუძნოს უმართლობა".[104] აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს არაერთი ფაქტი სასამართლო პრაქტიკიდან. მაგალითად, პროვოკატორმა შესთავაზა თანამდებობის პირს დანომრილი ფული მის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. მოტივს ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან დანაშაულის პროვოკაციის ძირითადი ელემენტი – სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით - განხორციელდა. შესაძლოა, რომ აგენტ - პროვოკატორი მოქმედებს გარკვეული გასამრჯელოს გამო, ხოლო კერძო პირი — შურისძიების მოტივით. მაგრამ ორივე შემთხვევაში სხვადასხვა მოტივი „ემსახურება" მიზანს, რომლის ბუნება ერთი და იგივეა. ამრიგად დანაშაულის პროვოკაციის დროს მოტივს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

102იხ. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბილისი 2005. გვ. 99.

103 **იხ. Хорнабуджели Б. Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981. С. 71**

104იხ. ი. დვალიძე მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებლივ პასუხისმგებლობაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 2008. გვ. 74.

თავი III.

ქმედების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები

§1. დანაშაულისათვის წაქეზების გამიჯვნა, დანაშაულის პროვოკაციისაგან

1.1. წაქეზება ყოველთვის სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად. ამ მხრივ წამქეზებელი ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას სჩადის. მაგრამ დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიკაციისას ეს ფუნდამენტური თეზისი არ მოქმედებს, რადგან წაქეზება მიმართულია იმ დანაშაულის ჩასადენად, რომლის ჩადენა «ამსრულებლის» განზრახვაში არ შედიოდა. მეორე მხრივ, ჩადენილ დანაშაულში არ ვლინდება წამქეზებლისა და «ამსრულებლის» ერთიანი უმართლობა. სისხლის სამართლის თეორიაში აღნიშნული პრობლემური სიტუაცია ვერ წყდება დანაშაულის თანამონაწილეობის კონსტრუქციის ფარგლებში. იმ მრავალრიცხოვან შეხედულებებს შორის, რომლებიც დასავლურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გვხდება, განსაკუთრებით გამოირჩევა ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების შვეიცარული ვარიანტი, ცნობილი «სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის დასახელებით.

«სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის თანახმად წამქეზებლის ბრალეულობა გამოიხატება იმაში, რომ ახდენს ამსრულებელის სულიერ დეგრადაციას და ამ გზით აცდენს მას. ამსრულებელი, ამ თეორიის თანახმად, პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის, ხოლო წამქეზებელი, როგორც თანამონაწილე — ამსრულებლის პიროვნების დეგრადაციისათვის, მისი სულიერი სიკვდილისათვის. ამრიგად აღნიშნული თეორია ჩიხში აღმოჩნდა: თუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს თანამონაწილეობას, მაშინ უნდა იყოს აღიარებული მიზეზობრივი კავშირიც. მაგრამ თუ ხელყოფის ობიექტები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაშინ თანამონაწილეობის ინსტიტუტი ჩამოკიდებულია ჰაერში. ამ თეორიის შეფასებისას პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს: «ამით ნათლად არის

გამოთქმული ის აზრი, რომ წამქეზებლის მოქმედება ხელყოფს დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს. ეს სიკეთე არის ... შეცდენილის «სულიერი ინტეგრაცია». საკითხის ამგვარი გაგებით წინ არის წამოწეული ამსრულებლის პიროვნებისათვის ვნების მიყენება და გამოდევნილია ... წაქეზების კაუზალური კავშირი ამსრულებლის მოქმედებით გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგთან»[105].

«სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის ერთ-ერთმა მიმდევარმა ტრექსელმა დაინახა, რომ წაქეზება, რომელიც ეფუძნება შეცდენას, თავისი ბუნებით უნდა განსხვავდებოდეს იმ წაქეზებისაგან, რომელიც თანამონაწილის სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ აღმოჩნდა პრობლემის წინაშე: გამოდგება თუ არა წაქეზების პირველი ვარიანტი წამქეზებლის მეორე ვარიანტის ბუნების ახსნისათვის?[106]

«სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიამ ვერ ახსნა წაქეზების ბუნება და ღიად დატოვა შემდეგი პრობლემური სიტუაცია. კერძოდ, თუ წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ხოლო ამსრულებელი — სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით დაცულ რომელიმე კონკრეტულ სიკეთეს, მაშინ ე.წ. სოციალური ინტეგრაცია დამოკიდებულია სამართლებრივ სიკეთეზე. ამრიგად წამქეზებლობა არაა თანამონაწილეობა, რადგან მას გააჩნია ხელყოფის დამოუკიდებელი სიკეთე. ასეთივე ხელყოფის დამოუკიდებელი სიკეთე, ამ თეორიის მიხედვით, გააჩნია ამსრულებელს. ამრიგად აღნიშნული მოძღვრება საერთოდ უარყოფს თანამონაწილეობის ინსტიტუტს და შლის ზღვარს წამქზებლისა და ამსრულებლის, როგორც თანამონაწილეთა შორის.

უფრო მეტიც, გაუგებრად რჩება ე.წ. აგენტ-პროვოკატორის მოქმედების არსი. ამასთან დაკავშირებით პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს: «თუ ამსრულებლის «სოციალურ ინტეგრაციას» ჩავთვლით დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთედ, რომელსაც ხელყოფს წამქეზებელი, და ვიტყვით, რომ მას შეცდომაში შეჰყავს ამსრულებელი, მაშინ, ჩემი აზრით, წაქეზების ჩვეულებრივ

105 იხ: ო.გამყრელიძე. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ. "მეცნიერება".1989, გვ. 10

106 იხ: St. Trechsel, Der Strafrung der Teilnahme. Bern. 1957, S.7-8 (მითითებულია წიგნიდან: ო.გამყრელიძე. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ. "მეცნიერება".1989, გვ. 10

შემთხვევებს ვერ გაუთანაბრებთ ისეთ შემთხვევას, როცა აგენტი-პროვოკატორი აქეზებს სხვას დანაშაულის ჩასადენად ან ვინმე მოტყუებით ჩაადენინებს სხვას გაუფრთხილებლობით დანაშაულს და ა.შ. წამქეზებლის მოქმედება მაშინ იქნება მიმართული ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ, როცა წაქეზება ხდება პროვოკაციული მიზნით, როცა ამსრულებელმა არ იცის, რომ მას აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის მომენტში შეიპყრონ და დასაჯონ. ასეთ შემთხვევაში მართლა შეიძლება ვილაპარაკოთ ამსრულებლის შეცდენაზე ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით. ამსრულებელს რომ სცოდნოდა, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ, ის, ცხადია, თავს შეიკავებდა და არ აჰყვებოდა ცდუნებას»[107].

აღსანიშნავია «სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი. მხედველობაში გვაქვს წამქეზებლის პასუხისმგებლობის დასაბუთების პროცედურა. შვეიცარული მოძღვრება აგებს თავის თვალთახედვას ამსრულებლის «სოციალური დეზინტეგრაციაზე», ამსრულებლის პიროვნების ბოროტებაზე. «წარმოვიდგინოთ, - აღნიშნავს პროფ. ო.გამყრელიძე, - რომ წამქეზებელმა, რომელიც განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია, შეაცდინა, მოატყუა ვინმე და ჩაადენინა გაუფრთხილებლობითი მკვლელობა, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 1960 წლის კოდექსის 108-ე მუხლით იწვევს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მეორე შემთხვევაში კი განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა ყოველგვარი მოტყუების გარეშე წააქეზა მავანი და ჩაადენინა განზრახი მკვლელობა, რომლისათვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით სიკვდილით დასჯაც კი შეიძლება შეუფარდოს სასამართლომ (ძველი რედაქციით — გ. აბესაძე). გამოდის, რომ პირველ შემთხვევაში წამქეზებელმა ძალიან მსუბუქად უნდა აგოს პასუხი, ვინაიდან ამსრულებელს მან, მეორე მკვლელობისაგან განსხვავებით, გაცილებით ნაკლები ბოროტება მიაყენა»[108]

---

107 იხ: ო.გამყრელიძე. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ. "მეცნიერება". 1989, გვ. 14

108 იხ: ო.გამყრელიძე. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ. "მეცნიერება". 1989, გვ. 15

«სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის ანალიზს პროფ. ო. გამყრელიძემ შემთხვევით არ მიმართა თავის ნაშრომში, რაც იყო განპირობებული ორი მიზეზით. უპირველესს ყოვლისა, ეს მოთხოვნილება განპირობებული იყო თანამედროვე სისხლის სამართლის დოქტრინის განვითარების აუცილებლობით. თანამონაწილეობის პრობლემაზე მუშაობისას მან პირველად დაიწყო შეცდენის ცნების შემუშავება. ამ ინსტიტუტის გარეშე გაურკვეველი ხდებოდა მრავალი ცხოვრებისეული შემთხვევა, რაც ითხოვდა იმას, რომ განზრახვის ცნებაში, შეცდომის გვერდით, უნდა მოაზრებულიყო მსხვერპლის შეცდენა, როცა მოქმედი შეაცდენს, ატყუებს სხვას და ამ გზით სასურველ მიზანს აღწევს.[109] მაგრამ მთავარი ისაა, რომ შეცდენის ღრმა კვლევის შედეგად გასაგები ხდებოდა მიზეზი, რომლის გამო «სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიამ თანამონაწილეობის ფარგლებში ვერ ახსნა პროვოკაციის ე.წ. ორობიექტიანობა.

1.2. ამრიგად ყალიბდება აპრიორული დებულება — განზრახვის ცნებაში უნდა იყოს მოაზრებული შეცდენაც. ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს პროვოკაციის გაგებისათვის. მაგრამ, სანამ უშუალოდ შევეხებით ამ საკითხს უნდა ავხსნათ, რატომ უნდა იყოს შეცდენა მოაზრებული განზრახვის ცნებაში?

ზოგჯერ პირს განზრახული აქვს აშკარად დაეუფლოს სხვის ნივთს და ამისათვის იყენებს უვარგის იარაღს (სათამაშო პისტოლეტს). ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დაზარალებულის შეცდენას. მაგრამ შეცდენის შეფასება შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ განზრახვის ბუნებას. პირს სურს აშკარად დაეუფლოს სხვის მოძრავ ნივთს. მაგრამ, რადგან გამოყენებული იარაღი არაა საშიში სიცოცხლისათვის, ამიტომ ადგილი აქვს ძარცვას და არა ყაჩაღობას. როგორც ვხედავთ, შეცდენის შეფასება განზრახვის გარეშე დაუშვებელია. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მაშინ, როდესაც ქალს ემუქრებიან სათამაშო პისტოლეტით და ქალის ნების საწინააღმდეგოდ ამყარებენ სქესობრივ კავშირს. დაზარალებულის შეცდენას ადგილი აქვს თაღლითობის დროს, ცრუ დასმენის დროს და ა.შ. ყველა შემთხვევაში შეცდენას ვერ გავიაზრებთ ქმედების შემადგენლობის გარეშე.

---

109 იხ: ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005, გვ. 108

1.3. დანაშაულის პროვოკაციაც არის ამსრულებლის შეცდენა. ამიტომ აქაც უნდა გავითვალისწინოთ დებულება - განზრახვის ცნებაში უნდა იყოს მოაზრებული შეცდენაც. «ქმედების 145-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის განზრახვის მიმართულებას».[110]

დანაშაულის პროვოკაციისას პირი აქეზებს დანაშაულის ჩასადენად იმ მიზნით, რომ შემდეგ ამსრულებელი ამხილონ და პასუხისგებაში მისცენ. აქ წამყვანი ადგილი უკავია განზრახვას, რაზეც აიგება შეცდენა, კერძოდ, დანაშაულის პროვოკაციისას წამქეზებლის მოქმედება მიმართულია თვით ამსრულებლის წინააღმდეგ მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის გზით. ამ შემთხვევაში წამქეზებელი და ამსრულებელი არ მოქმედებენ ერთიანი უმართლობის ფარგლებში. თანამონაწილეობის დროს კი წამქეზებელი და ამსრულებელი ასრულებენ ერთიან უმართლობას, მოქმედებენ საერთო მიზნის მისაღწევად. თანამონაწილეობის დროს შეცდენას არ აქვს ადგილი, რაც არსებითია დანაშაულის პროვოკაციისათვის. «ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,- წერს თ. ებრალიძე, - სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს კანონმდებლის პოზიცია, რომელმაც დანაშაულის პროვოკაცია დამოუკიდებელი დანაშაულის სახით გაითვალისწინა სისხლის სამართლის კოდექსში და ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში მოათავსა».[111]

1.4. წაქეზების წაქეზება და დანაშაულის პროვოკაცია. როგორც აღნიშნავს თ.წერეთელი, სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ როგორ უნდა იქნეს განხილული წაქეზება წაქეზებისაკენ, ე.ი. ისეთი შემთხვევა, როდესაც ვინმე აქეზებს სხვას იმისაკენ, რათა ამ უკანასკნელმა დაიყოლიოს მესამე პირი დანაშაულის ჩასადენად. გაბატონებული შეხედულების თანახმად ასეთი პირი უნდა დაისაჯოს როგორც წამქეზებელი.

ასეთ შემთხვევას, როგორც შემდგომ მიუთითებს ავტორი, ადგილი ჰქონდა შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკაში. 1942 წელს

---

110 იხ: თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. "მერიდიანი". 2008, გვ. 237

111 იხ. იქვე, გვ. 218

გერმანული ანტისემიტიზმის ზეგავლენით პასტორმა ლუგრინმა წააქეზა შვეიცარიელი გლეხი იში, დაეყოლიებინა თავისი თანამოაზრენი ებრაელი ბლოხის მოსაკლავად. სასამართლოში საქმის განხილვის დროს ლუგრინი თავს იმით იმართლებდა, რომ იგი იყო მხოლოდ წამქეზებლის წამქეზებელი და ამიტომ კანონით არ უნდა დაისაჯოს. შვეიცარიის საკავშირო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სცნო, რომ ასეთი «შუალობითი წაქეზება», ე.ი. მეორე ხარისხის წაქეზება აგრეთვე უნდა დაისაჯოს, ვინაიდან იგი წარმოადგენს ძირითადი დანაშაულებრივი ქმედობის თავდაპირველ მიზეზს. იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ არის მითითებული, რომ წაქეზების წაქეზება ისჯება როგორც დანაშაულის წაქეზება ($61, ნაწ. 2)[112].

თ. წერეთლის მოსაზრება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან «შუალობითი წაქეზების" დასაბუთებისას მან ყურადღება მიაქცია თავდაპირველ მიზეზს. მართლაც, ეს მიზეზი ანუ უფრო ზუსტად - თავდაპირველი მიზანი განაპირობებს წაქეზების ბუნებას. დანაშაულის პროვოკაციის გაგებისათვის ეს დებულება მეტად მნიშვნელოვანია. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შესაძლებელია «შუალობითი წაქეზება", რომელიც მიზნად ისახავს პირის დაკავებას და ამიტომ ვლინდება სულ სხვა სახით — როგორც დანაშაულის პროვოკაცია.

ამას მოწმობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ვანიანის ცნობილ საქმეზე. ჯერ კიდევ 1999 წელს გრიგორ ვანიანი გაასამართლა მოსკოვის კოპტევსკის სასამართლომ და მას შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ნარკოტიკულ საშუალებათა «განსაკუთრებით დიდი» რაოდენობით შეძენის და შენახვისათვის გასაღების მიზნით. პროცესზე ძირითად მოწმეებად გამოვიდნენ მილიციის თანამშრომლები. როგორც გაირკვა, მათ ეგრეთ წოდებული საკონტროლო შესყიდვის ჩატარების მიზნით დაიყოლიეს განსასჯელის ნაცნობი, რომ მას ეთხოვა ვანიანისათვის, რომ მისთვის ჰეროინი ეყიდა. მამაკაცი დათანხმდა და როცა ქალს ნარკოტიკი გადასცა და მას ფული გამოართვა, იქვე დააკავეს.

---

112 იხ.: თ. წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები. ტ. II. თბ. 2007, გვ. 172

თავისი განაჩენი ვანიანმა მოსკოვის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ უშედეგოდ. მაგრამ 2000 წელს უმაღლესი სასამართლოს ჩარევის შემდეგ მოსკოვის საქალაქო სასამართლომ საქმეს გადახედა და ვანიანის ქმედებათა კვალიფიკაცია უფრო რბილი მუხლით შეცვალა, აღიარა, რომ მსჯავრდებულმა შეიძინა და თავისთან ინახავდა ნარკოტიკს მისი შემდგომი გასაღების მიზნის გარეშე. ვანიანს სასჯელი შეუმცირეს ორ წლამდე და გაათავისუფლეს ამნისტიის საფუძველზე.

უმაღლესი სასამართლოს მონაწილეობა ასეთ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საქმეში შემთხვევითი არ იყო და ეს მოხდა უკვე მსჯავრდებულის საჩივრის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, რომელმაც თავის მხრივ მოითხოვა რუსეთის ხელისუფლებისგან შესაბამისი განმარტება. მაგრამ ვანიანის განთავისუფლების ფაქტმა სტრასბურგის სასამართლო არ დააკმაყოფილა და მაინც აღიარა დარღვეულად რუსეთის მოქალაქის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (ევროპის კონვენციის «ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ» მე-6 მუხლი).

როგორც სასამართლოს დადგენილებაში იყო აღნიშნული, განხილვის გამოძიების ეტაპზე ან როდესაც ეს გამართლებულია დანაშაულის ხასიათით, კონვენცია არ ეწინააღმდეგება ისეთი წყაროების მიმართ ნდობის გამოვლენას, როგორიცაა ანონიმური ინფორმატორები. მაგრამ სხვა საქმეა მათი ჩვენებების შემდგომი გამოყენება სასამართლოში გამამტყუნებელი განაჩენის დასასაბუთებლად. საიდუმლო აგენტების გამოყენება უნდა აიკრძალოს და მათგან დაცვის ზომები მიღებული იქნას იმ საქმეებშიც კი, რომლებიც ეხება ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას. სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებრივ ინტერესებს არ შეუძლია გაამართლოს იმ მტკიცებულებების გამოყენება, რომლებიც მიღებულია პოლიციის მხრიდან პროვოკაციის შედეგად. ასეთ ჩარევას და მის გამოყენებას

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას შეუძლია გამოუსწორებლად გამოუთხაროს ძირი სასამართლოს სამართლიანობას[113].

სასამართლოს დადგენილება გათვალისწინებულია "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" ფედერალური კანონის ახალ რედაქციაში, რომელიც კრძალავს "საკონტროლო შესყიდვებს" ბრალეულობის დასაშვები მტკიცებულებების სახით", რამეთუ ეს შესყიდვები წარმოქმნიან დანაშაულის პროვოკაციას[114].

თავის დროზე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო საქმეებში პორტუგალიის, შვეიცარიის და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ მიუთითებდა პოლიციის მხრიდან სასამართლოში მტკიცებულებების სახით პროვოკაციის გამოყენების დაუშვებლობაზე.

როგორც ჩანს, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ნარკომანი ქალის წაქეზება, რომელმაც თავის მხრივ განახორციელა ვანიანის წაქეზება, შეაფასა როგორც დანაშაულის პროვოკაცია.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ «შუალობითი წაქეზების" ორ ვარიანტს. პირველი ვარიანტი დაკავშირებულია თ.წერეთლის მიერ მოყვანილ მაგალითთან, როდესაც პირი ისახავს დანაშაულის ჩადენის მიზანს. აქ არაა დანაშაულის პროვოკაცია, რადგან წამქეზებელი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას და ამისათვის აქეზებს მეორე პირს. მეორე ვარიანტის დროს კი ადგილი აქვს დანაშაულის პროვოკაციას, რადგან პოლიციელი მიზნად ისახავს პირის დაკავებას და ამისთვის აქეზებს სხვა პირს.

1.5. წაქეზება დახმარებისაკენ და დანაშაულის პროვოკაცია. შემდეგი საკითხი, რომელზეც ამახვილებს ყურადღებას თ. წერეთელი, არის დახმარებისაკენ წაქეზება. მისი აზრით, დახმარებისაკენ წაქეზება ისჯება როგორც დანაშაულის დახმარება. ამ

---

113 Решение Европейского суда по правам человека от 13.05.2004"По вопросу приемлемости жалобы N 53203/99 "Григорий Аркадьевич Ваньбин против Российской Федерации": http://www.lawmix.ru/abro.php 470; Е. Буторина. Это провокация! Правоохранительным органам запретили подстрекать людей к совершению преступлений опубликована 20.08.07 - http://www.rg.ru/2007/08/01/extremizm-izmenenia-dok.html

114 Е. Буторина. Это провокация! Правоохранительным органам запретили подстрекать людей к совершению преступлений опубликована 20.08.07 - http://www.rg.ru/2007/08/01/extremizm-izmenenia-dok.html

მომენტზე სპეციალურად მიუთითებს რუმინეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის 121-ე მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც განზრახ შეაგულიანებს სხვას დანაშაულის დასახმარებელი მოქმედების ჩასადენად, თუ ეს მოქმედება მართლაც ჩადენილი იქნა.

გავაგრძელოდ თ.წერეთლის აზრი და შეევეცადოთ გავარკვიოთ წაქეზება დახმარებისაკენ და დანაშაულის პროვოკაციის ცნებების ურთიერთობის საკითხი. დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც განზრახ შეაგულიანებს სხვას დანაშაულის პროვოკაციის დასახმარებელი მოქმედების ჩასადენად[115].

მაგალითად ა-მ წააქეზა (შეაგულიანა) ბ., რათა მან დ-ს დასაკავებლად გაუწიოს დახმარება პოლიციელებს. ამ მოდელის საილუსტრაციოდ შეიძლება აღვწეროთ არაერთი შემთხვევა. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთში ა. ჟუკოვას დაკავების გახმაურებელი საქმე.

ვინმე ფ. პოლიაკოვს მილიციის თანამშრომლებმა ჩაუდეს მარიხუანა და იმისათვის, რომ თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისაგან, მან იკისრა პასუხისმგებლობა შეექმნა სიტუაცია, რომლის დროსაც ის გადასცემდა ა. ჟუკოვას დანომრილ ფულს. ეს ოპერაცია დაგეგმილი იყო მილიციის მიერ იმისათვის, რომ სამაგიერო გადაეხადა ჟუკოვას დედისათვის, რომელიც ცნობილი სამართალდამცავი იყო და ხელმძღვანელობდა მოძრაობას „ადამიანის უფლებებისათვის" ადგილობრივ ორგანიზაციას. ამ შურისძიების საფუძველი იყო მისი პრესკონფერენცია, სადაც მან ილაპარაკა ბაშკირიის ერთერთ კოლონიაში პატიმრების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე, სადაც სუიციდის (თვითმკვლელობის) მასობრივ მცდელობებს ჰქონდა ადგილი. ამასთან, მას უკვე ჯიბეში ედო "მცენარეული ნივთიერების" ორი პაკეტი, რომლებიც თითქოს მას ჟუკოვამ მიჰყიდა. 2006 წლის 14 ოქტომბერს ქალაქ უფის ოქტომბრის რაიონულმა სასამართლომ გასცა ალინა ჟუკოვას დაპატიმრების სანქცია. მიუხედავად პროტესტების ტალღისა და უფლებათა დამცველების მიმართვებისა, ბაშკირიის უმაღლესმა სასამართლომ (მეორე ინსტანციამ) ეს დაპატიმრება დაამტკიცა. ამის შემდეგ ქალაქ ბლაგოვეშჩენსკში დააპატიმრეს ხელისუფლებისათვის არასასურველი 350-დან 1000-მდე მოქალაქე.

115 იხ.: თ. წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები. ტ. II. თბ. 2007, გვ. 172

2007 წლის ივლისში უფის საქალაქო სასამართლომ ალინას მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ უგულ-ვებელყო ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პოზი-ცია, რომელმაც არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნა პროვოკაციაზე აგებული ბრალდების დაუშვებლობა, რომლის დროსაც ირღვევა ევროპის კონცეფციის მე-6 მუხლი (Vanyan v Russia; Khudobin v. Russia; Teixeira de Castro v. Portugalia).

მოგვიანებით, ფედორ პოლიაკოვმა მოინანია თავისი მონა-წილეობა პროვოკაციაში, მან განცხადებით მიმართა რუსეთის გენერალურ პროკურორს და პირადად მივიდა სასამართლოში ჩვენების მისაცემად. ამ გახმაურებული საქმიდან ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა წააქეზეს პოლიაკოვი იმისათ-ვის, რომ მას დახმარება გაეწია მილიციისათვის ჟუკოვას დასაპა-ტიმრებლად. ამ საქმეში დაინტერესებული თანამდებობის პირები წამქეზებლებად გამოდიან. პოლიაკოვი კი — იმ პირის როლში, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს მილიციის პროვოკა-ციას, ხოლო ჟუკოვა, თავის მხრივ, არის მილიციის მიერ მომზ-ადებული პროვოკაციის მსხვერპლი.

მაგრამ შესაძლებელია შემთხვევები, როცა მილიციისადმი დახმარებაზე წაქეზება პროვოკაციის ჩასადენად არ ხორციელდე-ბა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციის მც-დელობასთან. მაგალითად, პიჩუგინისაგან მოითხოვდნენ ჩვენებას მიხეილ ხოდორკოვსკის წინააღმდეგ. ალბათ, მიაჩნდათ, რომ ის, როგორც სუკის ვეტერანი, დაეხმარებოდა ნავთობის მაგნატის დადანაშაულებაში. მაგრამ პიჩუგინმა ჩვენების მიცემაზე უარი თქვა. ამის შემდეგ მსჯავრდებული სისხლის სამართლის რეციდი-ვისტ დამნაშავეების ჩვენებებზე დაყრდნობით პიჩუგინს 24 წლით თავისულების აღკვეთა მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით თითქოს მის მიერ ნევზლინის ბრძანებით ჩა-დენილი მკვლელობისათვის. მაგრამ პროკურატურა ამ განაჩე-ნით არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა მისი, როგორც მეტისმე-ტად მსუბუქი სასჯელის, გადახედვა. ამ ფაქტში ჩანს სახელმწი-ფოს მხარდაჭერის ტენდენცია მის ბრძოლაში მსხვილი ბიზნესის წინააღმდეგ. შედეგად 2007 წლის ივლისში რუსეთის უზენაესმა სასამართლომ გადახედა განაჩენს და პიჩუგინს სამუდამო პატიმ-რობა მიუსაჯა.

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც ეხება დანაშაულის წაქეზების დახმარებას. გაერთიანება "სხვა რუსეთი"-ს მონაწილეთა დაშინების მიზნით 2007 წლის 30 სექტემბერს მოსკოვში მილიციის თანამშრომლებმა გაერთიანების მდივანს ლ. ხარლამოვას ბორკილები დაადეს და მას ჯიბეში პაკეტი ჩაუდეს, რომელშიც ნარკოტიკი აღმოჩნდა. მერე ლ. ხარლამოვი გადაიყვანეს მილიციის სამმართველოში სადაც მას ჩაუტარდა ჩხრეკა, რის შედეგად "ეჭვმიტანილის" ჯიბეში იყო ნაპოვნი ნარკოტიკი. მისგან აიღეს ფრჩხილების ჩამონაჭრები და თითებიდან ანაფხეკები. ამას აკეთებდა პიროვნება, რომელიც ექსპერტი არ იყო. ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც მას თითქოს ჰეროინი აღმოუჩინა, დათარიღებულია იგივე რიცხვით — 2007 წლის 30 სექტემბრით, ე. ი. ექსპერტიზისათვის, ოფიციალური აქტის შედგენის ჩათვლით საკმარისი აღმოჩნდა არაუმეტეს 5 წუთისა.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ მრავალი მაგალითი, მაგრამ ესეც საკმარისია შესაბამისი დასკვნის გასაკეთებლად. როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის პროვოკაცია საკმაოდ რთულ ხასიათს ატარებს. პიროვნებისათვის თავისუფლების აღკვეთის მიზნით ხორციელდება მოსამზადებელ ქმედებათა მთელი სერია. კერძოდ, ხდება ჩვეულებრივი მოქალაქეების (ან თვით მილიციის თანამშრომლების) პროვოცირება, რომ მათ მილიციას დახმარება გაუწიონ პიროვნების დაკავებაში. მსხვერპლმა შეიძლება ამის შესახებ არაფერი იცოდეს. მაგრამ პირები, რომლებიც "დაკავების" მონაწილეები აღმოჩნდნენ, არიან პროვოკატორები იმ პირთა მიმართ, ვისაც აიძულებენ დახმარება აღმოუჩინონ უკანონო დაკავებაში[116].

1.6. დანაშაულის პროვოკაციის დროს ხდება პირის ცდუნება, გამოწვევა და ა.შ. პროვოკაციის აღკვეთის პრაქტიკაში და სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია ცდუნების მრავალი შემთხვევა. მაგალითად, მოსაცდელ დარბაზში ერთ-ერთ მგზავრს დაუდეს წინ ჩემოდანი და თხოვეს თავი მოემძინარებინა. ამ გზით დაიჭირეს ქურდი. ნარკომანს მიაწვდინეს ინფორმაცია, რომ აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლის პირველ სართულზე ბინაში ინახება ნარკოტიკი, რომელიც დილერს გასაყიდათ აქვს მომზ-

116 იხ.: Политика над правосудием: Нарушения прав человека и основных свобод в Российской Федерации - http://www.google.ge/search

ადებული. ფანჯრიდან ბინაში შელწევის დროს პირი დააკავეს და ა.შ. აღნიშნული მაგალითების კვალიფიკაცია არ იწვევს დავას და ამიტომ ჩვენ არ გავჩერდებით ამ შემთხვევების განხილვაზე. საკითხი, რაზეც გვინდა შევაჩეროთ ყურადღება, ეხება დელიქტების კვალიფიკაციას, რომლებიც ცნობილი არიან როგორც დელიქტი sui generis (თვითმყოფადი, განუმეორებელი).

ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნავს თ. წერეთელი, წაქეზება წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელიც ისჯება როგორც დელიქტი sui generis. ასეთი ხასიათის დანაშაულს ითვალისწინებს, კერძოდ, 1960 წლის სსკ-ს 236-ე მუხლი ("არასრულწლოვანის წაქეზება რაიმე დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამ მოქმედებისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, აგრეთვე არასრულწლოვანის დაყოლიება პროსტიტუციისათვის, მათხოვრობისათვის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის"). ავტორის აზრით, აღნიშნულ მუხლში მეტად თანმიმდევრულად არის მითითებული, რომ იგი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ დანაშაულისათვის, რომელშიც ჩაბმულია არასრულწლოვანი, ნაკლები სასჯელია გათვალისწინებული, ვიდრე 236-ე მუხლში (თავისუფლების აღკვეთა ან გადასახლება 5 წლამდე). თუ არასრულწლოვანი ჩაბმულია უფრო მძიმე დანაშაულში, რომლისთვისაც კანონი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, წამქეზებელი პასუხს აგებს როგორც ამ უფრო მძიმე დანაშაულის თანამონაწილე[117].

თ. ებრალიძეს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ადამიანი ერთ საქმეში ერთდროულად ბრალდებულისა და დაზარალებულის როლში გვევლინება. მაგალითად, საქართველოს 1999 წლის სსკ-ის 171-ე მუხლით ისჯება არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში. განსახილველი დანაშაულის ობიექტია არასრულწლოვანის პიროვნება, მისი ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება. ეს მუხლი მოიცავს არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმასაც, რადგან დანაშაული ანტისაზოგადოებრივი ქმედებაა. თუ პირმა 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ჩააბა დანაშაულებრივ საქმიანობაში, ეს უკანასკნელი ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს სისხლის

117 იხ.: თ. წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები. ტ. II. თბ. 2007, გვ.173

სამართლის წესით და იმავდროულად სსკ-ს 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიმართ დაზარალებულის როლშიც გვევლინება[118].

როგორც ვხედავთ, პირველი მიდგომის ფარგლებში საკითხი წყდება თანამონაწილეობის ინსტიტუტის საფუძველზე, ხოლო მეორე მიდგომის ფარგლებში კი — ქმედების ერთობლიობის საფუძველზე.

აღნიშნულ მოსაზრებებთან შედარებით ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული აზრი. როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, ზოგჯერ წაქეზება მიმართულია დანაშაულის ამსრულებლის წინააღმდეგ: წამქეზებელი ატყუებს მას და დანაშაულს ჩაადენინებს. ამ დროს წაქეზება სრულიად დამოუკიდებელი შინაარსის არის, იმ სიკეთეს, რომელსაც წამქეზებელი (ხან დამსმარეც) აზიანებს, სრულიად გამოკვეთილი სახე აქვს. ეს არის მოქალაქის გარანტია, რომ მას არ მოატყუებენ და დანაშაულს არ ჩაადენინებენ, ხელს არ შეუშლიან მოზარდის ნორმალურ სოციალურ განვითარებას, ან საფრთეხეს არ შეუქმნიან სრულწლოვანის ჯანმრთელობას ნარკოტიკების ხმარებაზე დაყოლიებით, რაც საბოლოო ანგარიშით ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას, და სხვ. როგორც ცნობილია, 1960 წლის კოდექსით ისჯება მხოლოდ სამი ასეთი შემთხვევა: არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად (სსკ-ს 236-ე მუხლი), არასრულწლოვანის დაყოლიება ლოთობაზე (სსკ-ს 236-ე მუხლი) და სრულწლოვანი პირის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება (სსკ-ს 253-ე მუხლი). ამიტომ, ო. გამყრელიძის აზრით, საავსებით მიზანშეწონილი იქნება, თუ კანონმდებლობა გაითვალისწინებს წამქეზებლის გაძლიერებულ პასუხისმგებლობის ახალ შემადგენლობას სხვა ანალოგიური შემთხვევისათვისაც[119].

ამრიგად დანაშაულის ახალი შემადგენლობა დანაშაულის ამსრულებლის წინააღმდეგ მიმართული წაქეზების შემადგენლობის სახით (ანუ პროვოკაციის შემადგენლობის სახით) ოცი წლის უკან

---

118 იხ: თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. "მერიდიანი". 2008, გვ. 233

119 იხ: ო. გამყრელიძე. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი — Правовые исследования.Тб. 1977. გვ. 126

არ არსებობდა და ამიტომ სავსებით გასაგებია ო. გამყრელიძის მოსაზრება. უფრო მეტიც, გამოთქმულ მოსაზრებაში ჩანს სულ ახლებური მიდგომა sui generis დელიქტის მიმართ. თავის შენიშვნაში ო. გამყრელიძე მიანიშნებს, რომ არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად, სრულწლოვანი პირის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება და სხვა ამგვარი შემადგენლობები წარმოადგენენ დანაშაულის ახალ შემადგენლობას. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება სსკ-ს 171-ე მუხლის საფუძველზე, თუ დამნაშავე მიზნად ისახავდა არასრულწლოვანის ჩაბმას ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში. მაგრამ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება 145-ე მუხლის საფუძველზე, თუ დამნაშავე მიზნად ისახავდა არასრულწლოვანის ჩაბმას ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში მისი სისხლისსმართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ორივე შემადგენლობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რადგან ადგილი აქვს სხვადასხვა სახის უმართლობას. თანამონაწილეობის ინსტიტუტის მოშველიებით პროვოკატორს ვერ დავაკისრებთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში არასრულწლოვანის ჩაბმის გამო, ე.ი. სხვა უმართლობის გამო. როგორც იყო აღნიშნული, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის პროვოკაციამ გამოიწვია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე შედეგი, ძირითადი ყურადღება უნდა იყოს გადატანილი პროვოკატორის განზრახვაზე: პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის განხორციელების გარდაუვალობას.

§ 2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერება

1.წინასწარ განვიხილოთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერების პრობლემა საზღვარგარეთის ქვეყნებში. როგორც ცნობილია, დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა განსა-

კუთრებით მწვავედ დგას საერთაშორისო აქტებში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ცალკეულ კანონებში, სადაც რეგლამენტირებულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერების საკითხები. ცენტრალურს წარმოადგენს საკითხი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სამართლებრივი შეფასების შესახებ. ეს საკითხი უბრალო არ არის.

საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაულის პროვოკაცია არის დანაშაული. ამ პოზიციამ მკაფიო დადასტურება ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგ ნორმატიულ აქტებში. დამნაშავეობის თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის კომიტეტის რეკომენდაციით, ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1990 წლის 23 აგვისტოს 1990/23 რეზოლუციის შესაბამისად, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და დამნაშავეების მოპყრობის გაეროს მე-8 კონგრესს (1990 წლის 27 აგვისტო — 7 სექტემბერი, ქ. ჰავანა) განსახილველად გადასცა გადაწყვეტილების პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის და სისხლის სამართლის სფეროში ვითარების ცვლილების გათვალისწინებით, რომელსაც რიგი რეკომენდაციები ჰქონდა დართული. ჩვენი გამოკვლევის კონტექსტში მოცემულ პროექტში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს მე-8 რეკომენდაცია, რომლის მეხუთე პუნქტში "კეთილსინდისიერების შემოწმება" ნათქვამია: კიდევ უფრო მეტ შენიშვნებს იწვევს კეთილსინდისიერების შემოწმება მაპროვოცირებელი სიტუაციების ხელოვნურად შექმნის გზით. მაგალითად, ბოროტმოქმედებასთან მებრძოლ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ თანამშრომელს ნაქირავები ავტომანქანის საჭესთან შეუძლია მოახდინოს მოძრაობის დარღვევის იმიტაცია იმ მიზნით, რომ იგი პოლიციის პატრულმა გააჩეროს, მერე კი შესთავაზოს მას ქრთამი, რომ თრობაზე ტესტი არ გაიაროს. ან კიდევ თავი წარმოადგინოს უცხოელ ინვესტორად და ქრთამი შესთავაზოს ინვესტიციისათვის მომგებიანი პირობების სანაცვლოდ.

ეს მეთოდი ძლიერი კრიტიკის საგანია. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ნორმატიულ აქტებში დანაშაულის პროვოკაციის შეზღუდვები განსაზღვრული არაა და გაუგებარია, როგორ უნდა განხორციელდეს მათი შესრულების კონტროლი[120].

---

120 **Руководство по практическим мерам борьбы с коррупцией. (Подготовительно под эгидой ООН по рекомендации Комитета по предупреждению преступлению 1990/23 от 23 мая 1990г.)**

გაეროს დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევების მოპყრობის მერვე კონგრესმა, რომელიც ჰავანაში გაიმართა 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე, შეიმუშავა კორუფციასთან ბრძოლის პრაქტიკული ზომები. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო დანაშაულის პროვოკაციის და მასთან ბრძოლის გაგების პრობლემას. გაეროს მერვე კონგრესის კორუფციასთან ბრძოლის პრაქტიკული ზომების გადაწყვეტილების მესამე ნაწილში "კორუმპირებულ მოსამსახურეთა გამოვლენის, დევნის და მსჯავრის დადების პროცედურები", თავში "საქმისადმი ერთგულების შემოწმება" აღნიშნულია, რომ პროვოკაციული ხერხები იმსახურებს ფრიად სერიოზულ კრიტიკას. ისინი წარმოადგენს საკამათო და მიუღებლად ცინიკური თვალსაზრისის გამოხატულებას იმაზე, თუ როგორ უნდა იმუშაონ სამართალდამცავმა ორგანოებმა, რასაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს საზოგადოების მხრიდან არსებული კანონებისადმი პატივისცემას: "მისასმელი იხვი" შეიძლება განვიხილოთ, როგორც დანაშაულის სიმულირების მოწყობის მცდელობა იმ შემთხვევებში, როცა ნამდვილი დანაშაულის დამტკიცება შეუძლებელია; თუმცა შეიძლება ასევე ვამტკიცოთ, რომ ადამიანის ბუნების სისუსტის გამო, სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ მონიშნონ, ხაფანგში შეიტყუონ და გაანადგურონ თითქმის ნებისმიერი თავისი პოლიტიკური, პირადი ან იდეოლოგიური ოპონენტი.

თეორიულ მსჯელობასთან ერთად, პრაქტიკული თვალსაზრისით, არგუმენტი "მისასმელი იხვის" და საქმის "ერთგულების შემოწმების" გამოყენების სასარგებლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ხერხები ფრიად ეფექტურია და ისინი ზოგჯერ კორუფციის ისეთ სიღრმეებსა და სიმაღლეებს ავლენენ, რის შესახებაც აქამდე ცნობილი არ იყო. ჩვეულებრივ, ასეთი ტაქტიკის დამცველები აღიარებენ, რომ საჭიროა დაწესდეს შეზღუდვები გამოყენებული ხერხებისა და სატყუარების სახეობებზე. თუმცა ნაკლები თანხმობაა იმაზე, თუ როგორ უნდა დაწესდეს ეს შეზღუდვები პროცედურული თვალსაზრისით, ან კიდევ როგორ უნდა განვსაზღვროთ ისინი. ფართოდაა აღიარებული, რომ ასეთი ტაქტიკა მკაფიო დირექტივებით უნდა იყოს რეგლამენტირებული[121].

---

121 VIII Конгресс ООН по предупреждению преступлений и обращению преступлений и обращению с правонарушителями Гавана Куба 27 августа—7сентября 1990 г М , 1990

მოადგენს დანაშაულის პროვოკაციას. დანაშაულის პროვოკაციის საქმეთა განხილვისას მთავარი კითხვაა — ნამდვილად დაარწმუნა თუ არა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელმა განსასჯელი ჩაედინა დანაშაული, რომელიც მანამდე ამისათვის მზად არ იყო"[122].

აშშ-ს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონები განსაზღვრავენ სპეცსამსახურების საქმიანობას ოპერატიული ექსპერიმენტის ჩასატარებლად და ათავისუფლებენ ოპერატიული აპარატების თანამშრომლებს პასუხისმგებლობისაგან ზემოთ დასახელებული ქმედებებისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს დასაშვებია, რადგანაც არსებობს იმ პირთა მოქმედების მკაცრი ზედამხედველობა, რომლებსაც პროვოკაციის განხორციელების უფლება აქვთ. რუსი მეცნიერების აზრით ამერიკული მოდელის ბრმა გადმოტანა ევროპულ კანონმდებლობაში შეუძლებელია. საჭიროა სამართლებრივი რეალობის გათავისება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის გარანტიათა საიმედო სისტემის არსებობა და ა.შ.[123] "

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და სამართალდამცავ ორგანოებთან კონფიდენციალურ საფუძველზე დაკავშირებული პირები აწყობენ დანაშაულის პროვოკაციას, როცა დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებათა შეგროვების მცდელობისას. ისინი არწმუნებენ, უბიძგებენ ან აგულიანებენ დანაშაულის ჩასადენად იმ მეთოდების საშუალებით, რომლებიც იმის რისკს ქმნიან, რომ ასეთი დანაშაული ჩადენილი იქნება იმ პირის მიერ, რომელიც არ იყო ამისათვის მზად. მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის განზრახვა წარმოშობილია სამართალდამცავი ორგანოების და არა ბრალდებულის მოხერხებული მოქმედებით.

სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში გარკვეულწილად დაშვებულია დანაშაულის პროვოკაციაში მონაწილეობა, თუ ამით ხდება უფრო მძიმე დანაშაულის მხილება.

---

122 *Крейг Айско.* **Судебное преследование за коррупцию в государственных учреждениях в Соединенных Штатах Америки - Правоохранительная деятельность в США. М., 1998. С. 210; Провокация преступления с целью его изобличения и фабрикации подсудности - Правоохранительная деятельность в США. М, 1998. С. 291—292**

123 **Правовая регламентация полицейской "ловушки" (провокации) - Правоохранительная деятельность в США М., 1998. С. 309.**

საინტერესოა ამერიკის სპეცსამსახურების და მოსამართლეების აზრი პროვოკაციულ ქმედებებზე, სახელდობრ: ქრთამის მიღების პროვოკაციის მიმართ. მათი აზრით, დანაშაულის პროვოკაცია არ იქნება მაშინ, როდესაც საიდუმლო აგენტი განსაკუთრებული მოპყრობის სანაცვლოდ მოხელეს ფულს სთავაზობს და მოხელე ამას არ ეწინააღმდეგება. მოხელეს ქმედება მოწმობს მის მიდრეკილებაზე აიღოს ქრთამი[124].

იმისათვის, რომ სასამართლოზე დამტკიცდეს "ხაფანგის" გამოყენების ფაქტი, ბრალდებულმა უნდა მოიყვანის შემდეგ გარემოებათა სარწმუნო მტკიცებულებები: 1) დანაშაულებრივი ჩანაფიქრი ინიცირებული იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ; 2) ბრალდებული არ იყო წინასწარგანწყობილი დანაშაულის ჩასადენად. პროვოკაციის მაგალითი შეიძლება იყოს 1922 წლის ჯეკობსონის საქმე.

ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებულ საქმეში სამართალდამცავი ორგანოების აგენტებმა ბრალდებულის გვარი წიგნების მაღაზიის მისამართების სიაში იპოვეს და მერე მას ხუთი ფიქტიური ორგანიზაციისა და "მიწერ-მოწერის მეგობრებისაგან" წერილები გაუგზავნეს იმისათვის, რომ შეემოწმებინათ მისი მზაობა კანონის დარღვევაზე. 26 თვის განმავლობაში ბრალდებული სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გაგზავნილი წერილებისა და მიმართვების სამიზნე იყო. ასეთი ქმედებები დაკავშირებული იყო მიწერ-მოწერის თავისუფლების, ცენზურის დაუშვებლობის და სექსუალურ სფეროში თავისუფალი არჩევნის საკითხებთან. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულს არცთუ უბრალოდ ეძლეოდა საშუალება შეეკვეთა პორნოგრაფია (რაც მიუთითებდა მის წინასწარგანწყობაზე შეეძინა ასეთი მასალები). სამართალდამცავმა ორგანოებმა გაულვიძეს მას ინტერესი ისეთი მასალების მიმართ, რომლებიც კანონით აკრძალულია, მასზე არსებითი ზეწოლა მოახდინეს, რომ მას შეეძინა ასეთი მასალები. ამგვარი გამოძიებისას სამართალდამცავმა ორგანოებმა მოახდინეს ჯეკობსონის პროვოცირება, უბიძგეს უდანაშაულო ადამიანს დანაშაულის ჩადენის განზრახვისა და მიდრეკილების ჩამოყალიბებისაკენ[125].

---

124 იქვე, გვ. 309

125 **Правовая регламентация полицейской "ловушки" (провокации) - Правоохранительная деятельность в США М., 1998. С. 309.**

სამართალდამცავი ორგანოების მსგავს საქმიანობას არაფერი აქვს საერთო დანაშაულთა გამოვლენასა და გამოძიებასთან. სახეზეა დანაშაულის ჩადენის აშკარად გამოკვეთილი წაქეზება. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ასეთი მოქმედებები სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, აშშ-ში შეიმუშავეს წესები (ინსტრუქცია), რომლების დაცვაც სავალდებულოა სპეცსამსახურების ყველა თანაშრომლისათვის.

აშშ-ს იუსტიციის სამინისტრომ მიიღო საიდუმლო ოპერაციების ჩატარების ინსტრუქციები, რომლებიც ძალაში შევიდა 1980 წლის 31 დეკემბერს. ეს ინსტრუქციები შეიცავს წესებს, რომელთა დარღვევა დაუშვებელია, ხოლო თუ მოხდება მათი დარღვევა, სპეცსამსახურების მოქმედება შეფასდება, როგორც "ხაფანგი" (პროვოკაცია). ამ ინსტრუქციების შესაბამისად იქმნება საიდუმლო ოპერაციების შემმოწმებელი კომიტეტი, რომელიც ამოწმებს ოპერაციების დაგეგმვის ხარისხიანობას და მათში 'ხაფანგების" არარსებობას.

"ხაფანგის" რისკის მინიმიზირებისათვის საჭიროა შემდეგი წესების დაცვა: ოპერაციის ჩატარებისას მისი ხელმძღვანელები არა მარტო დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ბრალდება საქმეზე გამოიწვევს მსაჯულების მაქსიმალურად დადებით რეაქციას, არამედ უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ისეთი შთაბეჭდილების მინიმიზაციისათვის, რომ სახელმწიფომ ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა; დასამუშავებლად ისეთი ობიექტი უნდა შეირჩეს, რომელიც წინასწარგანწყობილია დანაშაულის ჩასადენად, ე. ი. დამუშავების ობიექტის ქცევა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესაძლებლობის პროექციაში უნდა იყოს რეალისტური. წინაალმდეგ შემთხვევაში ძალიან გაძნელებულია დანაშაულის ჩასადენად ობიექტის წინასწარგანწყობის დამტკიცება; იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ რაიმე დანაშაული სახელმწიფოს მისამართით იმასთან დაკავშირებით, რომ მან დასამუშავებელი პიროვნება "ხაფანგში" შეიტყუა, ობიექტისათვის დანაშაულის ჩასადენად მიცემული შესაძლებლობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი წარმოდგენილი უნდა იყოს ნათლად და არაორაზროვნად; ობიექტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თვითონ მიიღოს კრიტიკული გადაწყვეტილება, ჩაებას თუ არა დანაშაულებრივ საქმიანობაში.

წესების, სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად, ოპერატიული თანამშრომლის მონაწილეობა ნებისმიერ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში ვიწროვდება, ხოლო ზოგიერთი მოქმედება საერთოდ იკრძალება. ასე, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს უფლება არ აქვს მოახდინოს დანაშაულის ჩადენის რაიმე გეგმის ინიცირება ან წააქეზოს ვინმე მის შესასრულებლად. ამასთან ერთად, ამ ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ თანამშრომელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში, მაგრამ ეს საქმიანობა წინასწარ ოფიციალურად უნდა იყოს მოწონებული.

ჩვენი აზრით, ეს ორი, ზემოთ დასახელებული დებულება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ერთი მხრივ, პროვოკაციული ქმედებები აკრძალულია, მეორე მხრივ კი — პროვოკაციის მოწყობა შეიძლება, თუ შესაბამისი ნებართვა და პირდაპირი მითითება მიღებულია ზემდგომი უფროსისაგან. ეს წინააღმდეგობები, რა თქმა უნდა, აძნელებს სამართალდამცავი ორგანოების ბრძოლას დანაშაულებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ აშშ-ს მოქალაქეთა შორის.

შეიძლება მოვიყვანოთ გახმაურებული მაგალითები აშშ-ში დანაშაულის პროვოკაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკიდან. ლაპარაკია გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) პროვოკაციულ ოპერაციაზე, რომელმაც მიმართა ამერიკელი მუსულმანების შეტყუების პრაქტიკას, სთავაზობდა მათ დახმარება გაეწიათ 'ჯიჰადისტებისათვის'. "ობიექტებად" შეარჩიეს მედიცინის დოქტორი, პრესტიჟული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ თანხმობა განაცხადა ემკურნალა დაჭრილი 'ალაჰის ჯარისკაცებისათვის" საუდის არაბეთში., და ცნობილი მუსიკოსი, რომელსაც ბრალად ედებოდა ის, რომ დათანხმდა საბრძოლო ხელოვნება ესწავლებინა ჯიხადისტებისათვის.

"ვაშინგტონ ტაიმსის" (2005 წლის 1 ივნისი) ინფორმაციით, გფბ-ს სპეცოპერაცია დაიწყო 2003 წელს, ე. ი. ორი წელი გახდა საჭირო იმისათვის, რომ შეეთითხნათ საქმე ამ ამერიკელების წინააღმდეგ. ეს ოპერაცია, რა თქმა უნდა, დანაშაულის პროვოკაცია იყო. მაგრამ სასამართლოები უარს ამბობდნენ ამ საქმეების განხილვაზე, რადგანაც ითვლებოდა, რომ დანაშაულის ჩასადენად

საჭიროა განზრახვა. თუ ბრალდებულის განზრახვა პროვოცირებულია პოლიციის მიერ, რომელმაც გამოიყენა როგორც დაყოლიება, ისე მუქარა, ასეთი განზრახვა ბრალდებულის მხრიდან არ ითვლებოდა კრიმინალად.

რამდენიმე წლის წინათ გფბ-ს აგენტებმა, რომლებიც ნავთობის შეიხებად იყვნენ წარმოდგენილნი, მოაწყვეს პროვოკაცია აშშ-ს კონგრესის ქვედა პალატის წევრების წინააღმდეგ. აგენტები კონგრესმენებს, რომლებიც დათანხმდნენ წარმოედგინათ ყალბი შეიხების ინტერესები, ურიგებდნენ ბანკნოტების სქელ შეკვრებს. საბრალდებო ვერდიქტისათვის საკმარისი აღმოჩნდა გფბ-ს მიერ წარმოდგენილი ფირი, სადაც ნაჩვენები იყო თუ როგორ ივსებდნენ ფულით ჯიბეებს კონგრესმენები. ის ფაქტი, რომ გავლენიანი ჯგუფი აფინანსებს პოლიტიკურ კამპანიებს არჩევნებზე საკუთარი ინტერესების წარმოდგენის მიზნით, არ იქნა განმარტებული გამოჭერილი კონგრესმენების სასარგებლოდ. გავლენიანი ჯგუფის წევრებს მაინც დაეკისრათ პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში არავითარი ჯიხადისტები არ არსებობდა. სასჯელი მკაცრი იყო: 250 ათასი დოლარი ჯარიმა და 15 წელი ციხე[126].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის პროვოკაციის ნორმის არარსებობა გარკვეულად აძნელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერების საკითხის გაგებას. მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტის პრეროგატივა ეკუთვნის მოსამართლეს: მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება საკუთარი დასკვნების და არა სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა. მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმატორი ანუ აგენტი, რომელიც ჩანერგილია დანაშაულებრივ ჯგუფში, ასე თუ ისე შეიძლება ჩათრეული იქნას მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. იგი ვერ შეძლებს საჭირო ცნობების მოპოვებას, თუ არ არის დანაშაულებრივი გაერთიანების ინტეგრირებული ელემენტი, არ სარგებლობს სრული ნდობით ამ გარემოში, რომელიც ნეიტრალურ მეთვალყურეებს არ ითმენს.

---

126 Пол Крэг Робертс. "В погоне за арестами террористов ФБР стало применять провокации («Antiwar.com», США) - Desperate for Terror Arrests, FBI Turns to Entrapment. 01.02. 2007

დანაშაულებრივ განზრახვას ანდობენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ მათ მომზადებასა და რეალიზაციაში.

დასავლური პუბლიკაციების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ამ პრობლემის ორი ძირითადი ასპექტი. პირველი მათგანი ასახავს თანამშრომლობაში ჩაბმული დანაშაულებრივი გაერთიანების მონაწილის ადრე მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების (ან შემსუბუქების) აუცილებლობას. მეორე ეხება აგენტის მიერ ოპერატიული ორგანოს დავალებების შესრულებისას დამნაშავეთა უკანონო მოქმედებებში მისი შესაძლო მონაწილეობის ზღვრების და გარემოებათა საკანონმდებლო გზით განსაზღვრას.

სასჯელის შემსუბუქება ან მისგან განთავისუფლება არსებითი სტიმულია, რომელიც დამნაშავეს აგულიანებს ხელი შეუწყოს სამართალდამცავ ორგანოებს. აშშ-ში არსებობს სავსებით დასაბუთებული აზრი, რომ შესაბამისი კანონიერი აქტების და, კერძოდ, ბრალდების მოწმის (მაფიის მონანიებული წევრებიდან) გამოყენების გარეშე ორგანიზებული დანაშაულისათვის გადამწყვეტი დარტყმების მიყენება შეუძლებელი იქნებოდა. ეს გარემოებები ფართოდ გამოიყენება ოპერატიულ საქმიანობაში. ქმედითი მონანიების წამახალისებელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ისინი ურჩევენ შექმნან "რიგითი დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი დევნისაგან განთავისუფლების შესაძლებლობა იმ მოქმედებათა სანაცვლოდ, რომლებიც მიმართული იყო ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ლიდერების გამოაშკარავებისაკენ".

პრობლემის მეორე ასპექტი დამახასიათებელია მოქმედი ინფორმატორებისა და "საიდუმლო აგენტებისათვის". გფბ-ს ინსტრუქციების თანახმად, ფარულ თანამშრომელს აცნობებენ, რომ ბიუროსთან კავშირი მას არ დაიცავს კანონის დარღვევისათვის დაპატიმრების ან სასამართლო დევნისაგან, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ფედერალური ბიურო განსაზღვრავს, რომ მოცემული პირის მონაწილეობა საქმიანობაში, რომელიც სხვა შემთხვევებში დანაშაულად ჩაითვლებოდა, გამართლებულია. მაინც რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ფარული თანამშრომლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება საზოგადოებისათვის სასარგებლოდ? "აშშ-ს გფბ-ს საიდუმლო ოპერაციების დარგში

გენერალური პროკურორის მითითებების" თანახმად ოფიციალურ პირს არ შეუძლია მისცეს რეკომენდაცია ან მოიწონოს საიდუმლო თანამშრომლის ან ინფორმატორის მონაწილეობა უკანონო საქმიანობაში, ვიდრე ასეთი მონაწილეობა გამართლებული არაა შემდეგი ინტერესებით: ინფორმაციის ან მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, რომლებიც საჭიროა სასამართლო დევნის პრიორიტეტული მიზნებისათვის; იმ პირების დაფარვის დაყენება ან მხარდაჭერა, რომლებიც დაკავშირებული არიან გამოსაძიებელ დანაშაულებრივ საქმიანობასთან; სიკვდილის ან სერიოზული ჭრილობის მიღების თავიდან ასაცილებლად.

იმ საქმიანობაში მონაწილეობა, რომელიც, კანონის თანახმად, სერიოზულ დანაშაულად ითვლება (გარდა მოპარული და კონტრაბანდული საქონლის ყიდვა-გაყიდვისა), გფბ-ს ხელმძღვანელობისაგან წინასწარ სანქციონირდება. მოპარული და კონტრაბანდული საქონლის ყიდვა-გაყიდვაში და სხვა წვრილმან სამართალდარღვევებში მონაწილეობისათვის საკმარისია გფბ-ს ადგილობრივი განყოფილების უფროსის წერილობითი სანქცია.

თუ მოულოდნელად წარმოიქმნება გაუთვალისწინებელი სიტუაციები, რომლებიც მოითხოვენ აგენტის სერიოზულ დანაშაულში (ფელონიაში) მონაწილეობის აუცილებლობას, მან აუცილებლად უნდა მიმართოს კონსულტაციისათვის სპეციალურ აგენტს (გფბ-ს ტერიტორიული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს) და ამ უკანასკნელს შეუძლია მოახდინოს ასეთი მონაწილეობის სანქცირება. თუ კონსულტაცია შეუძლებელია და ამავე დროს სერიოზული საფრთხე ემუქრება ადამიანების სიცოცხლესა და უსაფრთხოებას (საკუთრების განადგურების ჩათვლით აფეთქების ან ცეცხლის წაკიდების მიზნით), აგენტს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობის შესახებ.

ასეთი მიდგომები ამერიკული სამართლებრივი ნორმებით გამართლებულია. აშშ-ს სისხლის სამართალი აგენტს შესაძლებლობას აძლევს რიგ სიტუაციებში საკუთარი თავი წარმოადგინოს თანამონაწილედ და არ შეეშინდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის. ამ მიზნებისათვის არსებობს ცრუ ან მოჩვენებითი თანამონაწილეობის ინსტიტუტი.

ცრუ თანამონაწილედ (Feignel Accoimplice) ითვლება ის, ვინც პოლიციის დახმარების მიზნით პოლიციის მითითებით ან საკუთარი ინიციატივით კრიმინალებს თავისთავს წარმოუდგენს როგორც დამნაშავეს. ამერიკის სისხლის სამართალი გამორიცხავს "ცრუ თანამონაწილის" პასუხისმგებლობას, რადგანაც მას არ აქვს დანაშაულის ჩადენის განზრახვა.

აგენტ-პროვოკატორის მოქმედება აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება იყოს მართლზომიერი ან მართლსაწინააღმდეგო. აგენტ-პროვოკატორის მოქმედება არაა მართლზომიერი, თუ იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით იყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად. მისი მოქმედება განიხილება როგორც "ხაფანგის დაგება" და ითვლება დანაშაულად. მაგრამ, როგორც აღინიშნება, ამ ფაქტის მტკიცება დაცვის მხარეს ხშირად უჭირს, აშშ-ს კანონმდებლობაში არ არსებობს მკაფიო ზღვარი დანაშაულის პროვოკაციასა და აგენტის მართლზომიერ მოქმედებას შორის. მტკიცებას, რომ ადგილი ჰქონდა არამართლზომიერ მოქმედებას, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სამართალგამომყენებელი ორგანოს თანამშრომელმა ან ინფორმატორმა "ზეწოლა" მოახდინა ბრალდებულზე, აგულიანებდნენ მას ჩაედინა დანაშაული. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ფრიად რთულ მდგომარეობაში ვარდება, რადგანაც იძულებულია ამტკიცოს, რომ ასეთი ზეწოლის გარეშე კანონს არ დაარღვევდა. აღვნიშნავთ, რომ პროვოკატორის პასუხისმგებლობა არ დგება იმის მიუხედავად, თუ როგორია პროვოკაციის ხასიათი ("არამართლზომიერი" პროვოკაციის შემთხვევაში პირი, რომლის მიმართაც ის განხორციელდა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება)[127].

პოლიციის აგენტ-პროვოკატორების გამოყენება გავრცელებულია გერმანიაში და უფრო ფართოდ, ვიდრე შეიძლება ვივარაუდოთ სასამართლო პროცესების დროს ამოტივტივებული ფაქტების მიხედვით. აგენტ-პროვოკატორების გამოყენებას გერმანიაში ძირითადად ადგილი ჰქონდა ნარკოტიკებით მოვაჭრეთა

---

127 Адашкевич Ю.Н. Агентурный метод в борьбе с преступностью в зарубежных странах - Сб.: "Организованная преступность-2" (Под.ред. А.И.Долговой, С.В.Дьякова): Криминологическая Ассоциация. М., 1993.С.208-220

გარემოში ჩატარებული ოპერაციების დროს, მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გამოიყენება სხვა დანაშაულთა, (მაგალითად, თაღლითობის, ქურდობის, არალეგალური აბორტების, გაფლანგვის, იარაღით ვაჭრობის, ყალბი ფულის დამზადების, ცეცხლის წაკიდების და ა. შ.), აგრეთვე პოლიტიკურ დანაშაულთა მიმართაც.

დღეისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის ნორმა, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის პროვოკაციას ცალკე შემადგენლობის სახით. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, დანაშაულის პროვოკაცია ისჯება დანაშაულის წაქეზებისათვის[128]. აქვე აღსანიშნავია, რომ დანაშაულის პროვოკაციისადმი გერმანიის სასამართლოებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გააჩნიათ.

ყურადსაღებია, რომ პროვოცირებული პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ის მოქმედებდა პროვოკატორის ხანგრძლივი დარწმუნების, ინტენსიური, გამუდმებული ზეგავლენის შედეგად[129].

რა თქმა უნდა, ამ ინტენსიური ზემოქმედების დამტკიცება ცალკეულ შემთხვევებში ძალიან ძნელია. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრის მკაფიო კრიტერიუმები. ამასთან, გერმანიაში, აგენტ-პროვოკატორის მხრიდან დამნაშავეზე ინტენსიური ზემოქმედების დამტკიცების შემთხვევაშიც კი მოქმედება უკანონოდ ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოცემული აგენტის დანაშაულებრივ-წამქეზებლური ქცევა აშკარა დისკრედიტირებას უკეთებს სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს. სისხლისსამართლებრივი დევნა აგენტის მიერ პროვოცირებული სისხლის სამართლით გათვალისწინებული ქმედებისათვის გამორიცხულია იმ შემთხვევებშიც, როცა აგენტი-პროვოკატორი დამნაშავის ნდობას აღწევს "განსაკუთრებული ცბიერებისა და აშკარა ამორალური ქცევის საშუალებით".

ამრიგად, სისხლის სამართლის თვალსაზრისით, დანაშაულის პროვოკაციის ფაქტს ნეგატიური შედეგი მხოლოდ დამნაშავისათვის მოაქვს. მაგრამ, ამის მიუხედავად, გერმანიის ფედერალური

---

128 **ШтюмперА. Уголовное судопроизводство и полицейская хватка. М , 1989. С. 34; Геспер Р., Херцог У. За фасадом права М , 1990 С. 86.**

129 **Геспер Р., Херцог У. За фасадом права М , 1990 С. 86.**

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა დანაშაულის პროვოკაციას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აფასებს როგორც შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ დანაშაულს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მძიმე დანაშაული განხილული უნდა იქნას, როგორც საშუალო სიმძიმის დანაშაული. ასეთი შემსუბუქების დასაბუთებას წარმოადგენს ის, რომ პროვოცირებული დანაშაული მხოლოდ უმნიშვნელო საშიშროებას წარმოადგენს, რადგანაც იგი პოლიციის კონტროლის ქვეშ ხდება. ამასთან, დანაშაულად არ ითვლება ისეთი "წაქეზება", როდესაც წამქეზებელი მიზნად ისახავს ეჭვმიტანილ პირთა გამოაშკარავებას, კერძოდ, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დამნაშავე პროვოკაციის გარეშეც ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას[130].

გერმანიაში საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია პროვოკაციებთან როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ისე კერძო პირთა მხრიდან, სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ რეგულირდება, რასაც, რასაკვირველია, მივყავართ სასამართლო ორგანოების მიერ დამნაშავე პირების მოქმედებათა კვალიფიკაციის საკითხების არაერთმნიშვნელოვან გადაწყვეტამდე. ასე მაგალითად, ფედერალური კონსტიტუციური სასამართლო ასეთი პროვოკაციისას შესაძლებლად მიიჩნევს, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო განხილვის შეწყვეტას, "მხედველობაში იღებს რა ადამიანის ღირსებას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს". ფედერალური უზენაესი სასამართლო, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკაზე, ბოლო დროს იზიარებს აზრს, რომ ასეთი პროვოკაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება მხოლოდ როგორც "დამაჯერებელი, ბრალეულობისაგან დამოუკიდებელი სასჯელის ზომის განსაზღვრის საფუძველი", რამაც გარკვეულ წინაპირობათა არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, აგენტ-პროვოკატორის მხრიდან განსაკუთრებით ძლიერი ზემოქმედებისას დანაშაულის ჩამდენზე და დანაშაულის უმნიშვნელო სიმძიმისას) შეიძლება განაპირობოს სასამართლო გარჩევის შეწყვეტა დანაშაულის უმნიშვნელობის გამო

---

130 Иванов Л., Лямминх З. О новеллах уголовного законодательства Германии, направленных на противодействие организованной преступности // Уголовное право. 1998. № 3. С. 109.

(სსკ $153)[131]. ამრიგად, გერმანიის ორი უმაღლესი სასამართლო ინსტანციის პოზიციები მოცემულ საკითხზე ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება.

დასავლეთის ქვეყნების მტკიცებულებითი სამართალი ღიად ან დაფარული ფორმით სანქციას აძლევს პოლიციის აგენტ-პროვოკატორების ჩვენებების გამოყენებას. ამასთან, პოლიციის აგენტს აძლევენ გარანტიას, რომ იგი არ იქნება გამოაშკარავებული. ამ გარანტიის გამო ბრალდებული მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ უარყოს ბრალდების მტკიცებულებათა დამაჯერებლობა მის წინააღმდეგ ჩვენებების მიმცემი პირის დაკითხვის გზით. ასე მაგალითად, საფრანგეთის სსკ-ს 337-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს სასამართლო სხდომაზე აგენტ-პროვოკატორის დაკითხვის შესაძლებლობას ანაზღაურებადი ინფორმატორის სახით.

ამერიკელმა სამართლის თეორეტიკოსმა ჯერომ ფრენკმა თავის წიგნში "არაა დამნაშავე" კონკრეტულ მაგალითებზე აჩვენა, რომ მტკიცებულების სახით პოლიციის ანაზღაურებადი ინფორმატორების ჩვენებების გამოყენება წარმოადგენს უდანაშაულოთათვის მსჯავრის დადების ერთ-ერთ არსებით მიზეზს. ხაზს უსვამს რა ასეთი სახის "მტკიცებულებათა" საშიშროებას, ფრენკი იშველიებს ერთ-ერთი ანაზღაურებადი ინფორმატორის აღიარებას, რომ მან დაადანაშაულა ორმოცი უდანაშაულო ადამიანი. ცნობილმა ინგლისელმა იურისტმა და საზოგადო მოღვაწემ დენის პრიტმა თავის წიგნში "ჯაშუშები და ინფორმატორები მოწმეთა ტრიბუნაზე" დამაჯერებლად აჩვენა ის აურაცხელი უბედურებანი, რაც მოაქვს ანაზღაურებადი და მათი მსგავსი "მოწმეების" ჩვენებების გამოყენებას მტკიცებულებათა სახით. პრიტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინფორმატორების ჩვენებები კიდევ უფრო საეჭვოა, ვიდრე თანამონაწილეების. ინფორმატორები იმათ სასარგებლოდ მუშაობენ და მათ შრომას ანაზღაურებენ ისინი, ვისთვისაც მოიპოვებენ საჭირო ცნობებს. მათი "მუშაობის წარმატება" განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ადამიანების რამდენად დიდი რაოდენობა იქნება მსჯავრდებული მათ მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე. "თუ ანგარიშში ასეთი მონაცემები არაა, ისინი ვერაფერს გამოიმუშავებენ. . . მაგრამ უფრო მეტიც, ბევრი

131 იქვე, გვ. 109

ინფორმატორი, შეიძლება მათი უმრავლესობაც, ასეთ პროფესიას ნებაყოფილებით როდი ირჩევს, მათ აიძულებს ხელისუფლება, რომელსაც აქვს ისეთი მონაცემები, ...რომლის საფუძველზეც შეუძლია აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც ამ პირებს დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთით ემუქრება". ინფორმატორების ჩვენებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური პოლიციის საქმიანობაში.

2. განვიხილოთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერების საკითხი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

დანაშაულის პროვოკაციის განხილვისას სისხლის სამართლის თეორიაში კვლევის საგანს წარმოადგენს ამ ქმედებასა და კანონით დაშვებული "სამართალდარღვევის პროვოკაციის" გამიჯვნის საკითხი.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ ეს საკითხი მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ შემდეგ საკითხებზე:

სამართალდარღვევათა მხილების ოპერატიულ-სამძებრო ცნება;

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონის შესაბამისად სამართალდარღვევათა მხილება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება;

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად სამართალდამრღვევთა მხილების საფუძველი;

სამართალდამრღვევთა მხილების ობიექტური მხარე.

განვიხილოთ პირველი საკითხი. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებია: ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება; ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება მოკვლევას, წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას; დ) დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და

დადგენა; ე) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა; ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება[132].

იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის შემთხვევაში მკაცრად უნდა იყოს დაცული ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერების პირობები, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ექსპერიმენტი ტარდება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონის მე-2 მუხლის "ა" პუნქტი);

ოპერატიულმა მუშაკმა არ უნდა აღუძრას პირს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. ის ამ უკანასკნელს დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს მიღებული;

და ბოლოს, ჩატარებული ღონისძიება უნდა პასუხობდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებს, რომლებიც ჩამოთვლილია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონის მე-2 მუხლში. ესენია: ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება; ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონიესძიების მოხდას; დ) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება." ამავე კანონის თანახმად, "აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება იმ ამოცანის მისაღწევად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით". (მე-6 მუხლის პირველი ნაწილი). დანაშაულის პროვოკაციის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა მე-2 მუხლის "ა", "ბ", და "ვ" პუნქტები[133].

---

132 ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საქართველოს კანონი მიღებულია 1999 წ., ხოლო. კანონში შეტანილია ცვლილებები 2008 წ.

133 თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია. — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 227-228

აღნიშნულ კანონში კანონმდებელი გულისხმობს როგორც დამნაშავეს, ე. ი. პირს, რომლის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, აგრეთვე ეჭვმიტანილს. ამიტომ იურიდიულად აქ იგულისხმება სამართალდარმღვევი ანუ კრიმინოლოგურად - დეევიანტი. ამიტომ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინი "დამნაშავეთა მხილება" უფრო ვიწროა და არ გამოხატავს აღნიშნული კანონის მოთხოვნას[134].

სსკ-ს 29-ე მუხლის (დამნაშავის შეპყრობა) თანახმად შემპყრობს (მოქალაქეს) "არ მოეთხოვება იმის ცოდნა, რომ შეპყობილი ნამდვილად დამნაშავეა, რომ მას ბრალი მიუძღვის უმართლობის ჩადენაში. შემპყრობმა უნდა იცოდეს, რომ მან შეიპყრო სამართალდამრღვევი, სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩამდენი."[135] ამ ნორმაში იგულისხმება მოქალაქის უფლება და არა მოვალეობა.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე — 16 მუხლის თანახმად, ცალკეული პირები შეიძლება მათივე თანხმობით ჩააბან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მომზადებასა თუ ჩატარებაში. ამასთან, მათი სურვილით შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან თანამშრომლობის, მათ შორის, კონტრაქტით თანამშრომლობის, კონფიდენციალობა. ეს პირები ვალდებულნი არიან საიდუმლოდ შეინახონ ცნობები, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მომზადებისა თუ ჩატარების დროს შეიტყვეს, არ მიაწოდონ შეგნებულად ცრუ ინფორმაცია აღნიშნულ ორგანოებს, არ გამოიყენონ ეს კავშირი თავიანთი ინტერესებისათვის. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს შეუძლიათ კონტრაქტები დაუდონ მხოლოდ სრულწლოვან, ქმედუნარიან პირებს მათი მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, სოციალური, თანამდებობრივი მდგომარეობის, ენის, განათლების, საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის მიუხედავად.

---

134 იხ: თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. "მერიდიანი". 2008, გვ. 226 -232

135 იხ: ო.გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005, გვ. 226

სსკ-ს 29-ე მუხლისაგან განსხვავებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მოქალაქის ფუნქცია არ წარმოადგენს მოვალეობას. სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის მომენტიდან მისი მონაწილეობა არის ვალდებულება, რომელიც მკაცრად არის რეგლამენტირებული კანონით. მისი ნებისმიერი არასანქციონირებული მოქმედება წარმოადგენს დადგენილი მართლზომიერების გადაცილებას, სადაც შეიძლება იგულისხმებოდეს დანაშაულის პროვოკაციაც. როგორც აღნიშნავს თ. ებრალიძე, აგენტი-პროვოკატორის საქმიანობა მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. აქ არ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა პოლიცია სპეციალურ აგენტურას გზავნის დანაშაულებრივ ჯგუფში და მათი დახმარებით შეეცდება დანაშაულის გახსნას[136].

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის შესაბამისად სამართალდარღვევათა მხილება არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება. დამნაშავის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთისა და მისი მხილების ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში მაინც დასაშვებია დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევა მაშინაც, როდესაც ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურ ხასიათს ატარებს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ზემოთ ნახსენები "საკონტროლო შესყიდვა". იგი გამოიყენება სწორედ ერთგვაროვან ქმედებათა სისტემატიურად ჩამდენ დამნაშავეთა გამოსავლენად. დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის მხილების სხვა გზა არ არსებობს. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, ლატენტურ დანაშაულს, აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენ დელიქტებს. მაგალითად, ნარკოტიკების ან უაქციზო საქონლის რეალიზატორთა მხილება საიდუმლო თანამშრომლის დახმარების გარეშე ძნელია, რადგან როგორც გამყიდველი, ასევე მყიდველი ერთნაირად არიან დაინტერესებულნი, რომ მათი მოქმედება სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეუმჩნეველი დარჩეს. მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო

---

136 იხ: თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. "მერიდიანი". 2008, გვ. 233

საქმიანობის განხორციელება არც სხვა შემთხვევაშია გამორიცხული. სამართალდამცავი ორგანოების ხელშია თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, სპეციალურ ლონისძიებათა მთელი სისტემა, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს დანაშაულის აღკვეთისა და დამნაშავის მხილებისათვის. (ვიდეოგადაღებები, აუდიოჩანაწერები, თვალთვალი და ა.შ.). როდესაც ყველა საშუალება ამოწურულია და დამნაშავის მხილება ვერ მოხერხდა, შეიძლება მივმართოთ დანაშაულის პროვოცირებას, როგორც უკიდურესი აუცილებლობით ნაკარნახევ ღონისძიებას[137]. ამ შემთხვევაში, მაგალითად, "საკონტროლო შესყიდვა" აკმაყოფილებს ქმედების მართლზომიერების პირობებს.

როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ქმედებები, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებს, კოდექსში ყოველთვის ამომწურავადაა ჩამოთვლილი. ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი არ არის, არ შეიძლება დანაშაული იყოს და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდეს.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმ გარემოებებზე, რომლებიც პასუხისმგებლობას გამორიცხავს. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა წრე კოდექსში არ შეიძლება ამომწურავი იყოს. კანონმდებელს შესაძლებელია გამორჩეს რომელიმე ასეთი გარემოება. ამიტომ აქ უკვე თავის სიტყვას ამბობს სამოსამართლო სამართალი. სასამართლომ თვითონ უნდა განსაზღვროს, რომ ესა თუ ის ქმედება, რომელიც მისი განხილვის საგანია, თუმცა კანონმდებელს არ დაუდგენია, მაგრამ მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს. ამიტომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება და გაათავისუფლოს მოქმედი პასუხისმგებლობისაგან.[138] როგორც ჩანს, ამ მუხლს ვერ გავავრცელებთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონზე, რადგან სამოსამართლეო სამართალი ვერ დაადგენს მისი მოთხოვნის მართლზომიერებას, ის უკვე დადგენილია.

---

137 იხ: თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. "მერიდიანი". 2008, გვ. 229-230

138 იხ: ო.გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005, გვ. 237

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის კონტექსტიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს ის პირი, რომელიც ახორციელებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. ამ შემთხვევაში მართლსაწინააარმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთ გარემოებების არსებობისას, რომლებიც თუმცა ამ კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონით დადგენილ ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს.

განვიხილოთ შემდეგი საკითხი: რა არის იმის საფუძველი, რომ სამართალდამრღვევის მხილება აღნიშნული კანონის ფარგლებში არის მართლზომიერი და არა მართლსაწინააღმდეგო ქმედება? კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამის საფუძველია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება კანონით დადგენილ მიზანს, არის მართლსაწინაარმდეგო. კანონის მე-3 მუხლის თანახმად აკრძალულია იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც: ა) საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას; ბ) საფრთხეს უქმნის იურიდიული პირის უფლებებს; გ) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც კანონსაწინააღმდეგო გზით ხორციელდება და მიზნათ ისახავს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას, მართლსაწინააღმდეგოა. ამიტომ დანაშაულის პროვოკაცია წარმოადგენს სსკ-ს 145-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას და ამავდროულად ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლების გადაცილებას.

ობიექტური მხრივ, სამართალდამრღვევთა მხილება შეიძლება კანონის მე-7 მუხლით დადგენილი მოქმედებით: ა) პირის გამოკითხვით; ბ) ცნობების შეგროვებით და ვიზუალური კონტროლით; გ) საკონტროლო შესყიდვით; დ) კონტროლირებადი მიწოდებით;

ე) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევით; ვ) პიროვნების იდენტიფიკაციით; ზ) დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპოდენციის ცენზურით; თ) მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებით და ჩაწერით, ინფორმაციის მოხსნით და ფიქსაციით კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლით (გარდა დიპლომატიური ფოსტისა); ი) მოსამართლის ბრძანებით ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერით, კინო- და ფოტოგადაღებით; ელექტრული თვალყურის დევნებით; კ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვით; ლ) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა.

განვიხილოთ ბოლო საკითხი - სამართალდამრღვევთა მხილების ობიექტური მხარე ანუ ოპერატიულ-სამძებრო საშუალებათა მართლზომიერების საკითხი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. კონცეპტუალურად მეცნიერთა პოზიცია ემყარება შემდეგ დებულებებს:

აგენტ-პროვოკატორის საქმიანობა მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოთათვის. ჩვენ ცხადია, არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როცა პოლიცია სპეციალურ აგენტურას გზავნის დანაშაულებრივ ჯგუფში და მათი დახმარებით შეეცდება დანაშაულის გახსნას;

ხელისუფლების ორგანოები, ისევე როგორც ცალკეული მოქალაქენი, ვალდებულნი არიან ყოველმხრივად ებრძოლონ დანაშაულს და ამხილონ დამნაშავენი, მაგრამ ეს ბრძოლა კანონიერ ფორმებში უნდა წარმოებდეს. დაუშვებელია დამნაშავეთა მხილება ისეთი საშუალებებით, რომლებიც თვითონ ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას ცალკეული პირების მიერ. სამძებრო ორგანოების ხელშია დანაშაულთა გახსნის მეცნიერული ხერხები, ზემოქმედების ზნეობრივი საშუალებები და მათ არ შეიძლება მიმართონ ამ მიზნის განსახორციელებლად ისეთ საზოგადოებრივად საშიშ და უკანონო მეთოდებს, როგორიცაა ცალკეულ, თუნდაც ეჭვმიტანილ პირთა პროვოკაცია დანაშაულის ჩასადენად";

დანაშაულის პროვოკაცია უნდა განვასხვავოთ ოპერატიული ექსპერიმენტისაგან. მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ნიშნავს მართლზომიერ და დანაშაულებრივ ქმედებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ოპერატიული ექსპერიმენტი წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ერთ-ერთ სახეს. მას არც თუ იშვიათად მიმართავენ სამართალდამცავი ორგანოები მექრთამეობის საქმეებზე, ნარკოტიკების, უაქციზო საქონლის რეალიზატორთა გამოსავლენად და ა.შ. ოპერატიული ექსპერიმენტი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელი ფლობს ინფორმაციას, რომ მზადდება, ხდება, ან მოხდა დანაშაული. მაგალითად, მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაციის შემოწმებისა და დამნაშავის მხილების მიზნით ხდება ქრთამის შეგზავნა თანამდებობის პირისათვის.

თავი IV.

დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა

§1. მართლწინააღმდეგობა დანაშაულის პროვოკაციის დროს

დანაშაულის პროვოკაციის მეორე ნიშანს წარმოადგენს მართლწინააღმდეგობა. დამნაშავეთა მხილების დროს მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით დაიყოლიებს პირს დანაშაულის ჩასადენად.

დანაშაულის პროვოცირება შეუძლია, როგორც რიგით მოქალაქეს, ასევე ოპერატიულ მუშაკსაც. როგორც აღნიშნავდა თ. წერეთელი -"ხელისუფლების ორგანოები, ისევე როგორც ცალკეული მოქალაქენი, ვალდებულნი არიან ყოველმხრივად ებრძოლონ დანაშაულს და ამხილონ დამნაშავენი, მაგრამ ეს ბრძოლა კანონიერ ფორმებში უნდა წარმოებდეს. დაუშვებელია დამნაშავეთა მხილება ისეთი საშუალებებით, რომლებიც თვითონ ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას ცალკეული პირების მიერ. სამძებრო ორგანოების ხელშია დანაშაულთა გახსნის მეცნიერული ხერხები, ზემოქმედების ზნეობრივი საშუალებები და მათ არ შეიძლება მიმართონ ამ მიზნის განსახორციელებლად ისეთ საზოგადოებრივად საშიშ და უკანონო მეთოდებს, როგორიცაა ცალკეულ, თუნდაც ეჭვმიტანილ პირთა პროვოკაცია დანაშაულში ჩასადენად"[139].

ყველა შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა დანაშაულის პროვოკაცია ჩაიდინა მოქალაქემ, თუ ოპერატიულმა მუშაკმა. ქმედების მართლწინააღმდეგობას კანონის თანახმად აქვს ერთი და იგივე მახასიათებელი.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ როდის არის დამნაშავის მხილება მართლზომიერი და როდის დამნაშავის მხილება არის მართლსაწინააღმდეგო ანუ არის დანაშაულის პროვოკაცია.

---

139 თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ. 1965, გვ. 166.

ტიპიურია შემთხვევა, როდესაც მოქალაქე სახელმწიფო მოხელეს შესთავაზებს თანხას გარკვეული მოქმედების შესრულების მიზნით. ქრთამის აღების დროს მოხელე ოპერატიული სამსახურის მიერ მხილებულია დანაშაულის ჩადენაში. ამ შემთხვევაში, როგორც სწორად აღნიშნავს თ. ებრალიძე, სახეზეა არა "დანაშაულის გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება", რაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანას წარმოადგენს (ოპერატიულ —სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-2 მუხლის "ა" პუნქტი), არამედ მისი გამოწვევა, პროვოცირება; არა მხილება, არამედ ცდუნება[140]. უფრო მეტიც, დანაშაულის პროვოცირებით არ კვალიფიცირდევა ქმედება, არამედ იმ მოქმდებით (ქრთამის მიცემით, ნარკოტიკის შენახვით და ა.შ.), რომლითაც ხდება პირის მოჩვენებითი მხილება. როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, აღნიშნულ განსხვავებას სასამართლოები არ ითვალისწინებენ. მაგალითისათვის მოვიყვანთ რ. მამედოვის და პ. გუსეინოვი საქმეს.

2008 წლის 29 ივნისს რ. მამედოვმა ქ. რუსთავში გააჩერა ალექსი ბექაურის მართვის ქვეშ მყოფი ტაქსი და შეუთანხმდა სოფელ ალგეთში წაყვანაზე. თავიდან რ. მამედოვი აღნიშნული ტაქსით ჩავიდა სოფელ ფონიჭალაში, სადაც ა/მანქანაში ჩაისვა მისი მეგობარი პუნხან გუსეინოვი, რომელსაც თან ჰქონდა მის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეძენილი, ორ შავი ფერის ცელოფანში მოთავსებული ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა" და რომელიც პ. გუსეინოვმა ფარულად მოათავსა ა/მანქანაში მძღოლის სავარძლის ქვეშ.

რუსთავის ე.წ „ტეკის" მიმდებარე ტერიტორიაზე რ. მამედოვი გადავიდა ა/მანქანიდან და გადაუხადა მგზავრობის საფასური, ხოლო პ. გუსეინოვი კი სოფელ ალგეთში მისვლისას გადავიდა ა/მანქანიდან და მიიმალა. შემდეგ რ. მამედოვმა და პ. გუსეინოვმა დატოვებულ ნარკოტიკების შესახებ აღნიშნულის თაობაზე შეატყობინეს შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს, ხოლო პ. გუსეინოვის მიერ დიდი ოდენობით ნ/საშუალების უკანონო შეძენა, შენახვის ფაქტი რ. მამედოვის მიერ დაფარული იქნა.

---

140 თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია. — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 221

2008 წლის 29 ივნისს გაჩხრიკეს ალექსი გურამის ძე ბექაურის მართვის ქვეშ მყოფი ა/მანქანა და ამოიღეს პ. გუსეინოვის მიერ დადებული "გამომშრალი მარიხუანა".

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის რ. მამედოვს წარედგინა ბრალი საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით, ხოლო პ. გუსეინოვს - საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტით[141].

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. 2004 წლის 22 მაისს მოქალაქე ქ. თაგვაძემ სასაზღვრო-საკონტროლო გამშვებ პუნქტ „წითელი ხიდის" მიმდებარე ტერიტორიის ნეიტრალურ ზონაში არსებულ ბაზრობაზე შეიძინა დაახლოებით 150 აშშ დოლარის ღირებულების ტანსაცმელი და დაქირავებული „ვაზ-21011" მარკის თეთრი ფერის ა/მანქანით გადაჰქონდა ქ. თბილისში. 23 მაისს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას ტვირთის საზღვარზე რეგისტრაციის გარეშე მაიორმა გ. ჯაშმა მას ქრთამის სახით მოსთხოვა 40 ლარის გადახდა. ტვირთის სიმცირის გამო შეთანხმდნენ 30 ლარზე, რის შემდეგაც ქ. თაგვაძემ მას ქრთამის სახით გადასცა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების მიერ სპეციალური ფარული აღნიშვნებით დამუშავებული ფული. იმავე ღამით გ. ჯაში დააკავეს.

სასამართლო კოლეგიის განაჩენში აღნიშნულია, რომ ქ. თაგვაძემ წინასწარი გამოძიების ეტაპზევე უარყო გ. ჯაშის მხრიდან ქრთამის გამოძალვის ფაქტი და ვინაიდან არარსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი სხვა უტყუარი მტკიცებულებები, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ. ამდენად, სასამართლო კოლეგია მიდის დასკვნამდე, რომ გ. ჯაშის ქმედება შეიცავს მხოლოდ ქრთამის აღების შემადგენლობას და ის უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რაზეც უნდა აგოს პასუხი[142].

დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში კი პროვოკატორი

---

141 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის №1/4106-08 განაჩენი

142 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წლის 22 დეკემბრის №1/ა-6 განაჩენი

თავად აღუძრავს პირს დანაშაულის ჩადენის, ჩვენს მაგალითში, ქრთამის აღების გადაწყვეტილებას. ქრთამის აღების ინიციატივა მოხელისგან არ მოდის. თუ მოხელემ პირველმა დაიწყო ქრთამზე საუბარი, მოითხოვა იგი გარკვეული მოქმედების შესრულების სანაცვლოდ, ასეთი მოხელისათვის დამუშავებული ფულის შეგზავნა მისი მხილებისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით, პროვოკაციად არ უნდა ჩაითვალოს. ეს იქნება მართლზომიერი ოპერატიული ექსპერიმენტი[143].

სანიმუშოდ მოვიყვანთ ჯ. გუმაშვილის საქმეს.

2006 წლის ნოემბრის თვეში, მოქალაქე მ. ფაციაშვილი იმყოფებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქ. ზაქათალაში, სადაც ადგილობრივ, ვინმე ორუჯასგან მიიღო შემოთავაზება, რომ საქართველოში შემოსატანად შეეძინა 20 გრამის ოდენობის გველის შხამი. მ. ფაციაშვილმა გადაწყვიტა გაეგო თუ რა ღირდა საქართველოში შემოტანის ოფიციალური პროცედურა. ამ მიზნით ის შეხვდა სსგპ „სამთაწყაროს" მესაზღვრე კონტროლიორს ჯ. გუმაშვილს, რათა გაერკვია თუ რა დოკუმენტები იყო საჭირო აღნიშნული ოპერაციის განხორციელებისათვის. გუმაშვილმა შესთავაზა, რომ 1000 აშშ დოლარის სანაცვლოდ ყველაფერს მოუგვარებდა. მ. ფაციაშვილმა გაათვიცნობიერა, რომ ის ჩადიოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და განცხადებით მიმართა შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს და გამოთქვა გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი. 2006 წლის პირველ დეკემბერს დაახლოებით 12 საათზე ჯიმშერ გუმაშვილმა ქ. დედოფლისწყაროში კაფე-რესტორან „კოსმოსში" 20 გრ. გველის შხამის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის სანაცვლოდ მ. ფაციაშვილს გამოართვა 1000 აშშ დოლარი. 2006 წლის პირველ დეკემბერს 12 საათსა და 50 წუთზე, ჯიმშერ გუმაშვილი დააკავეს ეჭვმიტანილის სახით. პირადი ჩხრეკისას მას შარვლის უკანა მარცხენა ჯიბეში აღმოაჩნდა მალხაზ ფაციაშვილისაგან ქრთამის სახით აღებული თანხა. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აპრილის განაჩენით ჯიმშერ გუმაშვილი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ 338-ე მუხლის პირველი ნაწილით[144].

---

143 თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია. — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 220

144 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის №1/ბ-1066-07 განაჩენი

დანაშაულის პროვოკაცია განსხვავდება ოპერატიული ექსპერიმენტისაგან. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დამნაშავის გამოვლენის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ორგანოები მიმართავენ მექრთამეობის, ნარკოტიკების, უაქციზო საქონლის რეალიზატორთა და ა.შ. გამოსავლენად. ოპერატიული ექსპერიმენტი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელი ფლობს ინფორმაციას, რომ მზადდება, ხდება, ან მოხდა დანაშაული. მაგალითად, მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაციის შემოწმებისა და დამნაშავის მხილების მიზნით ხდება ქრთამის შეგზავნა თანამდებობის პირისათვის. დანაშაულის პროვოკაციას აქვს ადგილი, თუ ასეთი იმფორმაცია არ არსებობს და სპეციალურად ოპერატიული ექსპერიმენტის სიტუაცია იქმნება პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ამ მხრივ საინტერესოა ნ. საკანდელიძის საქმე.

რ. წიკლაურის დაკავების მიზნით 2004 წლის 28 სექტემბერს ნ. საკანდელიძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა მ. ხაინდრავასა და თ. კაკულიას და კვლავ დაიყოლია ისინი დანაშაულის ჩასადენად. მან იცოდა, რომ რ. წიკლაური იყო მ. ხაინდრავას მამინაცვალი და ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა მისთვის ნარკოტიკული საშუალების დადებას, რის გამოც თავისი დანაშაულებრივი განზრახვა სრულად გაანდო თ. კაკულიას, ხოლო მ. ხაინდრავას კი შეუთანხმდა, რომ თ. კაკულიასთან ერთად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უკანონოდ შეიძენდნენ ნარკოტიკულ საშუალებას და გადმოზიდავდნენ თბილისში. დავალების შესასრულებლად მ. ხაინდრავა და თ. კაკულია იმავე დღეს, დაახლოებით 18.00 საათზე, ტაქსით, რომელსაც მართავდა სერგო სიხარულიძე, გაემგზავრნენ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, ე.წ. "წითელ ხიდზე", რა დროსაც მ. ხაინდრავამ ქ. ყაზანში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, ვინმე "მაქსიმისგან" 400 აშშ დოლარად შეიძინა 8 გრამი "ჰეროინი", რომელიც მეორე დღეს ასევე გამოძიებით დაუდგენელი პირის დახმარებით, ნ. საკანდელიძისათვის გაგზავნის მიზნით, ქ. თბილისში გადასაზიდად გადასცა საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრის, ე.წ. "ნეიტრალურ ტერიტორიაზე" მყოფ თ. კაკულიას, რის შესახებაც ტელეფონის საშუალებით შეატყობინა ნ. საკანდელიძეს. აღნიშნულის შემდეგ

თ. კაკულიამ "ჰეროინი" გადაიტანა თბილისში, ს. სიხარულიძის მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ნ. საკანდელიძეს და მისთვის ნარკოტიკული საშუალების გადასაცემად შეხვდა წინასწარ დათქმულ ადგილას. მიღებული ნარკოტიკული საშუალების ნაწილი ნ. საკანდელიძემ ერთჯერადი მოხმარებისათვის გადასცა თ. კაკულიას, რითაც გაასაღა ერთ გრამამდე დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", ნაწილი შეინახა პირადად და გაასაღა, ხოლო 1,1 გრამის ოდენობით დაუბრუნა თ. კაკულიას და წინასწარი შეთანხმებისამებრ დაავალა, რომ შეუმჩნეველად დაედო რევაზ წიკლაურისათვის ბინაში, რაც თ. კაკულიამ შეასრულა კიდევაც. აღნიშნულთან დაკავშირებით , ნ. საკანდელიძემ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რ. წიკლაურის ბინისა და პირადი ჩხრეკის ჩატარების უკანონოდ, წინასწარ გამოტანილი დადგენილება გადასცა სამსახურებრივად თავის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს, ისე, რომ ამჯერადაც არ გაუმხილა რეალურად არსებული ვითარება და დაავალა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. რ. წიკლაურის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ჩატარების შედეგად ამოიღეს თ. კაკულიას მიერ ფარულად დადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით — წონით 1,1 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", რომელიც წარმოადგენდა ფალსიფიცირებულ მტკიცებულებას, რაც გახდა რ. წიკლაურის საცხოვრებელი ბინის უკანონო ჩხრეკის, მისი უკანონო დაკავების, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიმრების საფუძველი, რითაც უხეშად დაირღვა მისი უფლებები, შეურაცხყოფილ იქნა მისი ღირსება, ამასთანავე, არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მარტის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნიკოლოზ საკანდელიძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გოგმარ გაბუნიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, სასამართლომ გამოიყენა ისეთი სისხლის სამართლის მატერიალური კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონის ზოგიერთი ნორმა და ითხოვა, საქართველოს

სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" პუნქტის თანახმად, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გოგმარ გაბუნიამ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულ ნ. საკანდელიძეს უნდა მოეხსნას სსკ-ის 145-ე მუხლით (დანაშაულის პროვოკაცია) წარდგენილი ბრალდება, რადგან არც საბრალდებო დასკვნა და არც განაჩენი არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა მოქმედება ჩაიდინა მსჯავრდებულმა დანაშაულის ამ შემადგენლობის განსახორციელებლად. ამ საქმეში დაზარალებულად მიჩნეულ პირებთან (თ. კაკულია და მ. ხაინდრავა) მსჯავრდებულს არავითარი შეხება არ ჰქონია, ამიტომ ვერც წააქეზებდა და ვერც დაიყოლიებდა მათ რაიმე დანაშაულის ჩასადენად, მითუმეტეს, რომ საკანდელიძის ბრალდებასთან დაკავშირებით, თ. კაკულიასა და მ. ხაინდრავას რაიმე მსგავსი დანაშაულის ჩადენაში ბრალი არ ედებათ. ამდენად, აღნიშნული ბრალდება აშკარად უსაფუძვლოა და საკანდელიძეს იგი უნდა მოეხსნას.

აღსანიშნავია, რომ ნ. საკანდელიძის ქმედებაში არ იყო დანახული დანაშაულის პროვოკაციის ნიშნები. უფრო მეტიც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ჩათვალა, რომ ნ. საკანდელიძის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" პუნქტით, 262-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" პუნქტით, 369-ე მუხლის III ნაწილით, 332-ე მუხლის III ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული[145].

აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დანაშაულის პროვოკაცია მაშინაც გვექნება, როდესაც პროვოკაციის მომწყობს ამოძრავებს სამსახურის ყალბად გაგებული ინტერესები. მაგალითად, სურვილი განდევნოს სახელმწიფო აპარატიდან თანამდებობის პირები, ვისზედაც ეჭვია, რომ ქრთამს იღებენ. ეს გარემოება პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია იგი მხედველობაში მიიღოს სასჯელის დანიშვნისას[146].

---

145 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის № 71 განჩინება.

146 ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბ. 1964, გვ. 214

როგორც მართებულად აღნიშნავენ, აქ ლაპარაკია სწორედ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კონკრეტული ინფორმაციის არსებობის გარეშე, მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ხდება ქრთამის შეგზავნა თანამდებობის პირისათვის, რაც დასახელებულ ავტორებს დაუშვებლად მიაჩნიათ. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მეტისმეტად შეზღუდავდა სსკ-ის 145-ე მუხლის გამოყენების ფარგლებს. სამართალდამცავი ორგანოს მუშაკს იშვიათად გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ არსებობდა ეჭვი ამა თუ იმ მოხელეზე მექრთამეობასთან დაკავშირებით. ეს კი ხელს შეუწყობს ამ ორგანოს ცალკეულ წარმომადგენელთა თვითნებობას. ცხადია, ამგვარი თვითნებობა გამორიცხული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერების აუცილებელ პირობად მივიჩნევთ კონკრეტული ინფორმაციის არსებობას მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე. ჩემი აზრით, ამგვარად უნდა იქნეს გაგებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მითითება, რომ ამ საქმიანობის ერთ-ერთი ამოცანაა "იმ პირის დადგენა, რომელიც სჩადის დანაშაულს". (მეორე მუხლის "ბ" პუნქტი). ცხადია, კანონმდებელი გულისხმობს კონკრეტულ დანაშაულს.[147]

მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს საიდუმლო თანამშრომლის შეგზავნა დანაშაულებრივ ჯგუფში. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ პოლიციის აგენტმა არ უნდა დაიყოლიოს ჯგუფის წევრები დანაშაულის ჩასადენად, კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ინიციატივა ჯგუფის წევრისაგან უნდა მოდიოდეს. თუ ინიციატივა პოლიციის აგენტისაგან მოდის, მან აღუძრა ჯგუფის წევრს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, წაიყვანა დანაშაულის ჩასადენად და შემდეგ ამხილა, გვექნება დანაშაულის პროვოკაცია და არა მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. რა თქმა უნდა, დანაშაულის პროვოკაციად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც საიდუმლო თანამშრომელი, რომელსაც ჯგუფის წევრებმა გაანდეს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, მათივე თხოვნით აძლევს იარაღს, რჩევა-დარიგებას, წაყვება დანაშაულის ჩასადენად, შემდეგ კი ამხელს მათ და გადასცემს სათანადო ორგანოებს[148].

---

147 თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია. — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 220

148 იქვე, გვ. 220

ნ. არტემენკოს და ა. მინკოვას მოსაზრებით ოპერატიული ჩარევა შესაძლებელია მაშინ, თუ ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურ ხასიათს ატარებს. მაგრამ, თუ დაწყებული ოპერაციის დროს ოპერატიული მუშაკი აღუძრავს პირს ახალი დანაშაულის ჩადენის განზრახვას, მაშინ ჩვენ საქმე გვექნება დანაშაულის პროვოკაციასთან.[149] ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებს თ. ებრალიძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ ის, ვინც სხვას ახალი დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, ახალი დანაშაულებრივი განზრახვა აღუძრა, რათა შემდეგ ამხილოს იგი დანაშაულის ჩადენაში, დანაშაულის პროვოკატორად უნდა ჩაითვალოს. მართალია, წაქეზებულს მანამდეც რამდენჯერმე ჰქონდა ჩადენილი იგივე დანაშაული და მაშასადამე, ჩამოყალიბებულია ამ სახის დანაშაულთა ჩადენის განწყობა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთია დანაშაულებრივი მიდრეკილება, დანაშაულის ჩადენის განწყობა და მეორეა კონკრეტული დანაშაულის ჩადენის განზრახვა. ასეთი განზრახვა კი მას სწორედ წამქეზებლის ზემოქმედების შედეგად აღმოუცენდა. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ წამქეზებელი "ჩაერთო უკვე დაწყებული განზრახვის რეალიზაციაში", რაც ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერების აუცილებელი პირობაა. არ არსებობს ზოგადი განზრახვა, არამედ განზრახვა არსებობს კონკრეტული ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული ზიანის მიმართ.

საზღვარგარეთის ქვეყნების ქართველი მკვლევარები აღნიშნავენ მართლზომიერების ფარგლების გაფართოების საშიშროებას[150]. მაგალითად RICo-ს კანონის თანახმად, აგენტს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, თუ მის წინაშე დასმულია უფრო რთული ოპერატიული ამოცანა. ამიტომ მართლზომიერების ფარგლები ამ კანონში მეტად გაფართოებუ-

---

149 Артеменко Н.В., Минькова А.М.Проблемы уголовно-правовой оценки деятельности посредника, провокатора и инициатора преступления в уголовном праве РФ. - Журнал российского права, 2004, с. 12 თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია. — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 228-229

150 კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა. აშშ & საქართველო. 2003, გვ 347

ლია[151]. ანალოგიური ტენდენცია ახასიათებს მრავალ კანონს, რომელიც მიმართულია მაფიის წინააღმდეგ[152].

ქმედების მართლწინააღმდეგობის თვალსაზრისიდან ჩვენ უნდა განვიხილოთ ლიტერატურაში დასმული საკითხი: უნდა ჩაითვალოს თუ არა დანაშაულის პროვოკაციად დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა? ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-17 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება განმარტებული იქნეს იმგვარად, რომ უფლებას ანიჭებდეს ნებისმიერ სახელმწიფოს, ჯგუფსა და პიროვნებას რაიმე საქმიანობაში გამოიყენოს ან შეასრულოს რაიმე ქმედება, მიზანმიმართული აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი უფლებისა და თავისუფლების საზიანოდ ან მათ შესაზღუდავად იმაზე უფრო მეტი მოცულობით, ვიდრე ეს განსაზღვრულია კონვენციით[153]. ამრიგად, კონვენციის შესაბამისად სახეზეა არა მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედება — დანაშაულის პროვოკაცია, თუ ოპერატიული მუშაკის მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ აცდუნოს პირი, ჩაადენინოს მას დანაშაული, რათა შემდეგ ამხილოს და ციხეში ჩასვას. თუ არსებობს ვარაუდი, რომ ხელოვნურად შექმნილ სიტუაციაში პირი ცდუნებას ვერ გაუძლებს და ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ ადგილი აქვს დანაშაულის პროვოკაციას. მოკლედ, დანაშაულის პროვოკაცია არის მართლზომიერების ფარგლების გადაცილება.

ოპერატიული მუშაკის მიერ პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად არ არის მართლზომიერი ქმედება, არამედ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას — დანაშაულის პროვოკაციას. ესე იგი ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როცა დაყოლიებას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ადგილი არ ჰქონდა, აშკარად არ წაუქეზებიათ კაცი დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ საგანგებოდ შეუქმნეს ისეთი სიტუაცია, რომელშიც ცდუნებას ვერ

151 Mike Cormaney. RICO IN RUSSIA: EFFECTIVE CONTROL OF ORGANIZED CRIME OR ANOTHER EMPTY PROMISE? - CRIME.VL.RU. 2002 г

152 Cummings John Goombata.: The Improbable Rise and Fall of John Gotti and His Gang. New York: Avon Books, 1992; Capeci Jerry, Gene Mustain. Gotti: Rise and Fall. New York: Penguin Books,1996.

153 ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. მე-2 ნაწილი. თბ. 2001, გვ.34

გაუძლო და ჩაიდინა დანაშაული. პროფ. ო. გამყრელიძეს მოჰყავს მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან: პოლიციის თანამშრომლებმა რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში ერთ-ერთ მგზავრს დაუდეს წინ ჩემოდანი და თხოვეს თავი მოემძინარებინა. ამ გზით დაიჭირეს ქურდი. ავტორის აზრით, ეს არამართლზომიერი ქმედებაა და დანაშაულის პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს[154].

"დაყოლიება", როგორც აღნიშნავენ, გულისხმობს პირისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების აღძვრას. ეს კი შეიძლება მოხდეს როგორც აშკარად, ასევე ფარულად. ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითებში ადგილი აქვს ფაქტიურად ფარულ დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. ეგრეთ წოდებულ ფარულ წაქეზებას, როცა წაქეზებული ვერ ხვდება, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ. სსკ-ის 145-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას, კაცი პირდაპირ ეტყვის მეორე კაცს — მოიპარეო, ანიშნებს გახსნილ ჩანთას ან უყურადღებოდ დატოვებულ ჩემოდანს (კონკლუდენტური მოქმედება), თუ ხელოვნურად შეუქმნის პირობებს, რომელშიც იგი ცდუნებას ვერ გაუძლებს და ჩაიდენს დანაშაულს. თუ პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად და მაშასადამე, დანაშაულის პროვოკაციას, რატომ არ უნდა ჰქონდეს იგივეს ადგილი მეორე შემთხვევაში. მითუმეტეს, რომ მიზანი ორივეგან ერთია: აცდუნოს პირი, ჩაადენინოს დანაშაული, რათა შემდეგ ამხილოს და პასუხისგებაში მიაცემინოს. მეორე შემთხვევაში პროვოკატორი უფრო ეშმაკურად მოქმედებს, ნილბავს, თავის როლსა და წვლილს პროვოცირებულის მიერ ჩადენილ დანაშაულში[155].

სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში წარმოიშობა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვების ნარკოტიკების გასაღების პროვოკაციისაგან გამიჯვნის სიძნელეები. ზოგიერთ პრაქტიკოს მუშაკს მიაჩნია, რომ ოპერატიული თანამშრომლები უშვებენ მაპროვოცირებელ მოქმედებებს, თითქოს აქეზებენ ეჭვმიტანილს დანაშაულის ჩასადენად და ხელოვნურად ქმნიან პირობებს ამი-

154 თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია. — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 224

155 იქვე, გვ. 224-225

სათვის. მსგავსი სიტუაცია წარმოიქმნება მექრთამეთა გამოაშკარავების დროსაც.

აქ მთავარი საკითხია — ვისგან მოდის ინიციატივა. მაგალითად, თუ ეჭვმიტანილი პირი თვითონ მოითხოვს, უფრო მეტიც, ეწევა ქრთამის გამოძალვას რაიმე მაპროვოცირებელი ჩარევის გარეშე, ახორციელებს ქმედებებს, რომლებიც მიმართულია მის მიღებაზე, მაშინ ოპერატიული მუშაკების შემდგომი მოქმედება მართლზომიერია.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების საფუძვლის სახით მითითებულია ცნობები მზადების ან მცდელობის სტადიაში მყოფი, ან ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ე. ი. დანაშაულის ჩადენის მცდელობის, მის ჩასადენად მზადების შესახებ და არა შიშველი ეჭვები. მსგავს შემთხვევებში ოპერატიულ მუშაკთა ქმედებები კანონს არ ეწინააღმდეგება.

სულ სხვა საქმეა, როცა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების პროცესში, დანაშაულებრივ ქმედებაში ეჭვმიტანილს სხვადასხვა ხერხით თავაზობენ ან კიდევ თავს ახვევენ ქრთამს, ქმნიან მისი გადაცემის ხელშემწყობ პირობებს მაშინაც კი, როცა თვითონ პიროვნება არავითარ ქრთამის მიღებისაკენ მიმართულ ქმედებას არ მიმართავს. მსგავს შემთხვევებში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ხორციელდება, როგორც იტყვიან, დანაშაულის ზღვარზე და მისი მეშვეობით მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლება განხილული იქნას, როგორც კანონის დარღვევით მიღებული. ანალოგიური მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას, მაგალითად, საკონტროლო შესყიდვისას, თუ ოპერატიული მუშაკი ან მისი ხელშემწყობი ""იძენს" მისთვის შეთავაზებულ ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ უპირველესად თვითონ აქეზებს ეჭვმიტანილს ამ საშუალებათა გასაღებისაკენ, ახდენს მასზე ზეწოლას, დაიყოლიებს იშოვოს ისინი, აგულიანებს ჩაიდინოს დანაშაული.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისას ფაქტობრივად ხორციელდება იმ შემთხვევებში, როცა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის ცნობილი ხდება დანაშაულის მომზადების ან დაწყების ამბავი. პროვოკაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროვოკატორი თვითონ აღძრავს სხვა პიროვნებაში დანაშაულის ჩადენის განზ-

რახვას მისი შემდგომი გამოაშკარავების, შანტაჟის, დამოკიდებული მდგომარეობის შექმნის მიზნით.

ანალოგიური აზრია გამოთქმული აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიერ. კერძოდ, როგორც აღნიშნულია, განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს დანაშაულის პროვოცირებას. მისი დასაშვებობის ფარგლები და მართლზომიერების პირობები მკაფიოდ არის რეგლამენტირებული კანონში. დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის უფლება აქვთ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს და არა მოქალაქეებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი მოქმედებენ ამ ორგანოთა დავალებით ან მათთან შეთანხმებით. მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონის თანახმად. ამ საქმიანობის ამოცანათა შესასრულებლად გამოიყენება ე.წ. საკონტროლო შესყიდვა, (მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილის „გ" პუნქტის), რომელიც განმარტებულია, როგორც „ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ან შეძენის ვითარების შექმნა. (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე)". მაგალითად, ოპერატიულ მუშაკს აქვს ინფორმაცია, რომ პირი ვაჭრობს ნარკოტიკებით. პოლიციელის აგენტი მიდის ეჭვმიტანილთან და ყიდულობს მისგან ნარკოტიკულ საშუალებას, რომლის დროსაც ნარკოტიკების გამსაღებელს აკავებენ. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის მარკის გარეშე შენახვისა და რეალიზაციაში ეჭვმიტანილი პირისაგან ოპერატიული მუშაკი ყიდულობს უაქციზო სიგარეტს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკონტროლო შესყიდვა დასაშვებია მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. ცხადია, ეს, მოთხოვნა, გარდა საკონტროლო შესყიდვისა, დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის სხვა შემთხვევებზეც უნდა გავავრცელოთ. ოპერატიული ექსპერიმენტი არამართზომიერი იქნება, როცა კონკრეტული ინფორმაციის არსებობის გარეშე, მაგალითად, ქურდობისათვის რამდენჯერმე ნასამართლევ ადამიანს წააქეზებენ გაქურდოს ბინა, რომლის მფლობელებიც სახლში არ იმყოფებიან და დიდძალი ქონება უმეთვალყურეოდ აქვთ დატოვებული. წამქეზებელთა ვარაუდით, იგი დანაშაულებრივი წარსულიდან გამომდინარე ცდუნებას ვერ გაუძლებს და

დანაშაულის დროს დააკავებენ. პირიქით, ექსპერიმენტი მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, თუ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, რომ ამ პირმა დაამზადებინა მორგებული გასაღები ბინის გასაქურდად, აგროვებს თანამონაწილეებს და ემზადება ქურდობის ჩასადენად. პოლიციელის აგენტი შესთავაზებს დახმარებას, წაყვება დანაშაულის ჩასადენად, რომლის დროსაც დამნაშავეს დააკავებენ.

მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა მაგალითად, პროსტიტუციისათვის ან ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა ადგილის დათმობაში (სსკ-ის 254-ე და 271-ე მუხლები) ეჭვმიტანილ პირთან მიდის „კლიენტი" და სთხოვს საცხოვრებლის გადაცემას[156].

ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ დამნაშავის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთისა და მისი მხილების ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში მაინც დასაშვებია ხელოვნურად გამოწვევა მაშინაც, როდესაც ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურ ხასიათს ატარებს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ზემოთ ნახსენები „საკონტროლო შესყიდვა". იგი გამოიყენება სწორედ ერთგვაროვან ქმედებათა სისტემატურად ჩამდენ დამნაშავეთა გამოსავლენად. დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის მხილების სხვა გზა არ არსებობს. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა, ლატენტურ დანაშაულებს, აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენ დელიქტებს. მაგალითად, ნარკოტიკების ან უაქციზო საქონლის რეალიზატორთა მხილება საიდუმლო თანამშრომლის დახმარების გარეშე ძნელია, რადგან როგორც გამყიდველი, ასევე მყიდველი ერთნაირად არიან დაინტერესებულნი, რომ მათი მოქმედება სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეუმჩნეველი დარჩეს. მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება არც სხვა შემთხვევებშია გამორიცხული. სამართალდამცავი ორგანოების ხელშია თანამედროვე ტექნიკური

---

156 თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია. — დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008, გვ. 226-230

საშუალებები, სპეციალურ ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ დანაშაულის აღკვეთისა და დამნაშავის მხილებისათვის. (ვიდეოგადაღებები, აუდიო ჩანაწერები, თვალთვალი ა. შ). როდესაც ყველა საშუალება ამოწურულია და დამნაშავის მხილება ვერ მოხერხდა, შეიძლება მივმართოთ დანაშაულის პროვოცირებას, როგორც უკიდურესი აუცილებლობით ნაკარნახევ ღონისძიებას.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ 1999 წლის (2008 წლის ცვლილებების გათვალისწინებით) საქართველოს კანონი გამორიცხავს პროვოკაციას ოპერატიულ ქვედანაყოფთა მუშაობაში. მისი ამოცანებია, კერძოდ, დანაშაულთა გამოვლენა, თავიდან აცილება, აღკვეთა და გახსნა, აგრეთვე იმის გამოვლენა და დადგენა, ვინც ამზადებს, სჩადის ან ჩაიდინა ეს დანაშაული. ამ მიზნების მიღწევას ემსახურება, მაგალითად, ოპერატიული ექსპერიმენტის ჩატარება.

ოპერატიული ექსპერიმენტის ნიშნებს არ შეიძლება მივაკუთვნოთ პროვოკაცია ოპერატიულ-სამძებრო საქმანობის მეთოდის სახით. ბ. ვოლჟენკინის აზრით, ოპერატიული ექსპერიმენტი მართლზომიერია, როცა სუბიექტი თვითონ, იმის მხრიდან ყოველგვარი ინიციატივის გარეშე, ვინც ცდილობს მის გამოაშკარავებას, იწყებს წინასწარ დანაშაულებრივ საქმიანობას, რაშიც ის დასაბუთებულადაა ეჭვმიტანილი და რის აღკვეთასაც ესწრაფვიან ოპერატიული ექსპერიმენტის ჩატარების გზით და ამრიგად გამოააშკარაონ დამნაშავე და გახსნან დანაშაული მისი ჩადენის პროცესში[157].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოპერატიული ექსპერიმენტის ჩატარება ნაკარნახევი უნდა იყოს მისწრაფებით სამართალდამცავი ორგანოების კონტროლის, უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იქნას დაყენებული სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტის ხელყოფასთან დაკავშირებული პროცესები საბოლოო ანგარიშში მათი განვითარების შეწყვეტის მიზნით. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღკვეთა ოპერატიული ექსპერიმენტის გამოყენებით უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც სულაც არაა ვარაუდის ხასიათის. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი

157 **Волженкин Б. Допустима ли провокация как метод борьбы с коррупцией? - Российская юстиция. 2001. N 5. С. 45.**

აქვს დანაშაულის პროვოკაციას. მაგრამ პროვოკაციისაგან უნდა განვასხვავოთ შესაძლებლობის მიცემა დანაშაულის ჩასადენად, მასზე წაქეზების ელემენტების გარეშე.

მოვიყვანოთ მაგალითი რუსეთის სასამართლო პრაქტიკიდან. ს. ცნობილია დამნაშავედ იმაში, რომ მან გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა და ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას (0,33 გ ჰეროინს) თავისი თანამცხოვრებისათვის მისი გადაცემის მიზნით, რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა. თავის ბინაში ს.-მ მოწმე ტ.-ს თანდასწრებით ნარკოტიკული ნივთიერება ორ ნაწილად გაჰყო, ერთი მათგანი მისცა ტ.-ს. ნარკოტიკის საპატიმროში გადასაცემად, ამასთან, ტ.-ს ფულიც გადაუხადა. ს.-გან მიღებული ნარკოტიკული ნივთიერება და ფული ტ.-მ მილიციის თანამშრომლებს გადასცა. ნარკოტიკის მეორე ნაწილი მილიციის თანამშროლებმა აღმოაჩინეს ს.-ს ბინის დათვალიერებისას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ს.-ს ქმედებას მისცა კვალიფიკაცია, როგორც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შეძენა, შენახვა მათი გასაღების მიზნით.

საკასაციო ინსტანციამ განაჩენი გააუქმა და შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე ს.-ს მიმართ, ამასთან, აღნიშნა, რომ ს. ჩათრეულ იქნა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში მოწმის, მილიციის თანამშრომლის ტ.-ს პროვოკაციულ ქმედებათა მეშვეობით.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გააუქმა საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების გადაწყვეტილება, რადგანაც ტ.-ს მონაწილეობით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებას საფუძვლად დაედო წერილი, რომელიც ს.-ს გადასცა საპატიმროდან მისმა თანამცხოვრებმა[158].

საკონტროლო შესყიდვის ჩატარება შეიცავს ერთგვარ "მიწვევას კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩასადენად". მიუხედავად ამისა, საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისას დაუშვებელია პირის დაყოლიება ან წაქეზება კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩასადენად.

---

158 Обзор судебной практики Верховного Суда РФ за 4 кв. 2000 г. Определение N 69-Д01 ПР-1.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ინფორმაციის მისაღებად აშშ-ს, გფრ-ის და სხვა ქვეყნების პოლიცია იყენებს სხვადასხვა ოფიციალურ საფარველს. ესაა ნაირგვარი მაღაზია-სატყუარები, ბიუროები, პირადი ფირმები. მაგალითად, ნარკოტიკების მწარმოებელი დანაშაულებრივი ლაბორატორიების გამოსააშკარავებლად გამოიყენება მაღაზია-სატყუარები.

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ნარკომანიასთან ბრძოლის ადმინისტრაცია თავის ხარჯზე ყიდულობს ქიმიური რეაქტივებისა და ლაბორატორიის მოწყობილობის მაღაზიას. იქ ფარული ვიდეო- და ხმის ჩამწერი საშუალებებით ფიქსირდება ყველა მყიდველი. შეძენილი საგნებისა და რეაქტივების ჩამონათვალის მიხედვით, ადგენენ ნარკოტიკების მწარმოებლებს. მაღაზიის შენობიდანვე მათზე წესდება ფარული თვალთვალი. მაღაზია თავაზობს ინჟინერ-ქიმიკოსის მომსახურებას, რომლის როლსაც ასრულებს ნარკომანიასთან ბრძოლის ადმინისტრაციის თანამშრომელი. მას შემდეგ, რაც "ქიმიკოსი" გამართავს წარმოებას და გამოუშვებს ნარკოტიკების პირველ პარტიას, ის იძლევა სიგნალს და ლაბორატორიას პოლიცია აკავებს. მიმაჩნია, რომ საქართველოში ასეთი ოფიციალური საფარველის გამოყენება დასაშვები იქნებოდა, რამეთუ ეს არ წარმოადგენს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაზე დაყოლიებას ან წაქეზებას.

საკონტროლო შესყიდვას შეიძლება წინ უსწრებდეს ოპერატიული დანერგვა, კონტროლირებადი მიწოდება და სხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა მომზადება და განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს მათი ჩატარების მარეგლამენტირებელ კანონიერ და საუწყებო ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოპერაციის მომზადების ეტაპზე ყურადღება დაეთმოს, ერთი მხრივ, სამართალდამცავი ორგანოებისაგან უკანონო ქმედებების პროვოცირების, მეორე მხრივ კი - ჩასატარებელი ღონისძიების გაშიფვრის არდაშვების ზომებს[159].

---

159 Михайлов В.И. Противодействие легализации доходов от преступной деятельности: правовое регулирование, уголовная ответственность, оперативно-розыскные мероприятия и международное сотрудничество. СПб.: Юридический центр Пресс, 2002. С. 158.

ნარკოტიკების გასაღების პროვოკაციის ელემენტები შეიმჩნევა სისხლის სამართლის საქმეში მ.-ის მიმართ. ქალაქ პერვოურალსკში მილიციის თანამშრომლები ატარებდნენ რეიდს ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონოდ შემძენი პირების გამოსავლენად. მათთვის ცნობილი იყო, რომ მ. ნარკოტიკებს იღებდა და მას შეიძლება თან ჰქონებოდა ნარკოტიკული საშუალებები. იმ დღეს მან მართლა შეიძინა ჰეროინი პირადი მოხმარებისათვის, ამ ნივთიერების ნაწილი გამოიყენა ვენის შიგნით და იმყოფებოდა ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში. მილიციის თანამშრომლებმა შესამოწმებელი შესყიდვის აქტის გარეშე დაიყოლიეს მ.და მან მიჰყიდა მათ დარჩენილი ნარკოტიკი 0,3 გ ოდენობით. მ.-ს წაუყენეს ბრალდება ნარკოტიკების შენახვასა და გასაღებაში[160].

გამსაღებლების გამოსავლენად ოპერატიული მუშაკები ძალიან იშვიათად ახორციელებენ ნარკოტიკების რამდენიმე საკონტროლო შესყიდვას. არ ტარდება ეგრეთწოდებული ნდობის შესყიდვები, იფარგლებიან მხოლოდ ერთი შესამოწმებელი შესყიდვით. ეს საკმარისია, როცა ხდება ნარკოტიკების "სუფთა გასაღება" შუამავლების გარეშე. თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვაჩვენებს, რომ ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს "გასაღებაში შუამავლობის" "შეძენაში შუამავლობისაგან" გამიჯვნის საკითხები. საშუალო ბითუმად მოვაჭრეები და სხვადასხვა ვაჭრებიც კი სულ უფრო ხშირად თავს არიდებენ ნარკოტიკების უშუალო გამსაღებლის ფუნქციების შესრულებას. ისინი იყენებენ "მორბენალ შუამავლებს", რომლებიც ასრულებენ ნარკოტიკების რეალიზაციის თანაშემსრულებლების ფუნქციებს. ამასთან, ნარკოტიკებს ასაღებენ ნარკომანების შეზღუდულ წრეში.

შეიძლება გამოვყოთ 'შუამავალთა" ორი კატეგორია: შუამავლები-ნარკომანები, რომლებიც მყიდველებს და გამსაღებლებს დახმარებას უწევენ "დოზის" ან ფულისათვის, შეძენის შუამავლები.

სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ შუამავალ გამსაღებლებს სასჯელს ადებენ, როგორც პირებს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს ნარკოტიკების შეძენაში (შეძენის თანაშემსრულებლები),

---

160 **Курченко В. Ограничение провокации от действий при пресечении преступлений -http://lawmix.ru/comm**

"და მათ არ აღიარებენ გასაღების თანაშემსრულებლებად.

"გასაღების შუამავლის" წინასწარ მორიგებას ადგილი აქვს არა გამსაღებელთან, არამედ ნარკოტიკების მყიდველთან, ამიტომ ასეთი მორიგება არ შეიძლება იქნას განხილული, როგორც ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნიშანი.

მაგრამ უფრო ადრე შეიძლება იყოს მორიგება გამსაღებელსა და შუამავალს შორის ნარკოტიკების გასაღებაში მომსახურების გაწევის შესახებ. ზოგჯერ ეს ჩანს გასაღების შუამავლის მოქმედების ხასიათიდან. მაგალითად, მყიდველმა მიმართა ლ.-ს და გადასცა მას 500 რუბლი ჰეროინის საფასურად. ლ. თავისი ავტომანქანით ეკატერინბურგიდან მიემგზავრება ქალაქ არამილში. ქალაქთან არმისული ლ-ის ავტომანქანა გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ მასთან მივიდა ორი ბოშა ქალი, რომლებმაც მას გადასცეს ნარკოტიკი. ლ. ეკატერინბურგში დაბრუნდა, სადაც მყიდველს გადასცა 0,32 გ ჰეროინი. ლ. მხოლოდ გარეგნულად გამოიყურება, როგორც შუამავალი ნარკოტიკების შეძენაში.[161]

განსასჯელები ყველაზე ხშირად წარმოადგენენ თავიანთ მოქმედებას, როგორც მყიდველისათვის ერთჯერადი დახმარების აღმოჩენას ნარკოტიკების შეძენაში. ამავე დროს შუამავალთა მოქმედების ხასიათი არცთუ იშვიათად მოწმობს ნარკოტიკების შენიღბულ გასაღებას. მაგრამ შუამავლები უარყოფენ გასაღებაში მინაწილეობას, აცხადებენ ნარკოტიკების შეძენაში მხოლოდ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნარკოტიკების შეძენაში შუამავალ-თანაშემსრულებლისათვის დამახასიათებელია ის, რომ ანაზღაურებას ასეთი შუამავალი იღებს ნარკოტიკების მყიდველის და არა გამყიდველის, ნარკოტიკების გამსაღებლისაგან.

დაბოლოს, მოვიყვანთ საინტერესო მასალას სტრასბურგის სასამართლოდან. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის გამოსავლენად ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ორი პოლიციელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების პოლიციიდან, რომლებიც მსახურობდნენ ფამილიასაუს პოლიციის განყოფილებაში, რამდენჯერმე მივიდნენ მოქალაქე ვ.

---

161 Курченко В. Отграничение провокации от действий при пресечении преступлений -http://lawmix.ru/comm.

ს.- თან, რომელიც ეჭვმიტანილი იყო იმაში, რომ ახორციელებდა მცირე პარტიებად ნარკოტიკების გადაზიდვას — იმისათვის, რომ მისთვის გადაეხადათ ფული ნარკოტიკების — ძირითადად ჰაშიშის — საკუთარი მოხმარებისათვის. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ვ. ს. — ის საშუალებით შეძლებდნენ მის მიმწოდებელზე გასვლას. პოლიციელებმა სთხოვეს მას შეეძინა მათთვის რადენიმე გრამი ჰაშიში. არ იცოდა რა, რომ ეს პოლიციელები იყვნენ, ვ. ს. დათანხმდა მოენახა ასეთი პარტიის გამყიდველი. მაგრამ, მიუხედავად პოლიციელების დაჟინებული თხოვნისა, მან ამის გაკეთება ვერ შესძლო.

1992 წლის 30 დეკემბერს, დაახლოებით შუაღამისას ორმა პოლიციელმა ვ. ს.-ს სახლში მიაკითხეს და უთხრეს, რომ ამჯერად მათ ჰეროინის შეძენა სურთ. ვ. ს. - მა ახსენა ფრანსიშკუ ტეიშეირა დე კასტროს სახელი, უთხრა, რომ შეიძლება ის შეძლებს მცირე რაოდენობის ნარკოტიკების შოვნას; მაგრამ მან დასახელებული პირის მისამართი არ იცოდა და შესთავაზა გაეგოთ ის ფ. ო. — საგან. ოთხივე სავარაუდო მყიდველების ავტომანქანით გაემართნენ მოსარჩელის სახლისაკენ. მოსარჩელე გამოვიდა ქუჩაში ფ. ო. — ს თხოვნით და ჩაჯდა ავტომანქანაში, სადაც მას ორი პოლიციელი და ვ. ს. ელოდნენ. პოლიციელებმა განაცხადეს, რომ სურთ შეიძინონ 20 გრამი ჰეროინი 200 ათას ესკუდოდ და უჩვენეს მას პორტუგალიის ბანკის დაკეცილი ბანკნოტები.

ბ-ნი ფრანსიშკუ ტეიშეირა დე კასტრო დათანხმდა მოეტანა ჰეროინი. ფ. ო. — ს თანხლებით იგი საკუთარი ავტომანქანით წავიდა სხვა პირის — ჟ. პ. ო. — ს ბინაზე, რომელმაც სხვა პირისაგან შეიძინა სამი პაკეტი ჰეროინი, აქედან ერთი ათგრამიანი, ხოლო ორი დანარჩენი — ხუთ-ხუთი გრამი, გადასცა ისინი მოსარჩლეს და მისგან მიიღო ფული, რომლის ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა, მაგრამ უტყუარადაა დადგენილი, რომ თანხა 100 ათას ესკუდოზე მეტი იყო.

შემდეგ მოსარჩლემ ნარკოტიკი ვ. ს. — თან სახლში მიიტანა. ამ დროს ვ. ს. სახლში დაბრუნდა, სადაც გარეთ მას ორი პოლიციელი ელოდა. გარიგება სახლში უნდა მომხდარიყო. ვ. ს. —ის მიწვევით, პოლიციელები სახლში შევიდნენ; შემდეგ მოსარჩლემ ჯიბიდან ერთ-ერთი პაკეტი ამოიღო და ამ დროს პოლიციელებმა მოსარჩლე, ვ. ს. და ფ. ო. დააპატიმრეს, ეს მოხდა დაახლოებით

ღამის ორ საათზე. პოლიციელებმა სამივე გაჩხრიკეს და მოსარჩლეს აღმოუჩინეს კიდევ ორი პაკეტი ჰეროინით, 43 ათასი ესკუდო და ოქროს სამაჯური.

1994 წლის 5 მაისის დადგენილებით პორტუგალიის უზენაესმა სასამართლომ უარყო საჩივარი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის განაჩენი, მიუთითა, რომ: "განსახილველ საქმეში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების პოლიციის თანამშრომლები განსაკუთრებით დაჟინებული იყვნენ მანამდე, ვიდრე ისინი არ წარუდგინეს ბ-ნ ფრანსიშკუ ტეიშეირა დე კასტროს. მაგრამ ასეთი ქცევა მითითებულ პირობებში ბუნებრივია. პოლიციელებმა იცოდნენ, რომ ვ. ს. ნარკოტიკებს მოიხმარდა და განზრახული ჰქონდათ იმ პირის გამოვლენა, რომელიც მას ნარკოტიკებით ამარაგებდა. რადგანაც ჰაშიშის შოვნის შესაძლებლობა არ იყო, შეეცადნენ ჰეროინი შეეძინათ და ისინი წარუდგინეს ფრანშისკუ ტეიშეირა დე კასტროს, რომელმაც თანხმობა განაცხადა მათ ცრუ წინადადებაზე, რადგანაც განზრახული ჰქონდა, ამ გარიგებიდან სარგებელი მიეღო და ამისათვის გამოეყენებინა ჩვენი დროის ერთ-ერთი უბედურება.

ამრიგად პოლიციის თანამშრომლების მოქმედება გამართლებულია, რადგანაც მათ დააკავეს განმცხადებელი, რომელსაც უკვე ჰქონდა ნარკოტიკების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

უფრო მეტიც, იმის გამო, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების პოლიციის თანამშრომლები ფ-უს უბნიდან, მოქმედებდნენ, როგორც გამომძიებლები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 1) მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, რაც გულისხმობს დანაშაულთა შესახებ ინფორმაციის მიღების, დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა გამოვლენის და მტკიცებულებათა მისაღებად საჭირო სხვა ზომების მიღების უფლებას ზემდგომი ორგანოსადმი მიმართვის გარეშე (სსკ 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

პოლიციელები ახორციელებენ საგამოძიებო მოქმედებებს, როგორც სასამართლოს რწმუნებულები, მაგრამ ეს მათ არ უქმნის წინააღმდეგობას იმაში, რომ კანონის მიერ მკაცრად დათქმულ შემთხვევებში მიიღონ სხვა ზომები, რომლებიც სცდება მათდამი მინიჭებული უფლებამოსილებების ჩარჩოებს. თავის ბრალდებაში პროკურორმა მიუთითა, რომ სუპ-ის თანამშრომლები მოქმე-

დებდნენ კანონის შესაბამისად და მათ ქმედებას არ მივყავართ მიღებული მტკიცებულებების დაუშვებლობასთან.

ზემოთ მითითებულ გარემოებათა გამო ფრანსიშკუ ტეიშეირა დე კასტროს სააპელაციო საჩივარი წარმოადგენს მთლიანად დაუსაბუთებელს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლო უარყოფს საჩივარს და ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ განაჩენს.

ფ. კასტრომ საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში, რომელმაც გადაწყვიტა, რომ პოლიციელები მოქმედებდნენ, როგორც "აგენტი-პროვოკატორები", კერძოდ, იმიტომ, რომ ისინი არ ახორციელებდნენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღმკვეთ ოპერაციას სასამართლოს ბრძანების საფუძველზე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, საიდუმლო აგენტების გამოყენება უნდა იყოს შეზღუდული და უნდა არსებობდეს ადამიანის უფლებათა გარანტია იმ შემთხვევებშიც კი, როცა ლაპარაკია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაზე — საჯარო ინტერესებით არ შეიძლება პროვოკაციების გამართლება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

საქმეში, რომელსაც სასამართლო განიხილავს, არ არის ცნობები იმის შესახებ, რომ პოლიციელების მოქმედება წარმოადგენს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საწინააღმდეგო აქციაში მათი მონაწილეობის ნაწილს, რომელიც სანქცირებული იყო და მიმდინარეობდა მოსამართლის კონტროლის ქვეშ — სამართალდამცავ ორგანოებს არ ჰქონდათ ეჭვის საფუძვლი, რომ განმცხადებელი არის ნარკოკურიერი — საქმის გარემოებები იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ორი პოლიციელი არ შემოიზღუდა პირთა არამართლზომიერ ქმედებათა ჩვეულებრივი გამოძიებით (in an essentially passive manner), არამედ განახორციელეს დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი ქმედებები. პოლიციელების მოქმედება სცილდება საიდუმლო აგენტების მოქმედებათა ფარგლებს — მათი ჩარევა და სადაო პროცესუალური მოქმედებების გამოყენება მოწმობს, რომ განმცხადებელი ცხადად მოკლებული იყო სამართლიანი სასამართლო გარჩევის უფლებას.

ევროპული სასამართლოს მოსამართლე ბუტკევიჩმა გამოთ-

ქვა ცალკე აზრი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას განხილული. როგორც ის წერდა, სამწუხაროდ, მე არ შემიძლია დავეთანხმო სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას. ვიზიარებ შიშს, რომ პოლიციის არასანქცირებულ, საუკეთესო განზრახვითაც კი განხორციელებულ ქმედებას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანის უფლებებს. მაგრამ თუ ვინმე მოისურვებს დაუპირისპიროს ცალკეული ადამიანის უფლებები და თავისუფლება მთლიანად საზოგადოების უფლებებსა და თავისუფლებას, არჩევანი უნდა გაკეთდეს პირველის სასარგებლოდ. მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი უფლება და თავისუფლება არ შეიძლება იქნას განხილული იზოლირებულად იმიტომ, რომ ეს არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, არსებობს არჩევანის პრობლემა პიროვნების განუსაზღვრელ უფლებებსა და ასეთი უფლებების შეზღუდვას შორის საზოგადოების სხვა წევრთა უფლებების დაცვის მიზნით.

ამიტომ საჭიროა ვიყოთ უკიდურესად ყურადღებით, რომ დავიცვათ ეს ფაქიზი წახნაგი, როცა ლაპარაკია საზოგადოების უსაფრთხოებისათვის საშიშ სერიოზულ დანაშაულზე, ისეთებზე, როგორიცაა: ადამიანის ორგანოების ძალადობრივი ტრანსპლანტაცია, ადამიანებით ვაჭრობა, მეძავეობის იძულება, ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტებით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ იცოდა, რომ ის დანაშაულს ჩადიოდა. ის ფაქტი, რომ მან არ იცოდა, რომ ჰეროინის მყიდველები იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, საქმის არსს არ ცვლის. არგუმენტი, რომ "საიდუმლო აგენტები" მოქმედებდნენ როგორც "აგენტი-პროვოკატორები", ინტერ ალია, მოცემულ საქმეში არადამაჯერებლად ჟღერს. დოკუმენტებში არსებული დამოწმება, როცა საქმე იხილებოდა პორტუგალიის სასამართლო ორგანოებში, იმის შესახებ, რომ "მათ რომ ემოქმედათ, როგორც "აგენტ-პროვოკატორებს", მაშინაც კი ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ნამდვილად ასეთებს წარმოადგენდნენ. ნებისმიერ სახელმწიფოში პიროვნებამ, რომელიც ჰყიდის ნარკოტიკს შესაბამისი ნებართვის გარეშე, იცის ან ვალდებულია იცოდეს, რომ მის ქმედებას შეუძლია დააზიანოს სხვა ადამიანი. უფრო მეტიც, მისთვის ძნელი არაა "პროვოკატორი" უწოდოს სხვა ადამიანს და ეს გამოიყენოს თავის დაცვის ერთ-ერთ არ-

გუმენტად. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ასეთ შემთხვევებში "საიდუმლო აგენტების" გამოყენება ნებადართულია.

ჩემი აზრით, აღნიშნავს მოსამართლე, დოკუმენტებში, რომლებზეც აგებულია ნაციონალური სასამართლოების გადაწყვეტილებები, არ გვაცბუნებს ის ფაქტი, რომ ისინი ეფუძნებიან პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებებს. მე ვეთანხმები კომისიის მიერ გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს, მაგრამ არ შემიძლია მხარი დავუჭირო ამ გადაწყვეტილებათა დასაბუთებას ჩემი შინაგანი რწმენის გამო.

§2 ბრალეულობა დანაშაულის პროვოკაციის დროს

დანაშაულის პროვოკაციის მესამე ნიშანია ბრალი. ამ ნიშნის გარკვევისას უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ბრალის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს სისხლის სამართლი დოქტრინის თანახმად:

ბრალი, როგორც აღნიშნავს მ. ტურავა, არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია (უარყოფილია ბრალის ფსიქოლოგიური თეორია). ამას ადასტურებს ის, რომ ახალი კოდექსის მეცხრე თავი ეძღვნება ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.[162]

ბრალი არის ბრალდებულის (განსასჯელის) გაკიცხვა ჩადენილი უმართლობის გამო. გაკიცხვა, ამ შემთხვევაში უმართლობის უარყოფითი შეფასება ხდება ინდივიდუალურ, პერსონალურ დონეზე მაშინ, როცა უმართლობა ობიექტური, არაპერსონალური შეფასებაა;

სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შეფასება ორსაფეხურიანია, ორ საფეხურად მიმდინარეობს. ჯერ ფასდება ქმედება ობიექტური სამართლის მიხედვით, იმის დასადგენად, ეწინააღმდეგება თუ არა ის მოქმედ სამართალს, ესე იგი არის თუ არა ის მართლსაწინააღმდეგო. შემდეგ ფასდება უმართლობა

162 იხ. ტურავა მ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომც. "ბონა კაუზა" თბ. 2008. გვ. 86.

პერსონალურ დონეზე ბრალის დასადგენად.[163]

დანაშაულის პროვოკაცია ხორციელდება პირდაპირი განზრახვით. ამიტომ აქ უნდა გავითვალისწინოთ ნორმატიული თეორიის შემდეგი დებულება: "განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ის შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც, კეთილიც და ბოროტიც (dolus malus). ამიტომ მას შეფასება სჭირდება. განზრახვას, როგორც წმინდა ფსიქოლოგიურ კატეგორიას, რომელიც ქმედების ელემენტია, შეფასება სჭირდება და ეს შეფასება უნდა მოხდეს ბრალის დადგენის დროს."[164]

როცა უმართლობას დაადგენს, სასამართლო იწყებს ამ უმართლობის ბრალად შერაცხვას მისი ჩამდენისადმი, თუკი, რასაკვირველია, არ არის ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. შერაცხვის დროს მხედველობაშია მისაღები: 1) ჩადენილი უმართლობის ხარისხი, 2) ბრალის ხარისხი. ამის მიხედვით შერაცხვა შეიძლება იყოს: 1) სრული, 2) გაძლიერებული ან 3) შემცირებული. შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრა ამ გრადაციაზეა დამოკიდებული. უმართლობის ბრალად შერაცხვას წინ უნდა უძღოდეს მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენა, ესე იგი იმის დადგენა, იცოდა თუ არა განსასჯელმა, რომ ჩაიდინა აკრძალული ქმედება, დაარღვია აკრძალვა".[165]

სრული შერაცხვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩადენილი უმართლობის ხარისხი. ამისათვის აუცილებელია, დადგინდეს განზრახვა, რაც უმართლობის სრული შერაცხვის შესაძლებლობას ქმნის. მაგ., არაერთგზისი უფრო მეტი ხარისხის უმართლობაა, ვიდრე მითვისების ერთი აქტი. არაერთგზისობის დროს იზრდება ბრალის ხარისხიც. ის უფრო მეტად გასაკიცხია, ვიდრე ერთი მითვისების აქტი, თუ რომელიმე სხვა გარემოება არ ამძიმებს, ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას.

ზოგჯერ ჩადენილი უმართლობა დამნაშავეს შეიძლება გაძლიერებულად ან შემცირებულად (შეზღუდულად) შეერაცხოს, ესე იგი, მისი ბრალის ხარისხი მეტი ან ნაკლები იყოს ისე, რომ ეს

163 იხ. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბ. 2005. გვ. 85-86

164 იხ. იქვე, გვ. 86-87.

165 იხ.იქვე, გვ. 87.

მეტნაკლებობა ბრალისა არ იყოს დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე[166]. მაგალითად, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ბრალის ხარისხი ნაკლებია, ვიდრე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია.

სანამ უშუალოდ შევეხებით დანაშაულის პროვოკაციის ბრალეულობას, განვიხილოთ ზოგადად ბრალის საკითხის მდგომარეობა ქართულ ლიტერატურაში[167].

როგორც ცნობილია, თ. წერეთელი არ ეთანხმებოდა ნ. დურმანოვის აზრს, რომლის მიხედვითაც მართლწინააღმდეგობა წარმოუდგენელია ბრალის გარეშე. შემდეგ იმავე მიზეზით უარყოფილი იყო ვ. კუდრიავცევის შეხედულებაც, რომ ბრალი შეიძლება არ ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობის ცნების აუცილებელ ელემენტად მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი ცნობს პასუხისმგებლობას ბრალის გარეშეც.

თ. წერეთელის არგუმენტაციის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეიძლება ჩადენილ იქნას განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, ე.ი. ბრალის გარეშე და ასეთ შემთხვევაში იგი პასუხისმგებლობას არ იწვევს. ქმედობა შეიძლება არ იყოს ბრალეული და, მიუხედავად ამისა, იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო. როგორც აღნიშნავს ო.გამყრელიძე, თ. წერეთელი სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ ბრალი უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ცნების სპეციალურ, მართლწინააღმდეგობისაგან დამოუკიდებელ ნიშანს.

ლ. კუტალიას აზრით, მართლწინააღმდეგობის ზოგადსამართლებრივი და მათ შორის სისხლისსამართლებრივი ფორმულა უნდა განისაზღვროს როგორც "(სხვისი) უფლების დარღვევა", ბრალისა,–როგორც "(საკუთარი) მოვალეობის შეუსრულებლობა". როგორც ავტორი აღნიშნავს, სისხლის სამართლის კანონი აწესებს ბრალის გამორიცხვის სამ პირობას: შეურაცხადობას კა-

166იხ. იქვე, გვ. 88.

167 იხ.: ლ.კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 425

ნონით დადგენილი ასაკის მიუღწევლობის გამო, შეურაცხადობას ფსიქიკური დაავადების საფუძველზე და სუბიექტურ შეცდომას. მაგრამ ყველა ეს შემთხვევა იმთავითვე ცხადყობს, რომ ბრალის გამორიცხვით ვერ უარიყოფა სისხლისსამართლებრივად დაცული უფლების დარღვევის ფაქტი.

თუ გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა ჩადენილია ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ, ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს დაზარალებული სინამდვილეში მკვდარი არ არის. მას ვერ აღვუდგენთ დარღვეულ სიცოცხლის უფლებას ვერც სუბიექტური შეცდომის ან სუბიექტის მცირეწლოვანების დადგენით.

ამავე დროს, არც ერთი ამ სამივე სუბიექტთაგანი, სჩადის რა მკვლელობას, მკვლელობის ჩაუდენლობის სისხლისამართლებრივ მოვალეობას, არ არღვევს, რამეთუ პირველ ორს სისხლისსამართლებრივი მოვალეობები არ ეკისრება საერთოდ, ხოლო მესამეს თუმც ეკისრება, მაგრამ შეგნებული არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რომ მისი კონკრეტული ქმედება მოვალეობის საწინააღმდეგოა.

ამიტომ მართლწინააღმდეგობა, როგორც სხვისი უფლების დარღვევა, სავსებით შეიძლება არსებობდეს ბრალის, როგორც საკუთარი მოვალეობის დარღვევის არსებობის დროსაც.

გარდა ამისა, როგორც აღნიშნავს ზემოთ მოყვანილი ავტორი, გასათვალისწინებელია სხვა არანაკლებ რელევანტური გარემოება. თუ სხვისი უფლების დარღვევა საკუთარი მოვალეობის დაურღვევლადაც დაიშვება, მოვალეობის დარღვევა სისხლისსამართლებლივად ყოველთვის გულისხმობს სხვათა სამართლებლივი სიკეთის ხელყოფას.

ამრიგად, როგორც აღნიშნულია, თ. წერეთლის მიერ ციტირებული ავტორები ბრალისა და მართლწინააღმდეგობის ერთიან ნიშნად კონბინირებას მოითხოვენ, საუბარი უნდა იყოს მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ბრალის მატერიალურ დანამატზე და არა ბრალზე, ე.ი. ამ ორი ნიშნის გაერთიანების სურვილით შეპყრობილ ფსიქოლოგიურ მოძღვრებას უკეთეს შემთხვევაში შეეძლო ბრალში მართლწინააღმდეგობის ინტეგრირება და არა პირიქით.

ამასთან, როგორც აღნიშნავს ლ. კუტალია, თ. წერეთელი

გაუმართლებლად მიიჩნევს ბრალის შეტანას საზოგადოებრივ საშიშროებაშიც, რომელიც, ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების მიხედვით, დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანია. თ. წერეთლის მტკიცებით, ბრალი ერთდროულად ვერ იქნება საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტიც და მისდამი ფსიქიკური დამოკიდებულებაც იმდენად, რამდენადაც ბრალი, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი, თავადვე გახდება ფსიქიკური დამოკიდებულების ობიექტი. ამის გარკვეულ ანალოგიას წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემომოტანილი სილოგიზმი, სადაც ბრალი უარყოფილია როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივი ქმედებისადმი.

საკითხის ანალიზის შედეგად ლ.კუტალია ასკვნის: ვეთანხმებით რა თ. წერეთლის შეხედულებებს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობისგან ბრალის გამიჯვნის შესახებ, ჩვენთვის მიუღებელია მისი პოზიცია დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის ურთიერთობის თვალსაზრისით. თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს მითითებებს აგრეთვე ნიშნებზე, რომლებიც სუბიექტურ მხარეს ახასიათებენ. შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს მიეკუთნება, პირველ ყოვლისა, ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ბრალს და მის ფორმებს – ე.ი. განზრახვასა და გაუფრთხილებლობას.[168]

დანაშაულის შემადგენლობაში სუბიექტური მომენტის შეტანა თავის დროზე ნორმატივიზმის წარმომადგენლებმაც სცადეს. კ. ბინდინგის დანაშაულის ორნიშნა ცნებაში დანაშაულის შემადგენლობა დაყოფილია ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებად, რომელთაგან პირველი ამომწურავად მოიცავს ბრალის ფარგლებიდან გატანილ ნებას (თვით ბრალი კ. ბინდინგთან მხოლოდ სისხლისსამართლებლივი ქმედუნარიანობაა – strafrechtliche Handlungsfähigkeit).

დანაშაულის შემადგენლობის ბინდინგისეულ სტრუქტურას უმნიშვნელო ცვლილებებით განავრცობენ ი. ნაგლერი და ფ. ალფერდი.

ფინალისტი რ. მაურახი კი კ. ბინდინგის "ობიექტური შემად-

168 ლ.კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 428

გენლობისაგან" დამოუკიდებლად აყალიბებს თავის ე.წ. "ნებით განსაზღვრულ დანაშაულის შემადგენლობას" („willensgetragener Tatbestand"). ბევრად უფრო ვრცელ განვითარებას პოვებს.

მაგრამ ეს მიმდინარეობები დანაშაულის შემადგენლობის მხოლოდ ზომიერი სუბიექტურობაა იმასთან შედარებით, რასაც ა. პიონტკოვსკი და მასთან ერთად ბრალის ფსიქოლოგიური სწავლება გვთავაზობს. რა დროსაც კ. ბინდინგს და რ. მაურახს დანაშაულის შემადგენლობაში ბრალის თუმც მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ნაწილი შეაქვთ, ა. პიონტკოვსკი საკითხს მაქსიმალურად უდგება და ბრალს ერთიანად განაკუთვნებს დანაშაულის შემადგენლობას.

ა. პიონტკოვსკისთან დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურად წოდებული ნახევარი სრულყოფილად მოიცავს ბრალის ფორმას ანუ განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობას, მოტივებს, მიზნებს და ამგვარად უპირისპირდება დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, რომელიც საკუთრივ ქმედებისა და მისი შემადგენლობისაგან არის შემდგარი. თ. წერეთლის ზემოწარმოდგენილი მოსაზრებაც ამის ინერციული გაგრძელებაა.

ლ.კუტალია არ ეთანხმება არა მხოლოდ ფსიქოლოგიზმის რადიკალურ ტენდენციას, არამედ მცდარად თვლის დანაშაულის შემადგენლობაში ბრალის ყველაზე უმნიშვნელო გამოვლინებასაც. მისი აზრით, ჩვენში უკვე მყარად იკიდებს ფეხს ე. ბელინგის მიერ შემუშავებული დანაშაულის სამნიშნა ცნება და აქედან გამომდინარე ბრალის სრული დამოუკიდებლობა დანაშაულის შემადგენლობისაგან. ამასთანავე, როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, ჩვენ არასწორად გვესმის მისი წარმატების ძირითადი მიზეზი, როდესაც ასეთად ე. ბელინგის თეორიის განსაკუთრებულ პრაქტიკულობას წარმოვიდგენთ. ა. კაუფმანი მართებულად შენიშნავს, რომ, თუ მოძღვრება ლოგიკურად გამართულია, მას შეუძლია არ იზრუნოს თავის ვარგისობაზე, რადგან, როგორც ამას ჯერ კიდევ არისტოტელე იუწყოდა, არაფერია იმაზე უფრო პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია. ე.ბელინგს ჩინებულად გაეგება, რომ ბრალი არ შეიძლება მოიცავდეს ურთიერთგამომრიცხავ შინაარს სისტემატიკასა და დოგმატიკაში. თუ დოგმატიკურად ნება ბრალის ნიშანია, ის სისტემატიკურადაც ბრალის ნიშნადვე უნდა დარჩეს, რისი აუცილებლობა სისხლის სამართლის ლიტე-

რატურაში ნაკლებად არის გათავისებული.

ბრალის ცნების დოგმატიკურ და სისტემატიკურ ასპექტთა არაკოლიზიურობა, ბრალის სუბიექტური ბუნების აბსოლიტურობა ანუ შინაარსობრივად მისი დისტანცირება ყოველივე ობიექტურისაგან – ეს არის ე. ბელინგის თეორიის ქვაკუთხედი! მისი (დანაშაულის სამნიშნა ცნების) პრაგმატული ხასიათი კი ამ თეორიული სიზუსტის შემთხვევითი შედეგია. ე. ბელინგის კონცეფცია ზოგ ნაკლოვანებასაც შეიცავს, მაგრამ განსახილველ საკითხთან მათ მცირე რამ აქვთ საერთო.

გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კლასიკური სქემის დადებითად წარმოჩენა დამაკმაყოფილებლად მეტყველებს იმაზე, თუ რატომ არ ვეთანხმებით თ. წერეთლის შეხედულებას დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის კორელაციის თვალსაზრისით.

ამასთან, გამოთქმულია აზრი, რომ ბრალთან მიმართებაში მესამე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი თ. წერეთლის მიერ ბრალის ფსიქოლოგიური ცნების უარყოფაა. უფრო ზუსტად, ის ესწრაფვის ბრალის ფსიქოლოგიურ და ნორმატივისტულ ცნებათა უნიფიცირებას. მაგრამ ფსიქიკური დამოკიდებულებისადმი გასაკიცხაობის დართვა თ. წერეთელთან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. ერთგან ბრალი განიხილება როგორც "ეთიკურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება", ხოლო სხვაგან, სადაც განხილვის საგანია დანაშაულისა და ბრალის ცნებებისადმი გასაკიცხაობის მიმართება, თ. წერეთელი წერს, რომ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში როგორც დაუმთავრებელი ნიშნის – ქმედების მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის შეტანა ზედმეტია, ვინაიდან ეს მომენტი უკვე მოცემულია ბრალის ნიშანთან ერთად. ბრალი ეს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედებასთან და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას საზოგადოების მხრივ. ამიტომ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის ნიშნის შეტანა იქნებოდა იმის აღიარება, თითქოს დანაშაულის სხვა ნიშნებში ეს მომენტი მოცემული არ არის. არის თუ არა ეთიკური, ზნეობრივი და ზნეობრივ-პოლიტიკური გაკიცხვა ერთგვაროვანი

შინაარსის მომცველი ცნებები?[169]

ეთიკა ზოგადად შეიძლება განიმარტოს როგორც სწავლება ან მეცნიერება ზნეობრივზე, რომლის შესწავლის საგანსაც ინდივიდთა მორალური შეგნება და ქცევა შეადგენს. ამასთან, ეთიკა ფილოსოფიის ფარგლებში არსებული მეცნიერებაა, საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა: თუ ბრალი განისაზღვრა როგორც ეთიკურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება, ამით მივიღებთ ბრალის არა სამართლებლივ, არამედ ეთიკურ-ფსიქოლოგიურ ანუ ფილოსოფიურ-ფსიგოლოგიურ ცნებას. ფსიქოლოგიური და ეთიკური (ფილოსოფიური) მომენტებისაგან ერთობლივად შემდგარი ბრალის ცნება შესაძლოა უფრო ახლოს იყოს ბრალის სისხლისსამართლებლივ ცნებასთან, ვიდრე ბრალის მხოლოდ ფსიქოლოგიური მოდელი, მაგრამ ეს ძნელად თუ მიგვიყვანს ჩვენთვის სასურველ შედეგამდე, რადგან სამართალი არც ფსიქოლოგიაა და არც ფსიქოლოგიისა და ეთიკის (ფილოსოფიის) სქოლასტიკური ერთობა.

ეთიკისა და ზნეობის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიაში ის ორი ურთიერთგამომრიცხავი მიმართულებით ვითარდებოდა.

საბჭოთა თეორეტიკოსები ზნეობისა და ეთიკის სრულ მატერიალურ იდენტურობაზე საუბრობდნენ, რის საპირისპიროდაც თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში ეს ორი თვისებრივად სხვადასხვა სახის ცნებაა.

უკანასკნელი თვალთახედვის თანახმად, ზნეობას ახასიათებს შინაარსობრივი ნაირფეროვნება, წინააღმდეგობრიობა, განუწყვეტლივი ცვალებადობა, ინდივიდუალური და სუბიექტური განსაზღვრულობა, ხოლო ეთიკა წარმოდგენილია როგორც ერთიანი, ყოვლად სახეუცვლელი, თითეულ ეპოქაში და ყოველი ცალკეული ინდივიდის მიმართ მოქმედი იმპერატივების სისტემა; მაშინ როდესაც აქ ეთიკა "შემოქმედი გონის" სფეროს განეკუთვნება, ზნეობა "ცალკეულთა" სუბიექტური ცნობიერებიდან გამომდინარე ცნებაა.

ნ. ჰარტმანი, ცდილობს რა მკაფიოდ გამოკვეთოს მოცემული

---

169 ლ.კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 430

სხვაობა, საუბრობს "ზნეობათა სიმრავლისა" („Vielheit der Moralen") და "ეთიკის ერთიანობის" („Einheit der Ethik") პრინციპზე.

ლ.კუტალიას აზრით, თუ განვავრცობთ ზემოწარმოდგენილი პოზიციათაგან უკანასკნელს, მივიღებთ, რომ ზნეობის პრინციპები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ეთიკის პრინციპებს და მნიშვნელოვნადაც ეწინააღმდეგებოდეს მათ (უფრო მეტიც, ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, რადგან ზნეობის შემთხვევაში საქმე გვაქვს "განუწყვეტლივ ცვალებადობასთან", ეთიკა კი "ყოვლად სახეუცვლელ" ხასიათს ატარებს, ვასკვნით, რომ ეთიკისა და ზნეობის პრინციპები როგორც წესი, უნდა გამორიცხავდნენ ერთმანეთს).

აქედან გამომდინარე, ის, რაც ეთიკურად გასაკიცხია, შესაძლებელია იმავდროულად სულაც არ იყოს ზნეობრივად გასაკიცხი და პირიქით. იმის გარკვევა, თუ რომელი პოზიცია შეიძლება იყოს უპირატესად მისაღები, უეჭველად რთული თეორიული ამოცანაა, რადგან ორივე შემთხვევაში სახეზეა საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტთა მთელი რიგი. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რა მიმართებაშია პრობლემის ამგვარი მდგომარეობა თ. წერეთლის განსახილველ შეხედულებასთან. ვინაიდან თ. წერეთელი ფსიქიკური დამოკიდებულების ეთიკურ გასაკიცხაობას ფსიქიკური დამოკიდებულების ზნეობრივი გასაკიცხაობის პარალელურ ცნებად მოიხსენიებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ერთიანად იზიარებს აქ წარმოდგენილ პირველ თვალთახედვას და ეს სავსებით გასაგებიც არის.

მაგრამ შეიძლება კი ასევე გასაგებად იმ ნორმატივისტთა (კლასიკური ნორმატივიზმის წარმომადგენლთა) პოზიციაც, რომლებიც მსგავსად თ. წერეთლისა, არ ერიდებიან ეთიკური გასაკიცხაობის გვერდიგვერდ ზნეობრივი გასაკიცხაობის მოხსენიებას? ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ გერმანელი კრიმინალისტები, ეთიკისა და ზნეობის თვალსაზრისით, ხელმძღვანელობენ არა გერმანულ ფილოსოფიაში დამკვიდრებული შესაბამისი კონცეფციით, რომელსაც საფუძვლად კანტის შეხედულებები უდევს და რომელიც თავის განვითარებას მ. შელერთან და ნ. ჰარტმანთან პოვებს, არამედ საბჭოურ ფილოსოფიურ დოქტრინაში მიღებული პრინციპებით! ეს სწორედ რომ ვერავითარ ლოგიკურ ახსნას ვერ ექვემდებარება, რამეთუ ნორმატივისტთა იდეალისტური მსოფ-

მხედველობა შეუძლებელს უნდა ხდიდეს ხსენებული პრინციპებით ხელმძღვანელობას, ასკვნის ო.გამყრელიძე.

რასაკვირველია, წერს აღნიშნული ავტორი, ჩვენ არ გვსურს ვამტკიცოთ, რომ გერმანელი კრიმინალისტები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ გერმანულ ფილოსოფიაში წარმოდგენილ თვალსაზრისს უნდა აღიარებდნენ, მაგრამ როდესაც საქმე შეეხება განსაზღვრული დებულების ამოსავალ პოზიციასთან წინააღმდეგობრივ მიმართებას, ცხადია არჩევანი ამოსავალი პოზიციის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს. ამდენად, ნორმატივიზმის წარმომადგენელთა მიერ ეთიკური გასაკიცხაობისა და ზნეობრივი გასაკიცხაობის პარალელურობის დაშვება სრულ უპერსპექტივობას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ თ. წერეთელთან აქ არანაირ შეუსაბამობას ადგილი არ აქვს.

ქართველ მეცნიერთა თეორიული ანალიზის საგანს წარმოადგენს შემდეგი საკითხი - რა თავისებურებით გამოირჩევა ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან უშვალოდ ზნეობრივი გასაკიცხაობის კომბინირება? თუ ბრალი ზნეობრივად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა, მაშინ ქმედების ბრალეულად ცნობა შეიძლება დაევალოს ნებისმიერ სხვა პიროვნებას, გარდა მოსამართლისა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს და არა საზოგადოებას, ე.ი. სამართალს და არა ზნეობას. სხვა მხრივ, ამ დებულებით ხელოვნურად ვამცირებთ სისხლისამართლებლივი და ზნეობრივი ბრალის ურთიერთგანსხვავების შესაძლებლობასაც. ზნეობრივ რეგულირებას ექვემდებარება არა მხოლოდ სუბიექტის შინაგანი სამყარო, არამედ, მსგავსად სამართლებლივი რეგულირებისა, ქმედებასა და შედეგში გამოხატული სუბიექტური ნებაც. ამის გამო სისხლისსამართლებლივი ბრალი, როგორც ქმედებისა და შედეგისადმი ზნეობრივად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება, მუდამ დაემთხვევა ზნეობრივი ბრალის უკანასკნელ მხარეს ანუ იქცევა ზნეობრივი ბრალის ელემენტად.

თ. წერეთელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისთვის თანამედროვე საზოგადოებაში ზნეობისა და სამართლის პრინციპები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და რადგან ყოველი ზნეობრივად გასაკიცხი ქმედება ამავე დროს სამართლებლივ-პოლიტიკურ გაკიცხვასაც იმსახურებს, თ. წერეთელი დაასკვნის, რომ ზნეობრივი გასაკიცხაობის სინონიმურ ტერმინად შესაძლე-

ბელია ვიხმაროთ ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხაობა. მაგრამ, როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, ყოველივე ამასთან, მას არ მოაქვს იმის არავითარი არგუმენტი, თუ რა განაპირობებს სისხლისსამართლებრივი ბრალის ცნებაში სამართლებრივი ასპექტის მეორადობას. ამ უკანასკნელის მეორადობაში იგულისხმება შედეგი: თ. წერეთელს სამართლებრივი (პოლიტიკური) გასაკიცხაობა შემოაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის განიხილება ზნეობრივ გასაკიცხაობასთან შეთავსებად ცნებად, ე.ი. ამოსავალი მომენტი კვლავაც ზნეობაა.

გარდა ამისა, თ. წერეთელი თავადვე უარყოფს ზნეობისა და სამართლის ზემოხსენებულ მსგავსებას, როდესაც ის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ ქმედება შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს არავითარ სამართლებლივ ნორმას და მიუხედავად ამისა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. ავიღოთ ისეთი ამორალური ქმედებანი, როგორიცაა სისხლის აღრევა, ცხოველთმავლობა, შეგულიანება ან ხელის შეწყობა სრულწლოვანი შერაცხადი პირის თვითმკვლელობისათვის. ეს მძიმე ამორალური ქმედობანი უეჭველად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ მორალს, მაგრამ სოციალისტური საზოგადოება საჭიროდ თვლის ებრძოლოს მათ არა სახელმწიფოებრივი იძულებითი ღონისძიებების, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედების მეშვეობით. ეს საუკეთესო ნიმუშია იმისა, რომ ზნეობრივ და სამართლებლივ პრინციპთა სოციალისტურ სამართალში პროკლამირებული იგივეობა აშკარა უსაფუძვლობაა. ზნეობასა და სამართალს გააჩნიათ რიგი ისეთი თავისებურებებისა, რომლებიც ობიექტურად შეუძლებელს ქმნიან ამ ორი სოციალური ფენომენის ურთიერთშეთავსებას[170].

ციტირებული ავტორი შენიშნავს, რომ ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხაობის დაკავშირება ტრივილალურობა არ იყო. თ. წერეთლამდე ეს არავის არ უხსენებია, მის მეცნიერულ დამუშავებაზე რომ არაფერი ვთქვათ. მიუხედავად იმისა, თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ეს დებულება და თუ რომელი კომპონენტია მასში უპირატესად გამოყოფილი, ფსიქიკური დამოკიდებულების ზნეობრივ-

170 ლ. კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 434

პოლიტიკური გასაკიცხაობა ნიშნავს, რომ ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში შეტანილ იქნა ნორმატიული შეფასების აუცილებლობა.

სწორედ ეს განასხვავებს თ. წერეთლის თვალთახედვას გ. რადბურხის შეხედულებებისაგან და სწორედ ამიტომ შეიძლება ეწოდოს მას ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორია.

მსგავსად თ. წერეთლისა, გ. რადბურხიც მიიჩნევს, რომ ბრალი არ შეიძლება იყოს მარტოოდენ ფსიქიკური დამოკიდებულება, მაგრამ ამის შედეგად ის ბრალს განიხილავს მხოლოდ როგორც ეთიკურად ან ზნეობრივად გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ეთიკურად ან ზნეობრივად გაკიცხვა არის მისი ეთიკური ან ზნეობრივი და არა სამართლებლივ-ნორმატიული შეფასება. რამდენადაც ჭეშმარიტი ნორმატივიზმი გასაკიცხაობაში გაიგება არა ყოველგვარი, არამედ სამართლებლივ-ნორმატიული გასაკიცხაობა, ცხადია, რომ გ.რადბურხის განმარტება არასაკმარისად პასუხობს ნორმატივისტული მოძღვრების უმთავრეს პრინციპს. ამსახად, მისი წარმოდგენა ფსიქოლოგიზმსა და ნორმატივიზმში მოცემულ ძირითად ნიშანთვისებათა კომპლექსურ მთლიანობად დაუშვებელია[171].

თ. წერეთლისა და გ. რადბურხის პოზიციათა სხვაობა ბრალის ფორმებთან დამოკიდებულებაში თვალნათლივ იკვეთება. გ. რადბურხთან გაუფრთხილებლობა ფსიქიკური დამოკიდებულების ნაირსახეობას არ შეადგენს და, ამდენად, ის არც გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა. მის თანახმად, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ განზრახი ბრალი, როდესაც სუბიექტს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი და იცის მის შესახებ. მაშასადამე, აზრთა სხვაობა პირობადადებულია იმით, რომ თ. წერეთელი და გ. რადბურხი სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ არა მხოლოდ გასაკიცხაობის, არამედ ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსსაც.

ლ. კუტალიას აზრით, გვერდი ვერ აექცევა იმ თავიდათავი პრობლემის გარკვევას, თუ რაოდენ ღირებულია სისხლისსამართლებლივად თვით ფსიქიკურ დამოკიდებულებასა და გასაკიცხაობას შორის არსებული ურთიერთობა. დღეს საყოველთაოდ აღიარებენ, რომ ბრალის ფსიქოლოგიური ცნება შეფასებით მო-

171 იქვე, გვ. 435

მენტს მოკლებული ცნებაა; მოცემული მომენტი მხოლოდ ნორმატივიზმის კუთვნილებად ითვლება და ეს უთუოდ მცდარია. ყოველი ინდივიდი მის მიერ ჩადენილი თუ ჩასადენად გამიზნული ქმედებისადმი ნიადაგ გამოხატავს კმაყოფილებას, უკმაყოფილებას ან ინერტულობას, ე.ი. აძლევს მას თავის სუბიექტურ შეფასებას. ინდივიდუალური ნატურიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, რომ პირი თითოეული ფსიქიკური დამოკიდებულების (განზრახვისა თუ გაუფრთილებლობის) დროს შინაგანად რა აფასებდეს თავის ქმედებას, ამიტომ ფსიქიკური დამოკიდებულება ყოველთვის შეფასებას გულისხმობს. ფსიქიკური დამოკიდებულების ეთიკური, ზნეობრივი თუ ზნეობრივ-პოლიტიკური გაკიცხვა სხვა არაფერია, თუ არა ამ შეფასების მორიგი შეფასება. მაგრამ პირველი ავტონომიური, ინდივიდუალური შეფასებაა, მეორე კი – გარეგანი, მეტაინდივიდუალური. მაშინ როდესაც გასაკიცხაობა მიგვითითებს მუდამჟამს ნეგატიურ შეფასებაზე, ფსიქიკურ დამოკიდებულებას ის შეიძლება ახლდეს როგოც ნეგატიური, ისე პოზიტიური ფორმით.

ამასთან, ბრალის, როგორც ასეთის, დასადგენად უმნიშვნელოა სუბიექტურ შეფასებათა დამთხვევა, რომლებიც ეხება ქმედებას ჩადენამდე და ჩადენის შემდეგ. უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების პროცესში სუბიექტი შესაძლოა კმაყოფილებით ეკიდებოდეს თავის ქმედებას ანუ დადებითად აფასებდეს მას, მაგრამ ამავე ქმედების ჩადენით გამოწვეულმა ეფექტმა დამნაშავე შესაძლებელია უარყოფითად განაწყოს მისდამი (ქმედებისადმი), რაც ძირითადად სისხლისსამართლებლივ მონანიებაში ვლინდება.[172]

ამრიგად, სისხლის სამართლის ინტერესის სფერო შემოგარსულია სუბიექტური შეფასების იმ სახით, რომელიც თან სდევს და არა თან მოსდევს განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობას.

გასაკიცხაობა, როგორც განუწყვეტლივ უარყოფითი შეფასება, მიიღება მხოლოდ მაშინ, თუ მოგვეპოვება დადებითი სუბიექტური შეფასება. ნეგატიური სუბიექტური შეფასება ვერასდროს გამოიწვევს გასაკიცხაობის ვერც ერთ ზემოხსენებულ ფორმას. და ეს ადვილად შესაძლოა დასაბუთდეს თვით პირდაპირი განზ-

172 ლ.კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 435-436

რახვის მაგალითზეც. იმისდა მიუხედავად, რომ პირდაპირი განზრახვა ბრალის ყველაზე უფრო მკვეთრ, ყველაზე უფრო "აგრესიულ" ხარისხს განასახიერებს, სუბიექტი აქაც შესაძლოა უარყოფითად აფასებდეს თავის ქმედებას. პირს შესაძლოა სურდეს თავის მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე საზიანო შედეგი ისე, რომ ითვალისწინებდეს მისი დადგომის აუცილებლობას, მაგრამ იმავდროულად მკვეთრად უარყოფითად აფასებდეს თავის ამ სურვილს ანუ პირდაპირი განზრახვის თანამდევ მომენტადაც შესაძლოა წარმოადგენდეს მწვავე თვითგაკიცხვა. თვითგაკიცხვა კი სრულად გამორიცხავს გარეგანი გაკიცხვის საჭიროებას, რაც ბრალის გამორიცხვასაც ნიშნავს. მაგრამ დაიშვება კი მსგავსი მოქმედების არაბრალეულობა რომელიმე ქვეყნის სისხლისსამართლებლივი კანონმდებლობით? ცხადია, არა. ამიტომაც ბრალი ვერ იქნება გარეგანად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება. თუ რა შეიძლება იყოს გარეგანი გაკიცხვის ობიექტი (უმართლობის შეგნება, ნება თუ სხვა), ეს დამოუკიდებელი განხილვის საგანია[173].

ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორია ნიშნავს უარყოფით ბრალეულობა-დასჯადობას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი თუმც შეგნებულად არღვევს სისხლისსამართლებლივ მოვალეობას, მაგრამ შინაგანად გმობს, კიცხავს საკუთარ ქმედებას.

თ. წერეთლის მოძღვრებაში ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხაობის ზემოწარმოდგენილი თანაფარდობიდან ასევე ექვივალენტურად გამომდინარეობს ის ძირითადი ნიშანი, რომელიც განასხვავებს მას კლასიკური ნორმატივიზმისაგან. სახელდობრ, თ. წერეთლის ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ სწავლებაში ფსიქიკური დამოკიდებულება და გასაკიცხაობა ბრალის ცნების დამოუკიდებელი ნიშნებია, ხოლო ბრალის ნორმატიული თეორია ფსიქიკურ დამოკიდებულებას წარმოადგენს როგორც გასაკიცხაობის ერთ-ერთ კომპონენტს.

ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხაობის ურთიერთობაში ხედავს ამ განსხვავებას მ. უგრეხელიძეც, როდესაც აღნიშნავს, რომ ამჟამად გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს

---

173 ლ.კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 437

აზრი, რომ ბრალი წმინდა ფსიქოლოგიური ცნება კი არ არის, არამედ სოციალურ-ეთიკური კატეგორია, რომელიც თავის განუყოფელ ნიშნად გულისხმობს საკუთარი ქცევისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხაობას. ამასთან, გასაკიცხაობის მომენტი მეორადია და იგი რეალური ფსიქიკური დამოკიდებულებიდან წარმოდგება. ფსიქოლოგიურმა ფაქტმა მათ შინაარსმა უნდა განსაზღვრონ, ნამდვილად გასაკიცხია თუ არა რეალურად მოცემული ქცევა. უკეთ რომ ვთქვათ, ამოსავალია დებულება, რომ მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობა გარედან კი არ შეიტანება ვინმეს მიერ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში, არამედ პირიქით, ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსიდან გამოიტანება შესაბამისი დასკვნა. ამით ბრალის საბჭოური თეორია პრინციპულად ემიჯნება ბრალის იდეალისტურ ნორმატიულ თეორიას[174]. მ. უგრეხელიძის შენიშვნა გასაკიცხაობის, პირობითად რომ ვთქვათ, მეორადობის შესახებ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ დოქტრინაში გასაკიცხაობა არ იყოს ბრალის ცნების დამოუკიდებელი ნიშანი. ის გარემოება, რომ მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება სრულყოფილად ვერ გადმოგვცემს ბრალის შინაარსს, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება გასაკიცხაობის გარეშე ბრალი არ არის, უკვე საკმაოდ მეტყველებს გასაკიცხაობის, როგორც ბრალის ცნების მორიგი ნიშნის, აბსოლიტურ დამოუკიდებლობაზე. ამიტომ ხსენებულ შენიშვნას, ვფიქრობ, ოდნავადაც არ შეაქვს ეჭვი ჩვენ მიერ ზემომოტანილი სათანადო შედარების მართებულობაში.

ლ. კუტალიას აზრით, თ.წერეთლის მოძღვრება ბრალზე, მნიშვნელოვნად გასცილდა ვიწროფსიქოლოგიურ აზროვნებას. განსაკუთრებით გამოსაყოფია ვ. მაყაშვილის შემოქმედება, რომელიც სამართლიანად ითვლება ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტული თეორიის თანადამაარსებლად. მართალია, სადღეისოდ გაბატონებული ეს თეორია სრულყოფილად ვერ ასახავს ბრალს ყველა თავის გამოვლინებაში და ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ეს სისხლისსამართლებლივი ბრალის სისხლისსამართლებლივი შინაარსით დატვირთვის რეალური ტენდენციაა, მაგრამ მასში ნორმატივიზმის დოგმატურ მიღწევათა ასახვა უდავოდ უნდა მივიჩნიოთ

174 ლ.კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 438

მნიშვნელოვან რაციონალურობად[175].

განვიხილოთ დანაშაულის პროვოკაციის გამომრიცხველი და შემასუბუქებელი გარემოებანი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

აქედან ნათელია, რომ დანაშაულის პროვოკაცია ბრალად არ შეერაცხება პირს თუ მას არ შესრულებია თოთხმეტი წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის პროვოკაციისათვის სისხლის სამართლის კოდექსი ვერ დაადგენს პასუხისმგებლობას 12 წლის ასაკიდან.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლისამართლებრივ მეცნიერებაში დანაშაულის ამსრულებელი ორ სახედ იყოფა. საერთო ამსრულებელს წარმოადგენს პირი, რომელიც პასუხს აგებს კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის. სპეციალური ამსრულებელია პირი, რომელსაც უნდა გააჩნდეს სპეციალური ნიშანი, რათა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

სპეციალური ამსრულებელია პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენისათვის გააჩნია სპეციალური ნიშანი. მაგალითად, დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიკაციისათვის გასათვალისწინებელია ოპერატიული მუშაკისა და მოქალაქის ასაკის განსხვავება. მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ჩართული პოლიციელის ასაკი განსხვავდება იმავე საქმიანობაში მონაწილე მოქლაქე-აგენტის ასაკისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებულ გარემოებას და წარმოადგენს შემცირებული შერაცხვის საფუძველს, ხოლო მცირეწლოვნობა კი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას და ის არ არის ამსრულებლის ნიშანი. ეს განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვნებს არასაკმარისად აქვთ გაც-

175 ლ.კუტალია. ბრალის სისხლის სამართალში.თსუ. 2000, გვ. 439

ნობიერებული დანაშაულის ჩადენის მომენტი, რაც ერთი მხრივ დაკავშირებულია ინტელექტუალური განვითარების დაბალ დონესთან და მეორე მხრივ ფსიქიკურ პროცესთან, რომელიც თავისებურად მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ შერაცხადობა უკვე ნიშნავს პირის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ასაკის მიღწევას. საწინააღმდეგო მოსაზრებიდან გამომდინარეობს ალოგიკური დასკვნა, რომ ასაკის დაუდგენლობის შემთხვევაში არ გვეყოლება მისი ჩამდენი ამსრულებელი, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია.

დანაშაული ყოველთვის ჩადენილია ადამიანის მიერ, ხოლო მასზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებულია მის შერაცხვაუნარიანობაზე. როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, "ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი ქმედება, თუმცა მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ ეს ქმედება ამა თუ იმ გარემოების გამო ბრალად არ შეერაცხება მის ჩამდენს. სწორედ ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს ასაკი, რომელიც 33-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ამით კანონმდებელი პირდაპირ ადგენს, რომ ასაკი, ესე იგი მცირეწლოვანება, ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა და არა დანაშაულის სუბიექტის ნიშანი, როგორც ეს მიღებულია იურიდიულ ლიტერატურაში."[176]

რადგან ასაკი ბრალის ნიშანს წარმოადგენს შესაბამისი ასაკის დროს შერაცხადობის დადგენა სასამართლოს პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ კანონმდებელმა ასაკი თვითონ განსაზღვრა, ამიტომ ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა არ იწყება, ხოლო თუ დაწყებულია უნდა შეწყდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" პუნქტით გათვალისწინებული წესის საფუძველზე და ამის პრეროგატივა გააჩნია პროკურორს[177].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის (3.07.2007 წ. რედაქციის) მიხედვით "ამ კოდექსით გათვალისწინე-

---

176 ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. 242.

177 ამსრულებლის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქმულია: რ. კვარაცხელია. ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. თბ., 2006, გვ. 89-92

ბული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

აგრეთვე, თუ დანაშაული შერაცხადმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში." გასაგები მიზეზების გამო მკურნალობის პერიოდის მდგომარეობაში სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მოთხოვნა არ განხორციელდება. მხედველობაში გვაქვს კანონის მოთხოვნა, რომ "1. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. 2. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულისა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელაღსრულების კანონმდებლობით. 3. სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება." და ეს გასაგებია, რადგან სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას და კანონმდებელი მას აკისრებს სასჯელს, რომელსაც ახორციელებს ზემოქმედებით, რათა ის განიმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

აღნიშნული საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია ორი გარემოება:

შერაცხადობა — არის პირის ფსიქიკის ისეთი მდგომარეობა, რომელიც არ უკარგავს მას უნარს დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიგნოს თავისი ქცევის საშიში ხასიათი და წარმართოს იგი. ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, იგი კანონმდებლის მიერ შეურაცხადად არის აღიარებული.

შერაცხადობა შეიძლება იყოს დაკავშირებული ასაკთან.

შესაბამის ასაკს მიღწეულმა, ფსიქიკურად ჯანმრთელმა პირმა ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ მას ქმედება არ შეერაცხოს ბრალად გარკვეული გარემოებების გამო, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ქმედების არაბრალეულობის პირობებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის კომენტირებისას პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ "34-ე მუხლში მოცემულია იმ ფსიქიკურ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც გამორიცხავენ მოქმედებისათვის ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობის ბრალად შერაცხვას. აქ მოცემულია ამ დაავადებათა მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალი. ასეთი დაავადებებია, მაგალითად, ქრონიკული ფსიქიკური დაავადება, ესე იგი დაავადება, რომელსაც ქრონიკული ანუ მუდმივი ხასიათი აქვს, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა, ჭკუასუსტობა და სხვ."[178]

სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ასევე შეზღუდულ შერაცხადობას (მუხლი 35). ამ მუხლის თანახმად: „1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულიად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის. 2. შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს. 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში." აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ, როცა პირი იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, მიუხედავად ამისა ის არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთ შემთხვევას კანონი ითვალისწინებს და სასჯელის დანიშვნისას იღებს მხედველობაში. ეს გარემოება შეიძლება გახდეს სასჯელის შემსუბუქების საფუძველი. მაგრამ თუკი საკითხი ეხება არასრულწლოვანს, რომელიც იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში სასამართლოს უფლება აქვს ის გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობი-

178 ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 246.

საგან. ეს განპირობებულია იმით, რომ ფაქტიურად არასრულწლოვნობა შეზღუდული შერაცხვის საფუძველია, ამას ემატება ფსიქიკური დაავადება, რის გამოც სრულად ვერ აცნობიერებს თავისი ქმედების ფაქტობრივ ხასიათს ან მართლწინააღმდეგობას და ა.შ., რამაც შეიძლება ფაქტიურად გამორიცხოს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ საკითხზე პროფესორი ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ "აქ შერაცხადობის ორმაგ შეზღუდვასთან გვექნება საქმე. არასრულწლოვანება, როგორც ზემოთ ვთქვით, შერაცხადობას თავისთავად ზღუდავს. იმ შემთხვევაში კი, როცა ამას ფსიქიკური დაავადებაც ემატება, შერაცხადობის ორმაგ შეზღუდვას ვიღებთ. ამ გარემოების გამო კანონმდებელი სასამართლოს უფლებას აძლევს მთლიანად გაათავისუფლოს არასრულწლოვანი პასუხისმგებლობისაგან."[179]

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებებს, როგორიცაა შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება. ასევე სხვა არაბრალეული ქმედების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება ქმედების ჩადენა სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა სისხლის სამართლის კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს.

179 ო. გამყრელიძე- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 252-253.

დასკვნა

დანაშაულის პროვოკაციის ისტორიის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ამ ინსტიტუტის ევოლუციის თავისებურებებზე არსებით გავლენას ახდენდა სამი ფაქტორი: რევოლუციურ ორგანიზაციებთან ბრძოლის პრაქტიკა, ცარიზმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების აზრი და იმ დროის სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობა.

მეფის რუსეთის კანონმდებლობის ანალიზის დროს ყურადღება გამახვილებულია მეცნიერებაში არსებულ დისკუსიაზე. ერთერთი პრობლემური თემა იყო ჟანდარმერიის მაღალი თანამდებობის პირთა სისტემატური შენიშვნები, რომ პროვოკატორები მოქმედებენ არა რაიმე დავალებით, არამედ პირადი წარმატების მიზნით. ცნობილი რუსი იურისტი ნ.ს. ტაგანცევი გამოვიდა პროვოკაციისადმი ასეთი უწყებური მიდგომის წინააღმდეგ. აგენტი-პროვოკატორი, - აღნიშნავდა იგი, არის ის, ვინც აქეზებდა დანაშაულის ჩასადენად მისი ჩამდენის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის და დასჯის მიზნით.

მეორე თემა დაკავშირებული იყო დანაშაულის პროვოკაციის როგორც უკიდურესი აუცილებლობის დასაბუთებასთან. როგორც ცნობილია, პ. ა. სტოლიპინი ცდილობდა დაესაბუთებინა დანაშაულის პროვოკაციის მართლზომიერება, იმოწმებდა უკიდურეს აუცილებლობას. ნ. ს. ტაგანცევი ამ აზრს კრიტიკულად განიხილავდა, როცა წერდა, რომ უკიდურესი აუცილებლობის მგომარეობის ქვეშ იგულისხმება სამართლებრივი ნორმის ხელყოფა ასევე სამართალდაცვითი ინტერესის დასაცავად, როდესაც მას გარდუვალი საფრთხე ემუქრება, მაგრამ თავდაცვისაგან იმ განსხვავებით, რომ ამ დროს ზიანი მიეყენება თავდამხმელს, აქ კი — მესამე პირს, ან კიდევ მდგომარეობს მხოლოდ კანონის დარღვევაში.

ასევე ცნობილი რუსი მეცნიერი ნოვიკოვი წერდა, რომ პროვოკატორად უნდა ჩაითვალოს ყველა, ვინც აქეზებს სხვას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად ხელისუფლებისათვის დასასჯელად მისი გადაცემის მიზნით, მაგრამ ამასთან სურს დაუშვას

პროვოცირებულის დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარება, მაგრამ არა მცდელობაზე იქით. ამ მოსაზრებას იზიარებდა საბჭოთამდელი მრავალი ცნობილი მეცნიერი.

საბჭოთამდელ მეცნიერებაში მეცნიერები ცდილობდნენ განეხილათ დანაშაულის პროვოკაცია, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი სახეობა. მაგრამ იგი მაინც განიხილებოდა თანამონაწილეობის კონტექსტში, რამეთუ დანაშაულის პროვოკატორს უწოდებდნენ წამქეზებელს. ჯერ კიდევ არ იყო ღრმად დამუშავებული დანაშაულის პროვოკაციის განსხვავება დანაშაულზე წაქეზებისაგან. არ იყო გამოყოფილი ღრმა სხვაობები მათ შორის. და, მიუხედავად ამისა, იყო დანაშაულის პროვოკაციის გააზრების სერიოზული მცდელობა.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობის მომენტიდან დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტი ორი გზით ვითარდებოდა. ერთი მათგანი წარმოადგენდა წითელი ტერორის გაჩაღების პოლიტიკურად ლეგიტიმურ საშუალებას. მეორე — საკანონმდებლო წარმოიშვა შედარებით გვიან, 20-იან წლებში. მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ბორკავდნენ, არამედ როგორღაც პარალელურად მოძრაობდნენ და რიგ შემთხვევებში კიდეც ავსებდნენ ერთმანეთს. რაც შეეხება მეცნიერულ გამოკვლევებს, 60-იან წლებამდე მათ ფრიად ფრთხილად აწარმოებდნენ და მხოლოდ უკვე მიღებული პარტიული დადგენილებების შესასრულებლად. ამასთან, უნდა აღინიშნება, რომ მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მეცნიერება გაბედულ გადაწყვეტილებებს საერთოდ არ თავაზობდა და მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთში ინტენსიურად გაიშალა დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის კვლევა.

ნაშრომში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ საბჭოური მეცნიერება და პრაქტიკა სავსეა წინააღმდეგობებით. ერთი მხრივ, ჩნდება დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტის შენარჩუნების ძიების ახალი ცდები თანამონაწილეობის ფარგლებში, მეორე მხრივ, გამოითქმის პირდაპირ საპირისპირო, უფრო კრიტიკული აზრები. საბოლოოდ დანაშაულის პროვოკაციის საკითხი დარჩა გადაუწყვეტელი.

საზრვარგარეთის ქვეყნებში დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა არაერთმნიშვნელოვნად აისახება. ამ ქვეყნების კანონმდე-

ბლობის განხილვის შედეგად კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ დანაშაულის პროვოკაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამონაწილეობის ინსტიტუტთან და ამიტომ დანაშაულის წაქეზება და დანაშაულის პროვოკაცია საბოლოოდ ნათლად არ არის გამიჯნული.

დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა ქართულ სისხლის სამართალში წარმოადგენს კვლევის განსაკუთრებულ მომენტს, რადგან ევროპულ სისხლის სამართალში მარტო ქართველმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს დანაშაულის პროვოკაციის პრობლემატიკის გადაწყვეტის გზა.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ პოსტსაბჭოურ ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის პროვოკაციის საკითხი არაერთგვაროვნად იყო განხილული. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა სამი მიდგომა: 1) პრობლემის გადაწყვეტა ნაწილობრივ თანამონაწილეობის კონსტრუქციის მოშველიებით, 2) პრობლემის გადაწყვეტა თანაამსრულებლობის კონსტრუქციის მოშველიებით და 3) პრობლემის გადაწყვეტა დანაშაულთა კატეგორიის ინსტიტუტის კონსტრუქციის მოშველიებით.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ო. გამყრელიძის კონცეფციაზე, რომელიც სისხლის სამართლის თეორიაში არის აღმოჩენა. მისი აზრით, დღემდე ნაკლებად შესწავლილია ის საკითხი, უნდა აგოს თუ არა პასუხი შუალობითმა ამსრულებელმა უშუალო ამსრულებლის შეცდენისა და მოტყუებით მკვლელობის ჩადენინებისათვის, რომლის გამოც ის ციხეში მოხვდა.

კონცეფციის თანახმად, მოტყუებული კაცი, რომელიც შეაცდინეს და მკვლელობა ჩაადენინეს, მადლობას არ ეტყვის წამქეზებელს, ვინც იგი შეაცდინა და დამნაშავედ აქცია. ვის ესიამოვნება, რომ თუნდაც უნებლიედ, გაუფრთხილებლობით მკვლელის სახელი შეერქვას. რა სიამოვნების მომგვრელი უნდა იყოს ის, რომ ვინმემ თავის იარარად გამოგიყენოს, მოგატყუოს, კაცი მოგაკვლევინოს და ციხეში ჩაგაგდოს!

ამ ფაქტების ახსნისას განზრახი თანამონაწილეობის ცნებამ, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართალში ერთხმად არის აღიარებული, ზოგიერთი სირთულეები შექმნა. თანამონაწილეობის ცნების მიხედვით მკვლელობის უშუალო ამსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის,

შუალობითი ამსრულებელი უნდა დაისაჯოს ორი სიკეთის — განზრახი მკვლელობისა და უშუალო მკვლელის, ესე იგი, ნაქეზებულის პიროვნული თავისუფლების ხელყოფისათვის, იმისათვის, რომ მან იგი მოატყუა და დამნაშავედ აქცია.

დანაშაულის წამქეზებელი და ამსრულებელი ხშირად ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ, ყოველ შემთხვევაში, მათ ნათლად აქვთ წარმოდგენილი ის სისხლისსამართლებრივი უმართლობა, რომელსაც ერთობლივად სჩადიან. უფრო მეტიც, წამქეზებლისა და ამსრულებლის განზრახვა, ტიპიურად შემადგენლობის ერთსა და იმავე ნიშნებსაც კი მოიცავს. მაგრამ დანაშაულის წამქეზებელი და პროვოკატორი არსებითად განსხვავდებიან. იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელმა არ იცის, რომ მას აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის მომენტში შეიპყრონ და დასაჯონ, შეიძლება ვილაპარაკოთ ამსრულებლის შეცდენაზე ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით. ამსრულებელს რომ სცოდნოდა, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ, ის, ცხადია, თავს შეიკავებდა და არ აჰყვებოდა ცდუნებას.

როგორც მართებულად აღნიშნავს ო. გამყრელიძე, წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (ნაქეზებელი) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. ამიტომ ამ მოვლენის ამოსახსნელად თანამონაწილეობის ცნება არ გამოდგება.

პრობლემის ამ ასპექტთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ ო. გამყრელიძის მოსაზრებას. როგორც აღნიშნავს ავტორი, დანაშაულის თანამონაწილეთა შორის წამქეზებელი ყველაზე უფრო რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. ნაქეზება ყოველთვის სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ ფართო გაგებით წამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს. მაგრამ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტი დანაშაულის თანამონაწილეობას გულისხმობს.

ზოგჯერ "სხვისი დაყოლიება" ისე ესმით, თითქოს ეს ნიშნავს ამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წამქეზებლობა დანაშაულის დამხმარის ნაქეზებით გამოიხატოს. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს ათხოვოს თოფი მკვლელობის ამსრულებელს. ესეც სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად, რაც შესაბამისად უნდა შეფასდეს. ასევე შეიძლება ორგანიზატორის ნაქეზებაც. ლიტე-

რატურაში ხშირად გვხვდება მსჯელობა წამქეზებლის წაქეზების იურიდიულ კვალიფიკაციაზე.

როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წამქეზებლობის განსხვავებას ინტელექტუალური ანუ ფსიქიკური დახმარებისაგან. წამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტ მოტივს უქმნის. წამქეზებელმა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს. წამქეზებელმა უნდა შეუქმნას ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის "ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადაწყვეტილების მიღებისათვის".

ფსიქიკური დამხმარის მოქმედება, წამქეზებლობასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა. ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას განუმტკიცებს. მაგალითად, წამქეზებლის ზემოქმედებით კაცმა მკვლელობა გადაწყვიტა, მაგრამ ეძებს დამფარავს. გამოჩნდა დამხმარე, რომელმაც მას, მკვლელობის შემთხვევაში, დაფარვა აღუთქვა.

წაქეზება მიზეზობრივად არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი ახორციელებს. ამსრულებლის მოქმედებისაგან განსხვავებით, წაქეზება ფსიქიკურ მიზეზობრიობას წარმოადგენს.

წაქეზებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ფსიქიკური საშუალება. ასეთია, მაგალითად, თხოვნა, დარწმუნება, მუქარა, ბრძანება და სხვ.

ზოგჯერ მუქარამ შეიძლება ისეთ ინტენსივობას მიაღწიოს, რომ გამოირიცხოს ამსრულებლის პასუხისმგებლობა და უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შექმნას[180].

წამქეზებელი, როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, მართალია, მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან, მაგრამ ეს როდია მისი დასჯადობის საფუძველი. წამქეზებელი ისჯება იმის გამო, რომ ის ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას სჩადის. ერთიანი უმართლობა თანამონაწილეობის დროს ნიშნავს იმას, რომ ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთიანი განზრახვით და ობიექტურად ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან.

---

180 იხ: ო.გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008, გვ. 196

"ერთიანი განზრახვა" ნიშნავს იმას, რომ წამქეზებელს (თანამონაწილეს) და ამსრულებელს ერთი და იგივე მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თუ, მაგალითად, თანამონაწილე მოქმედებს მკვლელობის მიზნით, ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ამსრულებელსაც, ანდა შეიძლება თანამონაწილეს ეს მიზანი არ ჰქონდეს, მაგრამ იცოდეს, რომ ამსრულებელი ამ მიზნით მოქმედებს და ეთანხმებოდეს მას.[181]

წამქეზებელმა შეიძლება შეაცდინოს (შეცდენის საკითხზე იხ. მე-9 მუხლის განმარტება) ამსრულებელი მისი მხილებისა და დასჯის მიზნით. ასეთ დროს საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციასთან (აგენტ-პროვოკატორის მოქმედება). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ შემადგენლობას, რომლის მიხედვით ისჯება "დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

"დანაშაულის პროვოკაცია" დასჯადია, უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა პროვოკატორმა წააქეზა და ჩაადენინა დანაშაული სრულიად ალალმართალს, ვისაც დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მოსვლია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, წაქეზებულმა დაასრულა დანაშაული თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა.

რაც მთავარია, დანაშაულის პროვოკატორი არ შეიძლება დაისაჯოს იმ დანაშაულის თანამონაწილეობისათვის, რომლისთვისაც წააქეზეს ამსრულებელი, რადგან წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (წაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი აქეზებს ვინმეს ქურდობისათვის, პროვოკატორის ესე იგი წამქეზებლის, მოქმედება ხელყოფს წაქეზებულის პიროვნებას, სურს იგი ციხეში ჩააგდოს, ხოლო წაქეზებული, ესე იგი პროვოცირებული, ხელყოფს სხვის საკუთრებას.

სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული "დანაშაულის პროვოკაცია" უნდა განვასხვავოთ "დანაშაულის პროვოკაციისაგან", რომელიც კანონიერ მოქმედებად ითვლება საქართველოს ოპერატიულ — სამძებრო საქმიანობის კანონით. კანონიერად ითვლება აგენტი-პროვოკატორის მოქმე-

181 იხ: ო.გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005, გვ. 197

დება მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიმართულია დანაშაულის აღკვეთისაკენ ან უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოსავლენად.

დანაშაულის აღკვეთა შეიძლება მოხდეს დანაშაულის მომზადების სტადიაზე მოქმედების დაყოლიებით, რომ უარი თქვას დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე; საიდუმლო თანამშრომელმა უნდა დაარწმუნოს ის "დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობასა ან სისულელეში (უმიზნოაო!), უთხრას, თითქოს დანაშაულის ობიექტზე გაძლიერებული დაცვაა. . ." და სხვ. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოვლად გაუმართლებელია დანაშაულის ჩადენისათვის ხელოვნურად ხელის შეწყობა.

როგორც აღნიშნავს ო. გამყრელიძე, ამ ოცდაათი წლის წინ თბილისში დანაშაულის პროვოკაციის ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა. თბილისის რკინიგზის სადგურის მილიციის სამმა თანამშრომელმა სადგურზე ქურდობის ფაქტის გამოვლენის მიზნით მოილაპარაკა: ერთმა მათგანმა სახლიდან ოცდახუთ მანეთად ღირებული ჩემოდანი მოიტანა, მეორემ შვიდ მანეთად ღირებული ფარდა, რომელიც ჩემოდანში ჩადეს. შეიტანეს ჩემოდანი სადგურის მოსაცდელ დარბაზში, სადაც ერთ-ერთ მგზავრს სთხოვეს, რომ თავი მოემძინარებინა და ჩემოდანს წინ დაუდგამდნენ. მგზავრი დაეთანხმა. მილიციელები კი სამალავში წავიდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ რა მოხდებოდა. დარბაზში შემოვიდა ვინმე მამნიაშვილი, რომელმაც ჩაძინებული მგზავრი შენიშნა. იგი გაიქცა, გადაახტა ჩემოდანს, შემდეგ მეორე გამორბენა გააკეთა, კიდევ გადაახტა ჩემოდანს ხმაურით და, როცა დარწმუნდა, რომ მგზავრმა არ გაიღვიძა, დაავლო ხელი ჩემოდანს და წაიღო. ქურდი დარბაზიდან გასვლისას დააკავეს.

ასეთი პროვოკაცია ყოვლად დაუშვებელია და ის უნდა დაისაჯოს. მსგავსი პტოვოკაციები ხშირად ხდებოდა ძველი რეჟიმის დროს მილიციის კარგად მუშაობის წარმოჩენის მიზნით.

წაქეზება "აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე". ამიტომ უმოქმედობით წაქეზება შეუძლებელია.

სუბიექტური მხრივ წაქეზება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. თუმცა, ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ წაქეზება არაპირდაპირი განზრახვითაცაა შესაძლებელი. მაგალითები, რომლებიც ცალკეულ ავტორებს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოაქვს, აშკარად ხელოვნურია. მაგალითად, თ.

წერეთელი იმოწმებს რუსი იურისტის ნ. ტაგანცევის სიტყვებს: "თუ ვინმე, განსაზღვრული ქმედობის ჩადენისას ან განსაზღვრული ამბის მოყოლის დროს ითვალისწინებს, რომ მისი ნაამბობის შედეგად რომელიმე მსმენელმა შეიძლება მის მიერ აღწერილი დანაშაულებრივი ქმედობა ჩაიდინოს, და გულგრილად ეკიდება ამას, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია შევურაცხოთ მას სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ვურაცხავთ ასეთი გულგრილობის შედეგს უშუალო ბრალეულს".

ჩვენ რომ ამ მოსაზრებას გავყვეთ, მაშინ ადამიანთა ურთიერთობა საერთოდ შეუძლებელი იქნება. განსაკუთრებით ითქმის ეს თანამედროვე ეპოქაზე, სადაც სიტყვისა და პრესის თავისუფლება არავითარ ცენზურას არ ემორჩილება. პრესაში ათასგვარი აზრი გამოითქმება, რომელმაც მკითხველს შეიძლება დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მიაღებინოს, გარდა ამისა, არაპირდაპირი განზრახვით წაქეზების დადგენა პროცესუალური საშუალებით ძლიერ ძნელი საქმეა. სხვა საკითხია, როცა რაიმე ამბის მოყოლა იმ მიზნით ხდება, რომ მსმენელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება აღუძრას. შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე გვაქვს შენიღბულ, ფარულ წაქეზებასთან, რათა წამქეზებელი თვითონ არ გამოჩნდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გვექნება პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით წაქეზება[182].

სამწუხაროდ ქართველმა მეცნიერებმა არ გაამახვილეს ყურადღება იმ გამოსავალზე, რომელიც გამონახა პროფ. ო. გამყრელიძემ თავის საკომფერენციო გამოსვლაში 1997 წ. მისი აზრით იმ პერიოდში მოქმედ სისხლისამართლებრივ კანონმდებლობას უნდა დაემატოს ასეთი მუხლი:

"მოტყუების გზით სხვისი დაყოლება დანაშაულის ჩასადენად

1. მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩადენისათვის

2. დანაშაულის პროვოკაცია

3. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია."

ნაწილობრივ ეს მოსაზრება გაითვალისწინა მოქმედმა კანონმდებლობამ, მაგრამ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციის საკითხი დარჩა ღიად.

---

182 იხ: ო.გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008, გვ. 198

დანაშაულის პროვოკაცია, რომელმაც გამოიწვია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე შედეგი, როგორც თანამონაწილეობის თეორიის აჩრდილი, იყო უარყოფილი და ძირითადი ყურადღება იყო გადატანილი პროვოკატორის განზრახვაზე: პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის განხორციელების გარდაუვალობას. აქედან გამომდინარეობს, რომ სსკ-ს 145-ე მუხლის მეორე ნაწილად შეიძლება განვსაზღვროთ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია.

ამრიგად, ნაშრომში მივყვებით ო. გამყრელიძის გაკვალულ გზას და ვიღებთ შემდეგ ნორმას:

«მუხლი 145. დანაშაულის პროვოკაცია.

1.დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.....

2.მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია...».

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ნ. თოდუა, რომელიც მართებულად აღნიშნავს, რომ ეს ნორმა თავის მიზანს უკეთ შეასრულებს, თუ მას დაემატება დამამძიმებელი გარემოება, რომელიც გაითვალისწინებს უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციისათვის .

ამრიგად, ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტის ევოლუცია დასრულდა იმ კონსტრუქციული შემუშავებით, რომელიც დღემდე არაა მიღებული ევროპულ სისხლის სამართალში და დღემდე პრობლემურია. დასაბუთდა დებულება, რომ წაქეზება ყოველთვის სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად. ამ მხრივ წამქეზებელი ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას სჩადის. მაგრამ დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიკაციისას ეს ფუნდამენტური თეზისი არ მოქმედებს, რადგან წაქეზება მიმართულია იმ დანაშაულის ჩასადენად, რომლის ჩადენა «ამსრულებლის» განზრახვაში არ შედიოდა. მეორე მხრივ, ჩადენილ დანაშაულში არ ვლინდება წამქეზებლისა და «ამსრუ-

ლებლის» ერთიანი უმართლობა. სისხლის სამართლის თეორიაში აღნიშნული პრობლემური სიტუაცია ვერ წყდება დანაშაულის თანამონაწილეობის კონსტრუქციის ფარგლებში. იმ მრავალრიცხოვან შეხედულებებს შორის, რომლებიც დასავლურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გვხდება, განსაკუთრებით გამოირჩევა ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების შვეიცარული ვარიანტი, ცნობილი «სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის დასახელებით.

ნაშრომში სპეციალურად განიხილება დანაშაულისათვის წაქეზებისა და დანაშაულის პროვოკაციის გამიჯვნის საკითხი. იმ მრავალრიცხოვან შეხედულებებს შორის, რომლებიც დასავლურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გვხვდება, გამოკვლევა განსაკუთრებით გამოყოფს ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების შვეიცარულ ვარიანტს, ცნობილი «სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის დასახელებით.

«სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიის მიმდევრებმა დაინახეს, რომ წაქეზება, რომელიც ეფუძნება შეცდენას, თავისი ბუნებით უნდა განსხვავდებოდეს იმ წაქეზებისაგან, რომელიც თანამონაწილის სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ აღმოჩნდა პრობლემის წინაშე: გამოდგება თუ არა წაქეზების პირველი ვარიანტი წაქეზების მეორე ვარიანტის ბუნების ახსნისათვის?

დასკვნის სახით გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ «სოციალური დეზინტეგრაციის» თეორიამ ვერ ახსნა წაქეზების ბუნება და ღიად დატოვა შემდეგი პრობლემური სიტუაცია. კერძოდ, თუ წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ხოლო ამსრულებელი — სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით დაცულ რომელიმე კონკრეტულ სიკეთეს, მაშინ ე.წ. სოციალური ინტეგრაცია დამოკიდებულია სამართლებრივ სიკეთეზე. ამრიგად წამქეზებლობა არაა თანამონაწილეობა, რადგან მას გააჩნია ხელყოფის დამოუკიდებელი სიკეთე. ასეთივე ხელყოფის დამოუკიდებელი სიკეთე, ამ თეორიის მიხედვით, გააჩნია ამსრულებელს. ამრიგად აღნიშნული მოძღვრება საერთოდ უარყოფს თანამონაწილეობის ინსტიტუტს და შლის ზღვარს წამქზებლისა და ამსრულებლის, როგორც თანამონაწილეთა შორის.

უფრო მეტიც, გაუგებრად რჩება ე.წ. აგენტ-პროვოკატორის მოქმედების არსი, რადგან, თუ ამსრულებლის «სოციალურ ინ-

ტეგრაციას» ჩავთვლით დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთედ, რომელსაც ხელყოფს წამქეზებელი, და ვიტყვით, რომ მას შეცდომაში შეჰყავს ამსრულებელი, მაშინ წაქეზების ჩვეულებრივ შემთხვევებს ვერ გაუთანაბრებთ ისეთ შემთხვევას, როცა აგენტი-პროვოკატორი აქეზებს სხვას დანაშაულის ჩასადენად ან ვინმე მოტყუებით ჩაადენინებს სხვას გაუფრთხილებლობით დანაშაულს და ა.შ. წამქეზებლის მოქმედება მაშინ იქნება მიმართული ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ, როცა წაქეზება ხდება პროვოკაციული მიზნით, როცა ამსრულებელმა არ იცის, რომ მას აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის მომენტში შეიპყრონ და დასაჯონ. ასეთ შემთხვევაში მართლა შეიძლება ვილაპარაკოთ ამსრულებლის შეცდენაზე ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით. ამსრულებელს რომ სცოდნოდა, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ, ის, ცხადია, თავს შეიკავებდა და არ აჰყვებოდა ცდუნებას.

დანაშაულის პროვოკაციაც არის ამსრულებლის შეცდენა. ამიტომ აქაც უნდა გავითვალისწინოთ დებულება - განზრახვის ცნებაში უნდა იყოს მოაზრებული შეცდენაც. ქმედების 145-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის განზრახვის მიმართულებას.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხილვისას ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი, ხელყოფის საგანი, ქმედების თავისებურება, დანაშაულის პროვოკაციის ხერხები. დასკვნის სახით აღინიშნება, რომ წამქეზებლის მოქმედება მიმართულია თვით ამსრულებლის წინაამდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. ამსრულებლის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. წამქეზებელი და ამსრულებელი არა ერთ, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს აზიანებენ. ქართველი ავტორები ამ პრობლემას მართებულად წყვეტენ.

დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობის გარკვევისას აღინიშნება, რომ დანაშაულის პროვოკაციის შედეგია სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენა მისი სიხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს

პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას მისი სიხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით და სურდეს, რომ პირი მისცენ პასუხისგებაში.

ჩვენ ვეთანხმებით იურიდიულ ლიტერათურაში გამოთქმულ აზრს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული "დანაშაულის პროვოკაცია" უნდა განვასხვავოთ "დანაშაულის პროვოკაციისაგან", რომელიც კანონიერ მოქმედებად ითვლება საქართველოს ოპერატიულ — სამძებრო საქმიანობის კანონით. კანონიერად ითვლება აგენტი-პროვოკატორის მოქმედება მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიმართულია დანაშაულის აღკვეთისაკენ ან უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოსავლენად.

ნაშრომში სპეციალურად განიხილება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მართლზომიერების საკითხი. სსკ-ს 29-ე და 32-ე მუხლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი გამოყენება გარკვეულად ვერ ითვალისწინებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონის თავისებურებას. ამიტომ აღნიშნული კანონის ადგილი სსკ-ს მე-III თავში გაურკვეველია. ამის შედეგად აღინიშნება, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის კონტექსტიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს ის პირი, რომელიც ახორციელებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. ამ შემთხვევაში მართლსაწინააარმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთ გარემოებების არსებობისას, რომლებიც თუმცა ამ კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით დადგენილ ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს. აღნიშნული დეფინიცია, ჩვენი აზრით, უნდა იყოს გათვალისწინებული ცალკე 29[1] მუხლში "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება".

დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობის ანალიზის დროს აღინიშნება, რომ დამნაშავეთა მხილების დროს მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით დაიყოლიებს პირს დანაშაულის ჩასადენად. დანაშაულის პროვოცირება შეუძლია, როგორც მოქალაქეს, ასევე ოპერატიულ მუშაკსაც. ყველა შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა დანაშაულის პროვოკაცია ჩაიდინა მოქალაქემ, თუ ოპერატიულმა მუშაკმა. ქმედების მართლწინააღმდეგობას კანო-

ნის თანახმად აქვს ერთი და იგივე მახასიათებელი. ამ მიმართულებით ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხს: როდის არის დამნაშავის მხილება მართლზომიერი და როდის დამნაშავის მხილება არის მართლსაწინააღმდეგო ანუ არის დანაშაულის პროვოკაცია.

დანაშაულის პროვოკაციის მესამე ნიშნის - ბრალეულობის გარკვევისას გათვალისწინებულია შემდეგი დებულებები: 1) ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია; 2) ბრალი არის ბრალდებულის (განსასჯელის) გაკიცხვა ჩადენილი უმართლობის გამო. გაკიცხვა, ამ შემთხვევაში უმართლობის უარყოფითი შეფასება ხდება ინდივიდუალურ, პერსონალურ დონეზე მაშინ, როცა უმართლობა ობიექტური, არაპერსონალური შეფასებაა. ნაშრომში აღინიშნება, რომ მოქმედი სსკ-ს 145 მუხლი ვერ ითვალისწინებს დანაშაულის პროვოკაციის უმართლობის ხარისხს და ამიტომ რეალურად ბრალის შერაცხვის საკითხის განხორციელება გამოირიცხება. გარდა ამისა, ამ მუხლის თანახმად ბრალის შერაცხვა ხორციელდება უმართლობის გაუთვალისწინებლად. ამიტომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გარეთ დატოვება ნიშნავს მათთვის სამართლებრივი შეფასების მიუცემლობას, რაც პრაქტიკულად დაუშვებელია.

ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. მე-2 ნაწილი. თბ. 2001.
2. გამყრელიძე ო.მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად — თეუსუს საიუბილეო კრებული. თბ. 2007, გვ. 182- 186.
3. გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ. "მეცნიერება". 1989
4. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005.
5. დვალიძე ი.. Мმოტივისა და მიზნის ძეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თბ. 2008.
6. ებრალიძე თ. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008.
7. კვარაცხელია რ. ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. თბ. 2006.
8. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა. აშშ & საქართველო. 2003
9. ლ. კუტალია. ბრალი სისხლის სამართალში. თბ. 2000.
10. მაყაშვილი მ., გ. ტყეშელიაძე. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბ.,1964, გვ. 210- 212
11. ნ. თოდუა. დანაშაულის პროვოკაცია — სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. ნ.1. თბ. 2006., გვ. 233
12. პრადელი ჟან. შედარებითი სისხლის სამართალი. "SANI". 1999.
13. ტურავა მ. სისხლის სამართალი. თბ. 2008.
14. წერეთელი თ. სისხლის სამართლის პრობლემები. ტ. II. თბ. 2007.
15. Адашкевич Ю.Н. Агентурный метод в борьбе с преступностью в зарубежных странах - Сб.: "Организованная преступность-2" (Под.ред. А.И.Долговой, С.В.Дьякова): Криминологическая Ассоциация. М., 1993. С.208-220

16. Анцелович М. Получение, дача и провокация взятки по УК редакции 1926 г. - Еженедельник советской юстиции. 1927. № 16.
17. Артеменко Н.В., Минькова А.М.Проблемы уголовно-правовой оценки деятельности посредника, провокатора и инициатора преступления в уголовном праве РФ. - Журнал российского права, 2004, с
18. Бабыч, С. А. Провокация взятки либо коммерческого подкупа: Уголовно-правовые и криминологические аспекты: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М.,2006. с. 12-13
19. Бурчак Ф.Г. Учение о соучастии по советскому уголовному праву. Киев, 1970.
20. Е. Буторина. Это провокация! Правоохранительным органам запретили подстрекать людей к совершению преступлений опубликована 20.08.07 - http://www.rg.ru/ 2007/08/01/
21. Волженкин Б.В. Допустима ли провокация в целях борьбы с коррупцией? - Российская юстиция. 2001. N 5.
22. Волженкин Б.В. О провокации как «методе борьбы» с коррупцией- http://crime.vl.ru/ docs/konfs/
23. Волженкин, Б. В. Взяточничество в истории советского уголовного законодательства :1918 - 1927 гг. - Правоведение. 1993. № 2. С. 59 – 67
24. Геспер Р., Херцог У. За фасадом права М , 1990.
25. Герцензон А.А., Ш.С. Грингауз, Н.Д. Дурманов, М.М. Исаев, Б.С. Утевский. История советского уголовного права. Издание 1947 г. Allpravo. ru. – 2003 .
26. Говорухина Е.В. Понятие и правовые последствия провокации в уголовном праве России: Дис. ... канд. юрид. наук. Ростов н/Д, 2002.
27. Гришаев П.И., Кригер Г.А. Соучастие по советскому уголовному праву. М., 1959.
28. Егорова Н. Провокация взятки либо коммерческого подкупа - Российская юстиция. 1997. N 8. С. 27 - 28.
29. Дело бывшего директора Департамента полиции Лопухина в особом присутствии Правительствующего Сената. Стеногр. отчет. СПб., 1910. С. 5-6.

30. Дерзыбашев И. Путь к увеличению раскрытия взяточничества (к толкованию примечания к ст. 118 Уголовного Кодекса) - Рабочий суд. 1927, № 6,
31. Жалинский Э. Современное немецкое уголовное право. М. 2004.
32. Жаров. С.Н.Обеспечение законности оперативно-розыскных мероприятий в Российской империи – Правоведение. 2001. №5, с .189-200
33. Записка Комиссии Политбюро ЦК КПСС по дополнительному изучению материалов, связанных с репрессиями, имевшими место в период 30-40-х – начала 50-х годов - Вестник Архива Президента Российской Федерации. 1995. № 1. С.123 —130.
34. Иванов В.Д. Правовые последствия оперативного эксперимента - Северный Кавказ: борьба с преступностью. Ростов-на-Дону: РВШ МВД России, 1997.
35. Иванов В.Д. Об уголовной ответственности за провокацию преступления - Актуальные проблемы уголовного права и правоприменительной деятельности органов внутренних дел в новых социально-политических условиях. М.: МВШМ МВД России, 1992. С. 95 - 96.
36. Иванов Н.Г. Понятие и формы соучастия в советском уголовном праве. Саратов, 1991.
37. Иванов Л., Ляммих З. О новеллах уголовного законодательства Германии, направленных на противодействие организованной преступности - Уголовное право. 1998. № 3.
38. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. М. «Зерцало».М.1998.
39. Кириллина А. А. Выстрелы в Смольном - Родина. 1989. № 1.
40. Ковалев М.И. Соучастие в преступлении. Ч. 2: Виды соучастников и формы участия в преступной деятельности. Свердловск, 1962.
41. Конгресс VIII ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. Гавана. Куба. 27 августа — 7 сентября 1990. М., 1990
42. Крастин И. О толковании примечания к ст. 118 УК - Рабочий суд. 1927. № 5. С. 394—396

43. Айско Крейг. Судебное преследование за коррупцию в государственных учреждениях в Соединенных Штатах Америки - Правоохранительная деятельность в США. М., 1998.
44. Кугушева С.В. Провокация преступления: проблемы уголовно-правовой квалификации - Уголовное право. 2005. N 10.
45. Курлов П. Г. Гибель императорской России. М., 1991.
46. Курс советского уголовного права. Т. VI. М., 1971.
47. Куртуэ С., Верт Н., Панне Ж., Пачкооскио А., Бартошек К., Марголен Ж. Черная книга коммунизма: преступления, террор, репрессии (пер. с французского). М. «Три века истории».2001.
48. Лаврин А. П. Хроники Харона: Энциклопедия смерти. Новосибирск, 1995.
49. Лурье Ф. М. Полицейские и провокаторы: политический сыск в России. 1649–1917. М., 1998. С. 10
50. Мастерков А.А. Уголовно-правовые и криминологические аспекты провокационной деятельности: Автореф. дис. ... канд. юрид. наук. Владивосток, 2000. С. 9-16.
51. Меньшиков Л.П. Охрана и революция. Ч. III. М., 1932. С. 35 - 48.
52. Мирилашвили М.. Письмо адвоката: http://logos.air.spb.ru/ru/news/
53. Набоков В. Д. По поводу статьи В. Н. Новикова. Право. 1909. № 18, с. 12
54. Новиков В. Н. Ответственность провокатора по уголовному уложению - Право. 1909. № 18.
55. Овруцкий А.В. Психология провокации - Психопедагогика в правоохранительных органах. 1995. N 1. С. 91.
56. Овченко Ю.Ф. Провокация на службе охранки - Новый исторический вестник. 2003 № 1(9) -http://www.nivestnik.ru/
57. Падение царского режима: Стенографические отчеты допросов и показаний, данных в 1917 г. в Чрезвычайной Следственной Комиссии Временного Правительства. Т. 3. Л., 1925. С. 211–212.
58. Палеолог М. Царская Россия накануне революции. М., 1996.
59. Политика над правосудием: Нарушения прав человека и основных свобод в Российской Федерации - http://www.google.ge/
60. Полное собрание законов Российской империи. Собр. 2. Т. 46. № 49615

61. Пионтковский А.А. Учение о преступлении. М., 1961. С. 573
62. Правовая регламентация полицейской "ловушки" (провокации) - Правоохранительная деятельность в США М., 1998. С. 309
63. Примерный уголовный кодекс США: http://law.edu.ru/norm/
64. Провокация преступления с целью его изобличения и фабрикации подсудности - Правоохранительная деятельность в США. М, 1998.
65. С.Радачинский. Юридическая природа провокации преступлений – Уголовное право.2008., №1, с. 59-63
66. Решение Европейского суда по правам человека от 13.05.2004»По вопросу приемлемости жалобы N 53203/99 «Григорий Аркадьевич Ваньбян против Российской Федерации»: http://www.lawmix.ru/abro.php
67. Робертс Пол Крэг. "В погоне за арестами террористов ФБР стало применять провокации («Antiwar.com», США) - Desperate for Terror Arrests, FBI Turns to Entrapment. 01.02. 2007
68. Российское законодательство X–XX веков. Т. 9. М., 1994.
69. Руководство по практическим мерам борьбы с коррупцией. (Подготовительно под эгидой ООН по рекомендации Комитета по предупреждению преступлению 1990 / 23 от 23 мая 1990г.).
70. Скрипилев А. Е. Об одной стороне судебной контрреформы в России - Советское государство и право. 1983. № 9.
71. Скрипилев А.Е. Отдельный корпус жандармов в карательном механизме царской России - Тезисы докладов на теоретической конференции аспирантов института государства и права АН СССР и юридического факультета МГУ им. М.В. Ломоносова. - М.: Изд-во ИГиП АН СССР, 1983. С. 25-26
72. Сидоров Б.В. «Аффект. Его уголовно-правовое и криминологическое значение». Казань. 1978. с. 103.
73. Статистика осужденных в СССР. 1923-1924 г. М., 1927.
74. Статистика осужденных в СССР в 1925, 1926 и 1927 гг. М., 1930.
75. Таганцев Н. С. Русское уголовное право: Лекции. Часть общая: М., 1994. Т. 1.
76. Тайны политического сыска: Инструкция о работе с секретными сотрудниками (Публ. З. И. Перегудовой). СПб., 1992.
77. Трайнин А. Н. Уголовное право: Часть Особенная. Изд. 2-е. М., 1927.

78. Трайнин А.Н. Учение о соучастии. М., 1941.
79. Труды юридического общества при императорском С.-Петербургском университете. том 1, С.П.1910.
80. Уголовное право России (под ред. Р.А.Адельханяна). Волтерс Крувер. М. 2004,
81. Уголовный кодекс Испании. Под ред. Н.Ф.Кузнецовой, Ф.М. Решетникова.М, 1999. С. 16.
82. Урысон И. С. Агент-провокатор по действующему уголовному праву - Право. 1907. № 32.
83. О.В.Хлевнюк. Политбюро. Механизмы политической власти в 30-е годы. М.: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН)., 1996
84. Ходос. Подлежит ли ответственности лицо, спровоцированное на взятку?- Вестник советской юстиции. 1924. № 24
85. Хорнабуджели Б. Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981. С. 71
86. «Черная книга коммунизма» - http://www.goldentime.ru/
87. Штюмпер А. Уголовное судопроизводство и полицейская хватка. М , 1989.
88. Эстрин А. Взяточничество и уголовная репрессия - Еженедельник советской юстиции. 1922. № 39-40.
89. Cormaney Mike. RICO IN RUSSIA: EFFECTIVE CONTROL OF ORGANIZED CRIME OR ANOTHER EMPTY PROMISE? - CRIME.VL.RU. 2002 г